[illegible] საჯარო ბიბლიოთეკა [illegible]

[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსა[illegible] 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელის მომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

დ ღ ი უ რ ი

- — აბდ ელ-ქერიმმა განკარგულება გასცა საომარ მოქმედების შეჩერების შესახებ.
- — რუმინეთის გლეხთა პარტიის აღმასკ[illegible] ავერესკუს მთავრობის წინააღმდეგ.
- — ამუნდსენის დირიჟაბლი გაფრინდა ოსლოდან.
- — ჩინეთში გრძელდება მთავრობის კრიზისი.
- — ჩიჩერინის ნოტას ერთა ლიგისადმი გამოეხმაურნენ ევროპის ყველა გაზეთები.

პარასკევი, 16 აპრილი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 85 (1540)

კოოპერაციის საჭირბოროტო საკითხები

საკავშირო კომპარტიის ცეკას უკანასკნელი პლენუმი, სხვათა შორის, შეჩერდა კოოპერაციის საკითხებზე. პლენუმმა აღნიშნა, რომ პარტიის დადგენილებანი სოფლად კოოპერატიულ მშენებლობის დარგში ჯერ კიდევ არ არის სავსებით შეთვისებული და ცხოვრებაში საკმარისად არ ტარდება, ამასთან მიუთითა იმ ამოცანებზე, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერაციის გასაძლიერებლად და გასაჯანსაღებლად.

მიუხედავად იმისა, რომ კოოპერაციის წევრთა რიცხვი ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა, მის გარეშე ჯერ-ჯერობით მაინც დარჩენილია მშრომელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, ბევრგან სრულებითაც არ მოიპოვება კოოპერატივი, ზოგან ძალზე მცირეა მის წევრთა რაოდენობა. დაარსება კოოპერაციებისა იქ, სადაც ამისათვის არის სათანადო ეკონომიური პირობები, ახალი წევრების მიზიდვა უკვე არსებულ კოოპერატივებში — ასეთია ერთ-ერთი ამოცანა.

მაგრამ თავისთავად კოოპერაციის რიცხვობრივ შემადგენლობის გადიდებას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, თუ მის მშენებლობაში აქტიურად არ იქნებიან ჩაბმული გლეხობის ფართე მასები. ამ მხრივ მდგომარეობა ჩვენში უეჭველად მოიკოჭლებს. გლეხობის უშუალო მონაწილეობა კოოპერაციის მუშაობაში, მისი დაინტერესება კოოპერაციის ბედით სუსტია. გლეხობის კოოპერატიული თვითმოქმედების და პასუხისმგებლობის გაძლიერება, ისეთი პირობების და ატმოსფერის შექმნა, როცა მასსა კოოპერაციას ნამდვილად თავის ორგანიზაციად ჩასთვლის, — ასეთი ამოცანა იმთავითვე წამოჭრილია ჩვენს წინაშე, ამოცანა, რომელიც დღესაც არ არის სასურველად შესრულებული. ხელმძღვანელ კოოპერატიულ ორგანოების არჩეულობის თავისუფლების სრული უზრუნველყოფა, მოწინავე გლეხობიდან კოოპერატიული აქტივის შექმნა, კოოპერატიულ ორგანოების პასუხისმგებლობა მასსის წინაშე და მასთან მჭიდროდ დაკავშირება, წვრილმანი ჩაურევლობა კოოპერაციის საქმეებში გარედან, — აი ზოგიერთი საშუალებანი ხსენებულ ამოცანის გადასაჭრელად.

მშრომელი გლეხობის თვითმოქმედების გაშლა უტყუარი საწინდარია, რომ კოოპერაციაში დაცული იქნება ღარიბ და საშუალო გლეხობის ინტერესები. ჩვენ უნდა განვახორციელოთ გლეხობის ამ ორი ფენის ბლოკი კოოპერაციაში(ისე, როგორც სხვა ორგანიზაციებში) და ისინი შეთანხმებულად ჩავაბათ მის საქმიანობაში. ამ გზით შესაძლებელი გახდება განაპირება კულაკობის, რომელიც ცდილობს კოოპერაცია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

ერთ - ერთ ძირითად საკითხად კოოპერაციისათვის უნდა ჩაითვალოს საკუთარ საშუალებათა გადიდება. დღემდე ამ მხრივ არანორმალური მდგომარეობაა. კოოპერაცია უმეტესად იკვებება სახელმწიფო თანხებით. მთავრობა შემდეგშიც არ მოაკლებს კოოპერაციას დახმარებას. მაგრამ, ჯერ ერთი, სახელმწიფო ფინანსიურ [illegible] განიცდის, მეორე, კოოპერაცია მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის დანიშნულებას, როცა ის უმთავრესად საზოგადოებრივი კაპიტალებით განვითარდება. კოოპერაცია არ შეიძლება არსებობდეს სახელმწიფოს „სოციალურ უზრუნველყოფაზე“. საპაიო გამოსაღების თავის დროზე და მთლიანად შეკრება — ეს საჭირბოროტო საკითხია კოოპერაციისათვის.

გარდა ამისა სუსტადაა დაყენებული კოოპერაციაში (საკრედიტო კოოპერაციაში) გლეხობის თავისუფალი თანხების, ანაბარების მოზიდვის საქმე. სოფლის მეურნეობის საქონლიანობა გაიზარდა, გლეხობის ნაწილს მნიშვნელოვანი თავისუფალი ფულები გააჩნია, რომელთა დაბანდება კოოპერაციაში მოაღონიერებდა როგორც უკანასკნელს, ისე სახელმწიფოსაც და ფულის კურსს განამტკიცებდა. მაგრამ გლეხობამ რო თავისი ფულები მიაბაროს კოოპერაციას, აუცილებელია პირველ ყოვლისა მისადმი ნდობის განმტკიცება. გლეხობა სავსებით უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მას ეს ფული არამც თუ არ დაეკარგება, არამედ მიიღებს მას პირველ მოთხოვნისთანავე.

კოოპერაციის (სამომხმარებლო) უდიდეს ნაკლად ეხლანდელ პირობებში უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან ვერ მოახერხა საქონლის იაფად მიწოდება გლეხობისათვის. დიდი შტატი, მაღალი ზედნართი ხარჯები, ხშირად ზედმეტი ინსტანციები, რომლებშიც გადის საქონელი, აძვირებს უკანასკნელს. კოოპერაციის სავაჭრო აპარატის გაიაფება, ეკონომიის რეჟიმის მტკიცედ გატარება — ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ კოოპერატივმა საზარალო ოპერაციები აწარმოოს. ნორმალური მოგება უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. მხოლოდ მაშინ შეუძლია კოოპერაციას განმტკიცება და ამასთან თავის ვალდებულებების პირნათლად განაღდება მრეწველობის და ბანკების წინაშე, რომელნიც მას საქონლის და ფულად სესხს აძლევენ. ეს ვალდებულებები დღეს ხშირად ირღვევა, რაც დიდ ზიანს აყენებს მრეწველობას და საკრედიტო სისტემას. საკრედიტო დისციპლინა კოოპერაციაში უნდა განმტკიცდეს.

კოოპერაციის ერთ-ერთ სენს ჯერ ისევ წარმოადგენს გაფლანგველობა. ეს მოვლენა საზიანოა არა მარტო ნივთიერად, არამედ იგი სახელს უტეხს კოოპერაციის იდეას ხალხის თვალში. მფლანგველობასთან ბრძოლა უნდა გაძლიერდეს. ამ საქმეში კერძოდ საზოგადოებრივ კონტროლს მოსახლეობის ჩაბმას დიდი მნიშვნელობა აქვს.

კოოპერაციას საბჭოთა სამეურნეო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის სოციალისტური მშენებლობის მთავარი გზაა სოფლად. ამიტომაცაა, რომ პარტია, მუშურ-გლეხური ხელისუფლება მას ამდენ ყურადღებას აქცევს, ამდენ დახმარებას უწევს. ეს ყურადღება და დახმარება, ადგილობრივი პარტორგანიზაციების სწორი ხელმძღვანელობა, საბჭოთა კოოპერატორების შეგნებული და თავდადებული მუშაობა, გლეხობის თვითმოქმედება—საწინდარია კოოპერაციის მოღონიერების და გაჯანსაღების.

საბჭოთა სამაზრო აპარატის რეორგანიზაციისათვის*)

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა დებულების პროექტი საბჭოთა სამაზრო ყრილობებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ. თუმცა 1922 წელს საქართველოს საბჭოთა მე-2 ყრილობის მიერ მიღებული იყო დებულება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ, მაგრამ ეს დებულება ნათლად და მკაფიოდ ვერ არკვევდა სამაზრო აღმასკომის მდგომარეობას საბჭოთა მთელს სახელმწიფოებრივ სისტემაში, მის უფლებრივ დამოკიდებულებას ხელისუფლების ორგანოებთან და დაწესებულებებთან, საკმაოდ არ იყო ნათელყოფილი სამაზრო აღმასკომის უფლება - მოვალეობანი, ამოცანები და მუშაობის მეთოდები. რაც შეეხება სამაზრო საბჭოთა ყრილობების დებულებას, ასეთი დღემდე არ გვაქვს სრულებით.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა რიგ საჭიროა დაკანონება დებულებისა ისეთი მნიშვნელოვანი ორგანოების შესახებ, როგორიც არის საბჭოთა სამაზრო ყრილობა და სამაზრო აღმასკომი. რა ამოცანებია დასახული აღნიშნულ დებულების პროექტში? უმთავრესად დებულება შეიცავს შემდეგს:

პირველი: პირველად საბჭოთა საქართველოში განსაზღვრავს მაზრის ტერიტორიაზე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — საბჭოთა სამაზრო ყრილობის უფლება - მოვალეობას ყველა იმ საკითხების დაახლოებით აღნუსხვით, რაც შედის სამაზრო ყრილობის კომპეტენციაში და მოქმედების ფარგლებში. **მეორე:** დაწვრილებით არკვევს სამაზრო აღმასკომის უფლება - მოვალეობას და მოქმედების ფარგლებს სამაზრო აღმასკომის მუშაობის ყოველ დარგში. **მესამე:** აყალიბებს სამაზრო აღმასკომის ერთიან სტრუქტურას და **მეოთხე:** განსაზღვრავს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა უფლება - მოვალეობებს.

დებულების პროექტში ხაზგასმით აღსანიშნავია ორი მთავარი მომენტი: ა) **სამაზრო აღმასკომის ორგანიზაცია და უფლება - მოვალეობათა განსაზღვრა და ბ) სამაზრო აღმასკომის სტრუქტურის შეცვლა.**

სამაზრო აღმასკომის შესახებ დღემდე არსებულ დებულებაში მეტად მცირედ არის გარკვეული სამაზრო აღმასკომის ფუნქციები და ასეთებიც ზოგადათ არის ნაჩვენები.

ახალ დებულების პროექტში (მე-2 კარის 1-ლ თავში) საკმაოდ ნათელყოფილია სამაზრო აღმასკომის ორგანიზაცია და მისი გამგებლობის საგნები. დებულების პროექტი სათანადო მუხლებში საკმარისად განსაზღვრავს აღმასკომის მოვალეობას და სამუშაო ფარგალს ორგანიზაციისა, კავშირისა და ხელმძღვანელობის დარგში, ადმინისტრატიულ მართვა-გამგეობისა, ადგილობრივ მეურნეობისა, კულტურულ - განმანათლებელ და საფინანსო - საბიუჯეტო დარგებში, აგრეთვე — საბჭოთა საზოგადოებრივობის ხელმძღვანელობისა და რევოლიუციონურ კანონიერების დაცვის საქმეში.

დებულების პროექტი ადიდებს არსებულ დებულებით განსაზღვრულ აღმასკომის წევრთა რიცხვს. ცხოველმყოფელი და ავტორიტეტული სამაზრო აღმასკომის შექმნისათვის აუცილებლად საჭიროა სამაზრო აღმასკომების შემადგენლობის რიცხობრივად გადიდება. არსებულ დებულების მე-3 მუხლით დაკანონებულია: „სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 15-ს და არ უნდა იყოს 12-ზე ნაკლები“.

ეს რიცხვი დღევანდელ პირობებში 50%-თაც მიუღებელია. ახალ დებულების პროექტში მაქსიმალური რიცხვი სამაღმასკომის განსაზღვრულია 17 წევრით და ხუთი კანდიდატით, მაგრამ, ჩვენი აზრით ესეც ცოტად უნდა ჩაითვალოს და ამ მხრივ სათანადო ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი. ჩვენი ფიქრით, სამაზრო აღმასკომის წევრთა მაქსიმალური რიცხვი უნდა უდრიდეს 45 წევრს და 15 კანდიდატს. ამას აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ამით საშუალება მოგვეცემა შევიყვანოთ აღმასკომში მნიშვნელოვანი თემაღმასკომების თავმჯდომარენი, უპარტიო გლეხები და სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი. აღმასკომის შემადგენლობის გაფართოებით საშუალება მიეცემა თემებს და დასახელებულ ორგანიზაციების წარმომადგენლებს უშუალო მონაწილეობა მიიღონ აღმასკომის მუშაობაში, რაც აუცილებლად ხელს შეუწყობს **ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოებს და ძირითად ორგანოებს შორის მჭიდრო, ცოცხალ კავშირის და ხელმძღვანელობის საქმეს.** ეს იქნება ამავე დროს საუკეთესო ფორმა მშრომელთა უშუალოდ ჩაბმისა მართვა - გამგეობაში.

დებულების პროექტის მეტად საყურადღებო მომენტია — აღმასკომის ახალი სტრუქტურა. 1922 წელს საბჭოთა მეორე ყრილობის მიერ სამაზრო აღმასკომის სტრუქტურა შეცვლილ იქნა და სამაზრო აღმასკომთან დაარსდა განყოფილებანი: 1. საერთო, რომელსაც დაეკისრა განათლების, ჯანმრთელობის, სოც. უზრუნველყოფის და შრომის საქმის გაძღოლა სათანადო ინსპექტორების მეშვეობით; 2. ადგილობრივი მეურნეობისა — ა) კომუნალური და ბ) საადგილ - მამულო ქვე-განყოფილებებით; 3. საფინანსო - საგადასახადო და 4. სამილიციო სამმართველოსი, რომელსაც დაეკისრა ხელმძღვანელობა მმაჩ-ის და საპატიმრო სახლების მუშაობაზე.

ასეთ რეორგანიზაციას მაშინ სარჩულად უდევდა აპარატის გამარტივება და შტატის შემცირება. მაგრამ მუშაობის პრაქტიკამ აშკარად დაგვარწმუნა, რომ პირველი მოსაზრება — სამაზრო აღმასკომის აპარატის გამარტივება და მოქნილობა არ გამართლდა. პირიქით: საერთო განყოფილებაში ზემოხსენებულ მნიშვნელოვან განყოფილებების გაერთიანებით შეფერხდა განსაკუთრებით განათლების და ჯანმრთელობის საქმე ადგილებზე.

ახალ დებულების პროექტი აუქმებს საერთო განყოფილებას და აგრეთვე ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებასაც — საადგილ - მამულო და კომუნალური განყოფილებების ცალ-ცალკე დაარსებით.

საერთოდ, მაზრაღმასკომების განყოფილებების და ინსპექციების შესახებ პროექტის მე-2 კარის მე-3 თავში მოცემულია ორი ვარიანტი და განსაზღვრულია ამ განყოფილებებისა და ინსპექციების ფუნქციები.

აგრეთვე აღსანიშნავია პროექტში გათვალისწინებული მაზრაღმასკომთან სავსებით ახალი — საორგანიზაციო განყოფილების დაარსება. ასეთი განყოფილების დაარსების აუცილებლობას ჩვენ უფრო ვრცლად შევეხეთ — გაზ. „კომუნისტი“-ს № 41-ში, მაგრამ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ საორგანიზაციო განყოფილების დაარსებას დაჟინებით გვიკარნახებს საკითხი საბჭოთა ძირითად აპარატების — თემსაბჭოების და თემაღმასკომების მუშაობის გამოცოცხლების შესახებ, ფართო მასის პოლიტიკურად და ეკონომიურად ზრდასთან და საერთოდ საბჭოთა საზოგადოებრივობის განვითარებასთან დაკავშირებით. ამასვე მოითხოვს სამაზრო აღმასკომის მუშაობისათვის გეგმიანობის და შინაარსიანობის მიცემა ძირითად საბჭოთა ორგანოების მუშაობაზე ხელმძღვანელობის და ცოცხალი და წერილობითი კავშირის განმტკიცების საქმეში.

საორგანიზაციო განყოფილების დაარსება საშუალებას მისცემს მაზრაღმასკომებს დაძლეულ იქნეს ის უსისტემო და უმეტეს ნაწილად კი არარეგულიარული ხელმძღვანელობის გაწევა ქვედა აპარატების მუშაობაზე, რასაც ბევრგან აქვს დღემდე ადგილი. ამ განყოფილების საშუალებით მაზრაღმასკომს საშუალება მიეცემა შეათანხმოს სხვა განყოფილებათა საქმიანობა ქვემდებარე საბჭოებისა და აღმასკომების მიმართ და გაუწიოს უშუალო ხელმძღვანელობა მმაჩ-ის ორგანოების მუშაობას, რაც დღემდე გაუგებრობით მილიციის გამგებლობაშია და ამის გამო მმაჩ-ის ორგანოების მუშაობა მაზრებში მეტად მოისუსტებს.

დებულების პროექტის განხილვა და დამტკიცება სდგას ცაკის მორიგ სესიაზე ა/წ. მაისში.

როგორც ვხედავთ, ცოტა დროა დარჩენილი სესიამდე და საჭიროა მანამდე დებულების პროექტი გახდეს ფართე მსჯელობის საგნად. პროექტი დაგზავნილი აქვს ყველა მაზრაღმასკომს, სახკომატებს და ცენტრალურ დაწესებულებებს დასკვნისათვის, თავიანთ მოსაზრებათა და ცვლილებების წარმოსადგენად შინსახკომში.

საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და ჩვენ ველით, რომ ამხანაგები ადგილებიდან და ცენტრიდანაც გამოსთქვამენ თავიანთ აზრს პრესის საშუალებითაც, რაც საშუალებას მოგვცემს ვიქონიოთ საზოგადოებრივი აზრი დებულების პროექტზე, გავითვალისწინოთ ამხანაგების მოსაზრებანი და შესწორებანი (თუ ასეთები იქნებიან) და თავის დროზე შევიტანოთ პროექტში საჭირო ცვლილებანი.

დ. ქუჩულორია.

---

*) კამათის წესით.

რედ.

ჩიჩერინის ნოტის გამოძახილი

გერმანიაში

ბერლინი, 14 აპრილი. გერმანიის პრესის ჟენეველ კორესპონდენტების ცნობით, **ჩიჩერინის ნოტამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ლიგას წრეებში, რომელნიც** განსაკუთრებით აღნიშნავენ ნოტის მკაცრ კილოს.

კორესპონდენტების აზრით, ჩიჩერინის ნოტას პირდაპირ პასუხს არ გასცემს არც ერთა ლიგის სამდივნო და არც შვეიცარიის მთავრობა. მაგრამ ან ერთი ან მეორე განმარტავს თავის დამოკიდებულებას იმ საყვედურებისადმი, რომელთაც ჩიჩერინის ნოტა შეიცავს.

როგორც კორესპონდენტები აღნიშნავენ, ერთა ლიგის წრეები კვლავ იმ აზრს იცავენ, რომ საბჭოთა კავშირის და შვეიცარიის კონფლიქტი საბაბს აძლევს საბჭოთა მთავრობას არ მიიღოს მონაწილეობა განიარაღების წინასწარ კონფერენციაში.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტი ფიქრობს, რომ ერთა ლიგის საბჭომ არ დააკმაყოფილა საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება კონფერენციის სხვა ქვეყნებში გადატანის შესახებ თავისი პრესტიჟის დაცვის გულისთვის და აგრეთვე ტეხნიკური მიზეზების გამო.

ნაციონალისტურ „დეიჩე ტაგესცეიტუნგ“-ის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ერთა ლიგის წრეები ძალიან უკმაყოფილო არიან ჩიჩერინის შეურიგებელ კილოთი.

ბერლინი, 14 აპრილი. **ჩიჩერინის ნოტა გერმანიის საზოგადოებრივი აზრის ცენტრში სდგას.**

შტრეზემანთან დაახლოებულ „ტეგლიხე რუნდშაუ“-ს საბჭოთა კავშირის საქციელი არ მიაჩნია სალ პოლიტიკურ ნაბიჯად, რადგან საბჭოთა კავშირს გაცილებით უფრო მეტი დახმარების აღმოჩენა შეეძლო განიარაღებისათვის, რომ მას ასეთი მკაცრი და უარყოფითი პოზიცია არ დაეკავებია იმ კონფერენციისადმი, რომელსაც ერთა ლიგა იწვევს.

„მიუხედავათ ამისა, მაინც უნდა შევუშურდეს საბჭოთა კავშირის მდგომარეობა,—სწერს გაზეთი,—რომელსაც ასე აშკარად შეუძლია სიმართლის თქმა“.

მემარჯვენე ბურჟუაზიული გაზეთიც **„ლოკალ ანცეგერ“** აცხადებს, რომ ჩიჩერინის მტკიცება სავსებით საფუძვლიანია და მწუხარებას გამოსთქვამს, **რომ გერმანია მონაწილეობას მიიღებს „განიარაღების კომედიაში“, რომელიც [illegible] გაიმართება.**

გერმანიის გაზეთებს შორის მხოლოდ ერთად-ერთი სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტ“-სი გამოდის ჩიჩერინის ნოტის წინააღმდეგ ჩვეულებრივი ინსინუაციებით. „ფორვერტ“-სი მკაცრი კილოთი ეკამათება ჩიჩერინს, რომელსაც პროვოკაციულ განზრახვებს აწერს.

საფრანგეთში

პარიზი, 14 აპრილი. საფრანგეთის პრესა აღელვებული გულით იხილავს ჩიჩერინის ნოტას ერთა ლიგის შესახებ.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლოს მდგომი გაზეთი **„ტანი“** ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის უარი განიარაღების კონფერენციის შემადგენლობაში მონაწილეობის მიღებაზე აიხსნება იმით, რომ მას სურს ჩაშალოს დასავლეთ სახელმწიფოებს შორის მიღწეული შეთანხმება და ამით მიიმხროს გერმანია.

„შეიძლება ჩვენ დაგვარწმუნონ, სწერს „ტანი“, რომ დაახლოვება მოსკოვსა და ბერლინს შორის არავის არ ემუქრება, რადგან გერმანია ყოველთვის აცხადებდა, რომ მისი შეთანხმება დასავლეთ სახელმწიფოებთან სრულიად არა სცვლის მის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან. მაგრამ ჩიჩერინის განცხადების შემდეგ ამაში ეჭვი უნდა შევიტანოთ. საბჭოთა დიპლომატია ვერ ფარავს, რომ მისი მუშაობა ინგლისის წინააღმდეგ არის მიმართული. ჩიჩერინის ნოტის კილო ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ საბჭოთა კავშირი სცდილობს ხელი შეუშალოს გერმანიის შეთანხმებას დასავლეთთან

მემარცხენე—ბურჟუაზიული „ევრო“ სწერს: „ვოროვსკის ისტორია და შვეიცარიის ტერიტორიაზე საბჭოთა დელეგატებისათვის უშიშროების გარანტიის უქონლობა—ეს ყველაფერი მხოლოდ საბაბია. ჩიჩერინის ნამდვილი მიზანია, სახელი გაუტეხოს ერთა ლიგას, კვლავ მიიმხროს გერმანია და შექმნას აღმოსავლეთში ძლიერი სამხედრო კავშირი ერთა ლიგის წინააღმდეგ“.

იტალიაში

რომი, 14 აპრილი. იხილავს რა ჩიჩერინის ნოტას, ერთა ლიგის შესახებ, ფაშისტური გაზეთი **„ტევერე“** სწერს:

„წაიკითხეთ ჩიჩერინის მამხილებელი წერილი ერთა ლიგის მდივანისადმი. **შეაფასეთ ბრალდება თვალთმაქცობისა და არაგულწრფელობაში, რაც სრულიად არ არის ნიადაგ მოკლებული და ასწონ-დასწონეთ ჩიჩერინის ირონია „მშვიდობიანობის“ მოყვარულთა [illegible], განა არ [illegible] ხელი მოვაწეროთ ამ ბრალდებებზე?!“.**

საბჭოთა კავშირი და იტალია

რომი, 14 აპრილი. იტალიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს **მუსოლინის** პასუხი ესპანელ ჟურნალისტების შეკითხვაზე იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის საიდუმლო ხელშეკრულების დადების შესახებ.

„მე გავიგონე ეს ლაყბობა—სთქვა მუსოლინიმ. საქმის ნამდვილი ვითარება მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის არსებობს ნორმალური ურთიერთობა, თუ გნებავთ, გულითადიც. ორივე სახელმწიფოს ეკონომიური თავისებურებანი ხელს უწყობს ორივე ქვეყნის ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარებას. **იტალია ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივ წესწყობილებას, ვინაიდან, ყოველ ერს უფლება აქვს აირჩიოს მართვა-გამგეობის ისეთი ფორმა, რომელიც მას სურს“.**

მ უ შ ა თ ა ბ ძ ო ლ ა

რეპრესიები გაფიცულთა წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. პასაიკის გაფიცულ ფეიქრების წინააღმდეგ რეპრესიები ძლიერდება. **ფაქტიურად აღდგენილია სამხედრო წესები. მიტინგებს ერეკებიან, დემონსტრაციებს ძალით შლიან. ხდება მასიური დაპატიმრება.**

გაფიცულთა დაპატიმრებულ ბელადის ვეისბორდის თავდებობის ქვეშ გასანთავისუფლებლად 30.000 დოლარია დაწესებული; ასთანავე პოლიცია გაფრთხილებას იძლევა, რომ თუ ვეისბორდი თავდებობის ქვეშ გაანთავისუფლეს, ის ხელმეორედ იქნება დაპატიმრებული ახალი ბრალდების წარდგენის შემწეობით.

უმუშევართა დემონსტრაცია

ვილნო, 14 აპრილი. კვლავ შესდგა უმუშევართა დემონსტრაცია, რომელშიაც რამოდენიმე ათასი უმუშევარი იღებდა მონაწილეობას. დემონსტრაცია შრომის ბირჟიდან ქალაქის თვითმმართველობისაკენ გაემართა სამუშაოს და პურის მოთხოვნით. თვითმმართველობის შენობას იცავს პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი.

ჩინეთი უმთავრობოთ

მინისტრთა თათბირი

პეკინი, 14 აპრილი. ჩინეთის მინისტრების თათბირმა, რომელსაც დაესწრენ გარეშე საქმეთა, ფინანსთა, იუსტიციის, განათლების, საზღვაო მინისტრები და რამოდენიმე მინისტრის ამხანაგი, დაადგინა განაგრძოს მთავრობის მუშაობა, სანამ პოლიტიკური მდგომარეობა არ გამოირკვევა და მუდმივი მთავრობა არ შესდგება.

შინაგან საქმეთა მინისტრი ხუ-ვეი-ტე ეწვია ჰოლანდიის ელჩს უდენდაიკს და აცნობა იმ დადგენილების შესახებ, რომელიც მინისტრთა თათბირმა მიიღო. ხმების მიხედვით, უდენდაიკი თანაგრძნობით შეხვდა ხუ-ვეი-ტეს წინადადებას, მაგრამ გარკვეული პასუხი არ მიუცია.

უდენდაიკმა ამავე დროს განაცხადა: „რადგან დუან-ძი-ჯუიმ მიატოვა თავისი პოსტი, ამით თავისი უფლებებიც დაჰკარგა. **თუ ის ან მისი მომხრეები განაგრძობენ პოლიტიკურ მუშაობას ელჩთა უბანში, დიპლომატიური კორპუსი მიიღებს ზომებს, რომ ხელი შეუშალოს ამას“.**

ავტორიტეტული წყაროების მიხედვით, დიპლომატიური კორპუსი იხილავდა პეკინში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას. კორპუსის წევრთა უმრავლესობა იმ აზრს იცავდა, რომ ეცნოთ დუან-ძი-ჯუის გადადგომა, მაგრამ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომელნიც დაინტერესებული არიან დუან-ძი-ჯუის მთავრობის თავმჯდომარეთ დატოვებით, სასტიკად ილაშქრებდენ ამის წინააღმდეგ, რადგან მათ იმედი აქვთ, რომ მდგომარეობა შეიცვლება და დუან-ძი-ჯუი შესძლებს დაუბრუნდეს თავის მოვალეობას“.

ასეთი უთანხმოების გამო საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

ფულის გატაცება

პეკინი, 14 აპრილი. **გამოირკვა, რომ დუან-ძი-ჯუის მიუთვისებია ერთი მილიონი მანეთი, რომელიც მისთვის გადაუცია დიპლომატიური კორპუსს საბაჟო შემოსავლის ნაწილიდან პოლიციის და პირადი დამცველი რაზმის ჯამაგირების გასასტუმრებლად.** დიპლომატიური კორპუსი ცდილობს თავიდან მოიხსნას პასუხისმგებლობა დუან-ძი-ჯუის მიერ ფულის მითვისებაში. ჩინელები აღშფოთებული არიან დიპლომატიური კორპუსის ცინიზმით, რადგან მან მილიტარისტებს გადასცა ის თანხა, რომელიც ჩინეთს ეკუთვნოდა, ხოლო ეხლა კი აცხადებს, რომ ეს ფული დიპლომატიურ კორპუსს არ ეკუთვნოდა და ამიტომ ის მისი ბედით არ არის დაინტერესებული.

მოლაპარაკება გადადებულია

ლონდონი, 14 აპრილი. ჰონკონგიდან მიღებულ ცნობების თანახმად, **წინასწარი მოლაპარაკება ჰონკონგის და კანტონის მთავრობებს შორის გადადებულია განსაზღვრული დროით, რადგან ჰონკონგის მთავრობა კატეგორიულ უარს ამბობს კომპენსაციის მიცემაზე გაფიცულთათვის.**

ერთა ლიგის გარეშე

პარიზი, 15 აპრილი. შვეიცარიის ნაციონალურ საბჭოს (ზედა პალატა) სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა **მოტტამ** განაცხადა, რომ ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე შვეიცარია ხმას მისცემს ლიგის საბჭოში გერმანიისათვის მუდმივ ადგილის მიცემას. ამასთან ერთად, შვეიცარია გაილაშქრებს ერთა ლიგის საბჭოში ახალი ადგილების შექმნის წინააღმდეგ.

ფ რ ა ნ გ ე ბ ი ს ი რ ი ა შ ი

ანგორა, 14 აპრილი. სამხედრო მდგომარეობა სირიის ცალკე ნაწილებში ასეთია:

ლიხანის სამხრეთით ფრანგები ვერ გასცილდნენ იმ პოზიციას, რომელიც მათ [illegible] დრუზებს გასული [illegible] კაცისაგან შემდგარ რაზმის სრული განადგურება ხესბეისა და ბოლბეკს შუა, ე. ი. იმ რაიონში, რომელიც ფრანგების ხელში იყო, მოწმობს იმას, თუ რამდენათ სუსტია კავშირი საფრანგეთის ჯარის ნაწილებს შორის, რომელთა ზურგში ჩნდებიან აჯანყებულთა ახალი რაზმები.

შუა სირიაში, ჰომასის და ჰამის რაიონში, მდგომარეობა უცვლელია, რადგან აქ არც ფრანგებს, არც აჯანყებულებს საკმაო ძალები არ გააჩნიათ შეტევაზე გადასასვლელათ.

ნაწილობრივ წარმატებებს ფრანგებმა მხოლოდ ჩრდილოეთში, ჰალეპოს რაიონში მიაღწიეს. ამ რაიონის აჯანყებულთა წინამძღოლის იბრაჰიმ ხანანუს კაპიტულაციამ ფრანგებს ერთგვარი დრო და საშუალება მისცა თავისი პოზიციების განმტკიცებისათვის. მაგრამ მარტის დასაწყისიდან, ჰალეპოს მიდამოებში, ქალაქის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში, თავი მოიყარეს აჯანყებულთა ახალმა რაზმებმა, რომელთაც კავშირი ჰქონდათ აჯანყებულებთან ოსმალეთის საზღვრის მახლობლად.

ამრიგად, 8 თვის განმავლობაში შეიძლება ითქვას, რომ ფრანგებმა, მიუხედავათ დიდი მსხვერპლის გაღებისა, ვერ მოახერხეს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება, მაშინ, როცა აჯანყებულებმა, როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო დარგში, სერიოზულ გამარჯვებას მიაღწიეს.

ავსტრიის დელეგაცია

ვენა, 14 აპრილი. **ავსტრიის მუშათა დელეგაციის დაბრუნება საბჭოთა კავშირიდან გადაიქცა ვენის მუშების დიდ დემონსტრაციათ.** დელეგაციის შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო კომუნისტებმა, არამედ დაბალმა მენშევიკებმაც. დელეგაცია ეწევა აგიტაციას პროფმოძრაობის მიმართვისა და პროფკავშირების რევოლიუციონურ ნიადაგზე დაყენებისათვის. დელეგატები აკეთებენ მოხსენებებს სამრეწველო ცენტრებში საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ

კრიზისი ინგლისში

კუკის განცხადება

ლონდონი, 14 აპრილი. ინგლისის სამთო-მადნო მუშათა ფედერაციამ მაღაროების მეპატრონეებს გადასცა მემორანდუმი. ამის გამო ინგლისის სამთო-მადნო მუშათა კავშირის გენერალურმა მდივანმა **კუკმა** განაცხადა, რომ შექმნილი მდგომარეობა „გამოუვალ ჩიხს“ წარმოადგენს.

პრესა სერიოზული კილოთი ლაპარაკობს ინგლისის ქვა-ნახშირის მრეწველობაში შექმნილ კრიზისზე.

მაღაროს მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ ისინი შეეცდებიან სხვადასხვა რაიონში მიაღწიონ შეთანხმებას სამთო-მადნო მუშებთან ინგლისის სამთო-მადნო მუშათა ფედერაციის დამოუკიდებლათ.

ინგლისის სამთო-მადნო მუშათა ფედერაციამ უდდო-ფიმმენისაგან მიიღო წერილი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ **ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომმა ერთხმად დაადგინა მხარი დუჭიროს ინგლისის სამთო-მადნო მუშებს მაღაროების მეპატრონეთა წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ საქმე კონფლიქტამდე მივიდა.**

მთავრობის სხდომა

ლონდონი, 15 აპრილი. **ინგლისის კაბინეტის დღევანდელი სხდომა ნახშირის საკითხის განხილვას მოუნდა.** სხდომის შემდეგ გამოცხადდა, რომ ბალდუინს საღამოს თათბირი ექნება ტრედიუნიონების კონგრესის სამრეწველო კომიტეტთან, რომელიც როგორც ცნობილია, მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც მაღაროების მუშების მრჩეველი.

ნახშირის მაღაროების მუშების ფედერაციის თანამდებობის პირებს განზრახული აქვთ ბრიუსელში გამგზავრება, სადაც უნდა დაესწრონ ნახშირის მაღაროების მუშათა საერთაშორისო გაერთიანების აღმასრულებელ კომიტეტის კრებას, რომელიც პარასკევისათვის არის დანიშნული. ამრიგად, ისინი ვერ დაესწრებიან იმ თათბირს, რომელსაც ბალდუინი მართავს ტრედიუნიონების კონგრესის კომიტეტთან. როგორც ფიქრობენ, ბალდუინი მაინც ნახავს იმათ ლონდონში მათ გამგზავრებამდე.

სხვადასხვა ჯგუფები ყოველ[illegible] ძალ-ღონეს ხმარობენ ისეთი ბაზისის გამოსაძებნად, რომელზედაც შესაძლებელი იქნება ორივე მხარის შეთანხმება. მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს შემდეგი: შეთანხმება სამუშაო ხელფასის შესახებ დადებულ იქნეს მაღაროების მუშების საოლქო ორგანიზაციების მოთხოვნილების თანახმად, რომელთაც მაღაროების მეპატრონეები აყენებენ.

უკანასკნელი ცნობები

ფუნტიკოვის საქმე

ბაქო, 15 აპრილი. საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის პირველი სხდომა გაიხსნება 17 აპრილს, საღამოს 5 საათზე ბუნიატ-ზადეს სახელობის თეატრში.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—**კამერონ**, წევრები—**ანაშკინი**, და **მირ-ბაში კასუმოვი** (აზერ. სოც. საბჭ. რესპ.) ბრალს სდებს **ქავთარაძე**, იცავენ **კლანკი** და **სარუმოვი**.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი არ იქნება.

პრესის გამოძახილი ამხ. ჩიჩერინის ნოტაზე

პარიზი, 14 აპრილი. მემარცხენე ბლოკის ორგანო „კოტიდიენ“-ი, იხილავს რა ჩიჩერინის ნოტას ერთა ლიგის მიმართ სწერს, რომ საბჭოთა კავშირი ცდილობს ისარგებლოს ერთა ლიგის ყოველგვარი წაბორძიკებით.

პოლონეთმა ვერ მიიღო მუდმივი ადგილი ერთა ლიგის საბჭოში, „იზვესტია“ იმ წუთშივე უცხადებს მას თანაგრძნობას და საბჭოთა კავშირთან დაახლოვებისაკენ მოუწოდებს. აქამდის პოლონეთი ამ ავანსებს ფხიზლად უყურებდა. მან არ სთქვა უარი საგარანტიო პაქტის დადებაზე, მაგრამ მოითხოვა, რომ მასში მონაწილეობა მიეღო ბალტიის სახელმწიფოებსაც. ჩიჩერინს ასეთი ფართო შეთანხმება არ მოსწონს. საბჭოთა კავშირს არ სურს, როგორც სჩანს, რომ პოლონეთი გახდეს ბალტიის სახელმწიფოთა სტატუს ქვოს გარანტი. არც პოლონეთია ჯერ მზად იმისათვის, რომ დასტოვოს ერთა ლიგა და მოსკოვს მიაშუროს.

სენ-ბრისს ბურჟუაზიულ გაზეთ „ჟურნალ“-ში მოჰყავს ნოტიდან ჩიჩერინის სიტყვები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი განიარაღების ინიციატივას რომელსაც იჩენენ ერთა ლიგის გარეშე მდგომი წრეები და სწერს, რომ ეს ფრაზა პირდაპირ მიმართულია ამერიკისადმი.

„ერთა ლიგისა და ჩინეთის მიმართ, აცხადებს სენ-ბრისი შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ერთგვარია“.

ნაციონალისტურ „ეკო-დე-პარი“-ში პერტინაკსი სწერს, რომ საბჭოთა კავშირის უარი განიარაღების წინასწარ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზე საშუალებას არ თმევს გერმანიას მძიმე პირობებში ჩააყენოს საფრანგეთი.

პერტინაკსი ფიქრობს, რომ გერმანია უსათუოდ მოითხოვს განიარაღების წინასწარი კონფერენციის გადატანას შვეიცარიიდან რომელიმე სხვა ქვეყანაში.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ხელ-ახალი არჩევნები გერმანიაში

ბერლინი, 14 აპრილი. რურის ოლქის სამთომადნო წარმოებათა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ხელახალ არჩევნებში მუშები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. უკანასკნელ ცნობამდის მიღებულ, არასრულ ცნობების მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 264.148 მუშამ. პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანებამ მიიღო 1460 მანდატი, გასული წლის კი სულ 570 ჰქონდა. ადგილები დაჰკარგეს რეაქციონურმა და ყვითელმა პროფკავშირებმა.

სიმშილობა—პროტესტის ნიშნად

ვენა, 14 აპრილი. სოფიის ცენტრალურ საპყრობილეს 40 პატიმარმა, რომელთაც ცანკოვის ბატონობის დროს სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი, სიმშილობა გამოაცხადეს ციხეში არსებულ საშინელ პირობების გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ მათ არ ხსნიან ბორკილებს ხელებზე და ფეხებზე.

საფრანგეთის პროტესტი

ბერლინი, 15 აპრილი. საფრანგეთი პროტესტს აცხადებს ინგლის-იტალიის შეთანხმების წინააღმდეგ, რომელიც აწესრიგებს ამ ორ სახელმწიფოთა ურთიერთობას აბისინიაში.

ფრანგები ამბობენ, რომ ეს შეთანხმება არღვევს საფრანგეთ - იტალია - ინგლისის 1906 წლის შეთანხმებას.

კრიზისი სანახშირო მრეწველობაში

ლონდონი, 15 აპრილი. სანახშირო საქმეებში ბალდუინის ჩარევას სთვლიან, როგორც საყურადღებო ფაქტორს მოლაპარაკების დროს.

შრომის მინისტრმა მიიღო მაღაროს მეპატრონეთა და ტრედიუნიონთა საბჭოს სამრეწველო კომიტეტის წარმომადგენლები მაღაროს მუშათა აღმასკომის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შემდეგ.

მოლაპარაკებათა შედეგები შრომის მინისტრმა მოახსენა ბალდუინს.

გაზეთები იუწყებიან, რომ ბალდუინმა სთხოვა კომიტეტს გააფრთხილოს მაღაროს მუშები რათა ისინი მზად იყვნენ მისი ცნობის მოსასმენად დღესვე.

დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმ ფაქტს, რომ გერბერტ სმიტი და კუკი, რომლებიც გუშინ უნდა გამგზავრებულიყვნენ მაღაროს მუშათა საერთაშორისო ყრილობაზე ბრიუსელში, ლონდონში დარჩენ.

ავერესკუს მთავრობის წინააღმდეგ

ვენა, 14 აპრილი. რუმინეთის გლეხთა პარტიის აღმასკომმა რუმინეთის მოსახლეობას მიმართა მოწოდებით. **აღმასკომი მოუწოდებს მოსახლეობას იბრძოლოს ახალი მთავრობის დასამხობათ, რომელსაც მხარს უჭერს ბრატიანუ და მეფე და არა მოსახლეობა.**



გენერალი ავერესკუ
რუმინეთის პრემიერი

ზავი რიფებთან

ლონდონი, 14 აპრილი. ტანჟერიდან მიღებული ცნობით დროებითი ზავის ჩამოგდების განზრახვის გამო. **15 აპრილს აბდ-ელ-ქერიმმა განკარგულება გასცა საომარ მოქმედების შეჩერების შესახებ.**

ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ

ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ

ლენინგრადი, 15 აპრილი. ამუნდსენის ჩრდილოეთ პოლიუსზე გადაფრენის შესახებ, რუსეთის ცნობილმა გეოგრაფმა და გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ შაკალსკიმ განაცხადა:

„გაძლიერებული ინტერესი ამუნდსენის ექსპედიციისადმი სავსებით გასაგებია. ექსპედიციამ უნდა მიაღწიოს იმ მიწას, რომელიც უნდა არსებობდეს, მაგრამ რომელზედაც ჯერ ფეხი არ გაუდგამს ადამიანს. განახორციელებს თუ არა ის თავის გეგმას—ამის თქმა ძნელია. დირიჟაბლი შპიცბერგენის კუნძულიდან გეზს აიღებს მერიდიანისაკენ ალიასკის მიმართულებით. თუ დირიჟაბლმა მიაღწია პოლიუსს მას მოუხდება დაშვება. მხოლოდ განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში შესაძლებელი იქნება თანამშრომლების მიერ მაგნიტური და ასტრონომიული გაზომვის წარმოება“.

ლენინგრადი, 15 აპრილი. დირიჟაბლის სადგურიდან ლენინგრადის რადიო სადგურს აცნობებს, რომ დირიჟაბლი ტროცკში მოფრინდება 15 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათზე და 40 წუთზე.

ოსლო, 14 აპრილი. **დირიჟაბლი „ნორვეგია“ 14 აპრილს ოსლოში ჩამოვიდა.**

ოსლო, 14 აპრილი. **დირიჟაბლი „ნორვეგია“ დღეს გაფრინდა ოსლოდან.**

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

— **გერმანია და ერთა ლიგა.** გერმანიამ ფორმალური თანხმობა განაცხადა ერთა ლიგის მიპატიჟებაზე ლიგის საბჭოს რეორგანიზაციის საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებათ.

ნოტა გაეგზავნა ლოკარნოში შტრეზემანს ხელისმოსაწერათ. ნოტაში აღნიშნულია, რომ გერმანია ლიგის საბჭოს რეორგანიზაციის დროს მხედველობაში მიიღებს არა რომელიმე სახელმწიფოს ან ჯგუფს, არამედ მთლიანად ლიგის ინტერესებს.

გერმანიის წარმომადგენლად დაინიშნება ალბათ ფონ-ბიუსკი.

—**პანგალოსი შურს იძიებს.** საგანგებო სამხედრო სასამართლომ სალონიკში მომხდარ აჯანყების საქმის გარჩევის შემდეგ პოლკოვნიკ კარაკუფოსს და ჯევასს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, 7 სხვა ოფიცერს ხანგრძლივი დაპატიმრება.

რომი, 14 აპრილი. ათინიდან მიღებული ცნობით, პრეზიდენტ პანგალოსმა მანიფესტაციას, რომელიც მოითხოვდა სალონიკში მომხდარ აჯანყების მონაწილეთა დასჯას, განუცხადა, რომ ეს აჯანყება არის „უკანასკნელი პოლიტიკური ხასიათის კონვულსია“.

— **ექსპრესის დამსხვრევა.** საერთაშორისო ექსპრესი, რომელიც მიდიოდა ბუქარესტიდან ბაზელში, ვენაში გავლით, კრაკოვის მახლობლათ დაიმსხვრა. დაჭრილია 28 კაცი.

— **საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულება.** გუშინ ბრიანსა და გერმანიის ელჩს ფონ-ჰეშს შორის ხელმოწერილია დროებითი სავაჭრო ხელშეკრულება.

— **იტალია და წითელი ზღვა.** იტალიის კოლონიების მინისტრი დისკალია **„პოპოლო დი რომაში“** სწერს: „იტალია ვერ დაუშვებს, რომ წითელი ზღვა მარტო ინგლისის კონტროლს ექვემდებარებოდეს“. რადგან მასსუ წითელი ზღვის სადარაჯო პუნქტს წარმოადგენს, იტალია გაამაგრებს ამ ნავთსადგურს.

— **ამერიკა და ერთა ლიგა.** პრეზიდენტმა **კულიჯმა** წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განიმეორა, რომ ამერიკა მზადაა შევიდეს საერთაშორისო ტრიბუნალში, თუ მხედველობაში იქნება მიღებული შენიშვნები, მაგრამ უარს ამბობს ერთა ლიგაში შესვლაზე.

— **სპარსეთის მეჯლისის არჩევნები.** 8 აპრილს თეირანში დაიწყო მეჯლისის არჩევნები.

არჩევნები ხდება პერსონალურად, რის გამო ხმების დათვლას დიდი ხანი მოუნდება და არჩევნების შედეგები გამოირკვევა მხოლოდ მაისის დასაწყისში.

— **დამნაშავეები აღმოაჩინეს.** პერემ განაცხადა, რომ მკაცრი ზომები იქნება მიღებული იმ პირების წინააღმდეგ, რომელნიც ყალბ ცნობებს ავრცელებენ ბირჟის შესახებ, რადგან ისინი არიან პასუხისმგებელი ფრანკის დაცემაში.

— **ჩიორნის გადადგომის წინ.** ჩიორნის ცდამ გაეტარებია კანონი სამოქალაქო მოსამსახურეების შესახებ განსაცდელში ჩააგდო მისი კაბინეტი. მოსალოდნელია კაბინეტის გადადგომა.

დაჯახება მოხდა 300 ფუტის სიმაღლეზე.

— **მეჯლისის არჩევნები. სპარსეთის პროვინციის გუბერნატორმა კორმანშახმა განაცხადა, რომ თეირანიდან მას მოუვიდა ბრძანება მიიღოს ზომები რათა მეჯლისში არჩეულ იქნენ მთელი რიგი ანგლოფილებისა, მათ რიცხვში ყოფილი უსტიციის მინისტრი ნუსრედ დოვლე.**

ეს განცხადება დამახასიათებელია მეჯლისის ეხლანდელი არჩევნებისათვის.

მოხალისეთა გამოძახება რადიოთი

ქ. ლიდსის (ინგლისშია) საავადმყოფომ ერთი მომაკვდავი ავადმყოფის გადასარჩენად რადიოთი გამოიწვია მოხალისეები. ეს ავადმყოფი, დაუძლურებული სისხლის დიდი რაოდენობის დაკარგვით, საჭიროებდა სასწრაფოთ სისხლის გადმოსხმას. ვინაიდან საავადმყოფოში არ აღმოჩნდა კაცი, რომელიც შესძლებდა ავადმყოფისათვის სისხლის საჭირო რაოდენობის დათმობას, საავადმყოფომ რადიოთი გამოუძახა მოხალისეებს. პირველი მოხალისე მივიდა საავადმყოფოში 7 წუთის შემდეგ.

გამოძახებიდან პირველი საათის განმავლობაში საავადმყოფოში გამოცხადდა 30 მოხალისე. სისხლის გადასხმის ოპერაცია დამთავრებული იყო, მოხალისეები კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ. სულ გამოცხადდა 50 მოხალისე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მათ შორის არც ერთი ქალი არ ყოფილა.

უზარმაზარი კოშკი

ბროდვეის ქუჩაზე ნიუ-იორკში დაიწყო აშენება უზარმაზარი კოშკის, რომელიც ყველაზე მაღალი შენობა იქნება მსოფლიოში. იგი იქნება 115 საჟენი სიმაღლის. მასში იქნება მოთავსებული საავადმყოფო, ბანკი და სასტუმრო 4.500 ოთახით. არც „სულის ცხონება“ იქნება დავიწყებული და კოშკში მოეწყობა ეკლესია.

მთელი შენობის აგება 7.000.000 მანეთი დაჯდება.

საკავშირო ცაკის მეორე სესია

ამხ. რიკოვის მოხსენება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

ახლა ჩვენი მრეწველობა აღწევს დაახლოვებით 95, ხოლო სასოფლო მეურნეობა—91 პროცენტს ომის წინადროის დონესთან შედარებით.—მეტი ყურადღება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

ჩვენი ამოცანაა: სამრეწველო საქონლის რაოდენობის გადიდება და მრეწველობის განვითარება

სახელმწიფო სარეზერვო ფონდის საკითხი

ჩვენი და კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტი

მოსკოვი, 15 აპრილი. თავის მოხსენებაში 1925—26 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 12 აპრილის სხდომაზე ამხ. **რიკოვმა** სთქვა:

„ჩვენი ბიუჯეტი გამოხატავს ეკონომიურ ურთიერთობათა ისეთ სისტემას, რომელშიც ტრანსპორტი, ბანკები, მთელი მრეწველობის და ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაციონალიზაციაქმნილია და გადასულია სახელმწიფოს ხელში. ამიტომ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის კავშირი ქვეყნის მთელ სამეურნეო ცხოვრებასთან—უშუალო და ორგანიულია, მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ სახელმწიფოში, სახელმწიფო ბიუჯეტის საზღვრებს იქით იწყება კერძო მეურნეობის განუსაზღვრელი სფერო.

არ შეიძლება უბრალოთ და არაკრიტიკულად შევადაროთ ჩვენი ბიუჯეტი კაპიტალისტურ ქვეყნების ბიუჯეტთან. არ შეიძლება ჩვენი საბიუჯეტო მეურნეობა დავუპირდაპიროთ კავშირის ან მის ნაწილების მთელ სახალხო მეურნეობას. ამიტომ მიმდინარე წლის ბიუჯეტის განხილვის და შეფასების დროს საჭიროა მხედველობაში მივიღოთ, როგორც მთელი თანამედროვე სამეურნეო პირობები, ისე საბჭოთა კავშირის ეკონომიური პოლიტიკის უახლოეს ამოცანათა გადაჭრის პერსპექტივები.

გარდატეხის წელიწადი

ახალ ეკონომიური პოლიტიკის ეს წელიწადი რამოდენიმე გარდატეხის წელიწადათ უნდა ჩაითვალოს.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის მომენტში ქვეყნის სამეურნეო დაცემის ხარისხი გამოიხატებოდა შემდეგ ორ ციფრში: მრეწველობის პროდუქცია უდრიდა 18—20%-ს, სასოფლო-მეურნეობის პროდუქცია კი —49%-ს. ომის წინა დროსთან შედარებით. ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისში სასოფლო-მეურნეობას გაჰქონდა ბაზარზე თავისი პროდუქციის იმდენათ მცირე ნაწილი, რომ ჩვენ მაშინ მწვავე სასურსათო კრიზისს განვიცდიდით. მთელი მეურნეობის და მრეწველობის განვითარება იმ პერიოდში მთლიანად დამოკიდებული იყო უწინარეს ყოვლისა სასოფლო მეურნეობის სისუსტეზე. საჭირო იყო მუშებისთვის პურის მიღება, ქალაქის მცხოვრებთა სურსათით უზრუნველყოფა და მრეწველობისათვის ნედლი მასალის მიწოდება. ამის მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ სასოფლო მეურნეობის განვითარებით.

ამიტომ სასოფლო მეურნეობა აღმოჩნდა ისეთი სუსტი მხარე მთელი ჩვენი მეურნეობის სისტემაში, რომ მისი განმტკიცება წარმოადგენდა აუცილებელ წინასწარ პირობას მთელი ქვეყნის მეურნეობის განვითარებისათვის.

ჩვენი სამეურნეო მიღწევანი

ეხლანდელი სამეურნეო მდგომარეობა ძალიან განსხვავდება ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისის სტადიისაგან. **ეხლა მრეწველობა აღწევს დაახლოვებით—95%-ს, სასოფლო მეურნეობა—91%-ს, ომის წინა დროის დონესთან შედარებით.** ახალ ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისში [illegible] სასურსათო კრიზისს ადგილი ჰქონდა, ეხლა კი ჩვენ განვიცდით სამრეწველო საქონლის ნაკლებობას.

მაშინ ჩამორჩენილი იყო სასოფლო მეურნეობა, ეხლა ჩამორჩენილია მრეწველობა.

ჩვენი სახელმწიფო არის, ალბად, ერთად-ერთი სახელმწიფო, რომელმაც თავი დააღწია საშინელ ნგრევას ისე, რომ არ მიუმართავს უცხოეთის სესხისათვის. ჩვენ ეკონომიურ მიღწევებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან ის მოწმობს, რომ მუშებს და გლეხებს აქვთ სამეურნეო მნიშვნელობის უნარი, რომ მეურნეობის ორგანიზაცია საბჭოთა ხელისუფლების დროს გაცილებით უფრო მტკიცეა, ვინემ ბურჟუაზიული—კაპიტალისტურ წყობილების დროს.

საქონლის სიმცირე

მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი მრეწველობის პროდუქცია ომის წინა პერიოდის 95 პროც. აღწევს, სასოფლო მეურნეობა კი—91 პროცენტს, ჩვენ საქონლის ნაკლებობას განვიცდით. რა არის ამის მიზეზი? საქონლის ნაკლებობის უმთავრესი მიზეზი არის გაძლიერებული მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე მთელი მოსახლეობის მხრით. გლეხის ბიუჯეტში მოხდა ღრმა ცვლილებები. მიწის ნაციონალიზაცია, [illegible] გადასახადისაგან განთავისუფლება ადიდებს სოფლის სყიდვითი უნარს. ამიტომ მიწის დამუშავების ზრდასთან ერთად გლეხებში იზრდება მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე.

საქონლის ნაკლებობის გამწვავებაში ერთგვარი როლი ითამაშა აგრეთვე მძიმე მრეწველობის ჩქარი ტემპით განვითარებამ და ფართო საალმშენებლო პროგრამის განხორციელების დაწყებამ. ყველა ზემოდ აღნიშნული მოვლენები მეტად აძლიერებენ ქალაქის და სოფლის მოთხოვნილებას მრეწველობის ნაწარმოებზე. ამ მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილება არ შეეძლო ჩვენს მრეწველობას.

მე სრულებითაც არ მინდა ვინმე შეცდომაში შევიყვანო და ვსთქვა, რომ საქონლის ნაკლებობა შეიძლება მოსპობილ იქნეს ახლო მომავალში. სოფლად ნაციონალური სამეურნეო ურთიერთობის ღრმავების გამო მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე თანდათანობით გაიზრდება.

შეცდომები

საერთო ეკონომიური დაბრკოლებები, რომელნიც საქონლის ნაკლებობიდან გამომდინარეობენ, კიდევ უფრო გართულებულ იქნენ შეცდომებით მნიშვნელოვან გეგმების შედგენის და განხორციელების დროს. ამ შეცდომებს უმთავრესად ადგილი ჰქონდა წარსული წლის შემოდგომაზე პურის დამზადების, ექსპორტის და იმპორტის გეგმის და კაპიტალური აღმშენებლობის და სამრეწველო განვითარების პროგრამის შედგენის დროს. ერთ-ერთ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა პურის დამზადების არა დამაკმაყოფილებლად ჩატარება.

რა არის დამარცხების მთავარი მიზეზი ამ სფეროში? ეს მიზეზი ნაწილობრივ მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ, ჯერ ერთი, ზედმეტად შევაფასეთ მოსავლის რაოდენობა და საკმაოდ ვერ შევაფასეთ თვით გლეხობის მიერ პურის მოხმარების ზრდა. გარდა ამისა, გლეხი „შავი დღისათვის" იტოვებს პურის მარაგს. ამ მხრივ სახელმწიფომ უნდა ისწავლოს გლეხობისაგან: უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც იქცევიან გლეხები და შევქმნათ მარაგი „შავი დღისათვის". ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ ბიუჯეტის და სამეურნეო ვაჭრობის სფეროში.

მაგრამ პურის დამზადების არა დამაკმაყოფილებლად ჩატარების უმთავრესი მიზეზი, რასაკვირველია, საქონლის ნაკლებობა არის, თუ გლეხს არ შეუძლია არაფრის შეძენა დუქანში, მას აღარ აქვს გაყიდვის სურვილი.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საჭიროება

აქედამ გამომდინარეობს ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანები—**სამრეწველო საქონლის რაოდენობის გადიდება, მრეწველობის განვითარების გაძლიერება.**

ჩვენმა მრეწველობამ მიმდინარე წელს თავისი პროდუქცია გაადიდა 35—40 პროცენტით.

ბაზარზე გამოტანილ საქონლის რაოდენობის გადიდებასთან ერთად, საჭიროა მივაღწიოთ საწვრილმანო ფასების შემცირებას ჩვენი სახელმწიფოს და კოოპერატიული ვაჭრობის გაუმჯობესების და ზედნადები ხარჯების შემცირების გზით. საწვრილმანო ფასების შემცირება, ბაზარზე სპეკულიაციის მოსპობა, საერთო სიძვირის დაძლევა—აი, უმთავრესი და გადაუდებელი ამოცანები, რომელნიც სდგანან ჩვენს წინაშე.

ეხლა, როცა მეურნეობა განიცდის მრეწველობასა და სასოფლო-მეურნეობაში დასაბანდებელ თანხების სიმცირეს, თვითეული კაპეიკის დახარჯვა უმიზნოთ და უნაყოფოდ ნიშნავს ბოროტმოქმედების ჩადენას. სახელმწიფომ და მთელმა ჩვენმა პარტიამ უნდა განახორციელოს უსასტიკესი ეკონომიის რეჟიმი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ყველა საფეხურებზე.

ასეთია საერთო ეკონომიური მდგომარეობის უმთავრესი მომენტები.

სახელმწიფო სარეზერვო ფონდი

ჩვენ წინადადება შემოგვაქვს ცაკის სესიაზე დამტკიცებულ იქნეს ბიუჯეტი, რომელშიაც შემოსავლის ნაწილი გასავლისას აღემატება 100 მილიონით. ეს თანხა შეადგენს სახელმწიფო რეზერვს.

ბიუჯეტის საკითხებთან ერთად სესიაზე დასამტკიცებლად შეტანილია ორი მნიშვნელოვანი საკითხი: მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და ადგილობრივ ბიუჯეტის შესახებ.

მე ვფიქრობ, რომ პრინციპიალურ თვალსაზრისით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რეფორმა არავითარ ეჭვს არ გამოიწვევს.

რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებები

გადადის რა რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების საკითხზე, რიკოვი აღნიშნავს, რომ საჭიროა განხილულ იქნეს რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების საკითხი და უფლება მისცეს სახ. კომისართა საბჭოს [illegible] და ცაკის პრეზიდიუმს, ამ საკითხის ცაკის საბიუჯეტო კომისიაში განხილვის შემდეგ, გამოსცეს დებულება დროებით სახელმძღვანელო წესების სახით 1926—27 წლის ბიუჯეტის შე[illegible]

მომავალი მოსავლის რეალიზაცია

დასასრულ მე რამდენიმე სიტყვით შევეხები მომავალი მოსავლის რეალიზაციის საკითხს. ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცემა შუა ზაფხულიდან.

წარსულ წლის ივლისში ჩვენ დიდი შეცდომები დავუშვით გამოანგარიშებაში. თუ ჩვენ გამოანგარიშებას წელს მხოლოდ აპრილში შევუდგებით, ეს შეცდომები შეიძლება განმეორებულ იქნას. ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ მოსავლის რეალიზაციის მომზადების მთავარი დაბრკოლებები. ყველაზე დიდი დაბრკოლება საქონლის ნაკლებობაა.

ამიტომ საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება იმისთვის, რომ შემოდგომიდან საქონლის რაოდენობა გადიდებულ იქნას. თუ საჭირო გახდება, საზღვარ-გარეთიდან უნდა შემოვიტანოთ ნედლი მასალის დამატებითი პარტიები იმ მიზნით, რომ მახლობელ თვეებში მივაღწიოთ საწვრილმანო ფასების შემცირებას.

მიუხედავათ იმისა, რომ პურის მოსავალი კარგი იყო, პურის ფასები მიმდინარე წელს გაიზარდა. მომავალი წლის მოსავლის რეალიზაციის დროს საჭიროა მივაღწიოთ სამრეწველო საქონლის და პურის ფასების დაკლებას. თუ ჩვენ ამას მივაღწევთ, ეს იქნება სახალხო მეურნეობის გაჯანსაღების საუკეთესო მეთოდი. ფასების დონე უნდა იქნეს ისეთი, რომ მან უზრუნველჰყოს გლეხობა მრეწველობის ნაწარმოებით და იმავე დროს შექმნას ჩვენი პურის მოგებიანი ექსპორტის შესაძლებლობა (ტაში).

14 აპრილის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი [illegible] ბრიუხანოვის, და კუიბიშევის მოხსენებების გარშემო. კამათი სწარმოებდა ცალ-ცალკე ეროვნებათა საბჭოში და საკავშირო საბჭოში.

ეროვნებათა და საკავშირო საბჭოში

მოსკოვი, 15 აპრილი. ეროვნებათა საბჭოს 14 აპრილს საღამოს სხდომაზე ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ყაზანის, მოლდავიის, დაღესტნის, აფხაზეთის, ბაშკირიის და ვოლგის ნაპირებზე მცხოვრებ გერმანელთა ავტონომიურ რესპუბლიკების წარმომადგენლებმა.

ილაპარაკეს აგრეთვე ბელორუსიის, სომხეთის და უზბეკისტანის რესპუბლიკების წარმომადგენლებმაც.

კამათში მონაწილე ეროვნულ რესპუბლიკების წარმომადგენლები ეხებოდენ თანხების გამოძებნის საკითხს რესპუბლიკების კულტურულ და ეკონომიურ საჭიროებისათვის და ამ მხრივ ცალკე რესპუბლიკების ინტერესების შეთანხმებას. საბჭოთა კავშირის საბიუჯეტო შესაძლებლობასთან.

კამათი გრძელდებოდა 15 აპრილს დილის სხდომაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხების გარშემო კამათი სწარმოებდა აგრეთვე საკავშირო საბჭოს 14 აპრილის საღამოს და 15 აპრილის დილის სხდომაზედაც. კამათში მონაწილეობა მიიღო ორატორების მთელმა რიგმა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ინჟინერ-მშენებლების ყრილობა

მოსკოვი, 15 აპრილი. დამთავრა მუშაობა ინჟინერ-მშენებლების საკავშირო ყრილობამ.

ცენტროკავშირის პრეზიდიუმი

მოსკოვი, 15 აპრილი. **ცენტროკავშირის გამგეობამ აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან ლიუბიმოვი, ხოროკინი, კისინი, ზიკოვი და კნოპინსკი. ცენტროკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეებათ არჩეული არიან—სოროკინი, კისინი და კნოპინსკი.**

ამინდი

ლენინგრადი. 15 აპრილი. გეოფიზიკური ობსერვატორიის პროფესორი **შულტანოვსკი** იუწყება: დედამიწის სამ-მეოთხედზე გაგრძელდება ტემპერატურის მკაცრი ცვალებადობის პერიოდი, რომელიც დააგვიანებს თბილი ამინდის დადგომას. მაღლე ტემპერატურა ლენინგრადში, ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში და საბჭოთა კავშირის ცენტრში ავა ნოლს ზევით, მაგრამ თბილი ამინდები მაინც მოსალოდნელი არ არის. აქა-იქ მოსალოდნელია თბილი ამინდების დადგომა მოკლე ხნით.

მაისის დარები დაუახლოვდება ნორმას (საშუალო ტემპერატურა 9 გრადუსი ნოლს ზევით). 25 მაისამდე უნდა ველოდოთ სიცივეების განახლებას, რომელიც ხანგრძლივი არ იქნება, მაგრამ საგრძნობლად დასწევს ტემპერატურას. ამინდების ასეთი ცვალებადობა გამოწვეული არის ოკეანებზე ამოვარდნილ ქარიშხლით.

ინგლისის მუშების მოწვევა

მოსკოვი, 15 აპრილი. სრულიად საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ დაადგინა, მოიწვიოს საკავშირო პროფკავშირთა ყრილობაზე ინგლისის ტრედიუნიონების წარმომადგენლები. ყრილობა შესდგება მიმდინარე წლის დამლევს.

ინჟინერთა და ტეხნიკოსთა ყრილობა

მოსკოვი, 15 აპრილი. 14 აპრილს გაიხსნა სამთო-მადნო და სამეცნიერო ტეხნიკურ მუშაკთა პირველი ყრილობა. **ყრილობაზე გამოცხადდა 513 ინჟენერი და ტეხნიკოსი.**

ყრილობას დაესწრო სამეცნიერო აკადემიის დელეგაცია, აკადემიის პრეზიდენტის კარპინსკი და აკადემიკოსის ფერსმანის შემადგენლობით. ყრილობაზე მოსმენილი იქნება მთელი რიგი მოხსენებათა სამთო-მრეწველობის ტეხნიკის საკითხებზე.

მთავრობის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა **რუძუტაკმა**. შემდეგ ყრილობას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ—**კვირინგმა** და სხვ.

საწვრილმანო ფასების დაკლება

მოსკოვი, 15 აპრილი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა „ცენტროსოიუზს" გაუგზავნა წერილი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ. ვაჭრობის სახ. კომისარიატში არსებულ მასალების მიხედვით დაბალ საფეხურის კოოპერატივები და სარაიონო კავშირები არ ასრულებენ ვაჭრობის სახ. კომისარიატის ადგილობრივ ორგანოების განკარგულებას საფეიქრო ვაჭრობაში განსაზღვრულ ზედმეტი ფასის დაწესების შესახებ.

ვინაიდან კოოპერატიულ ვაჭრობაში საწვრილმანო ფასების დაკლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, **ვაჭრობის სახ. კომისარიატი სთხოვს „ცენტროსოიუზს" სათანადო დირექტივები მისცეს ადგილობრივ ორგანოებს და აგრეთვე აცნობოს მას რა რეალური ზომებია მიღებული ფასების ზრდის წინააღმდეგ.**

რემედასი

რემედასის საერთაშორისო კონგრესი

მოსკოვი, 14 აპრილი. რემედასის ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად რემედასის პირველი საერთაშორისო კონგრესი დანიშნულია 1926 წლ. ოქტომბრისათვის.

რემედასის ალმასკომის პრეზიდიუმის სხდომის დახურვა

მოსკოვი, 14 აპრილი. დაიხურა რემედასის ალმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. სხდომაზე გაირჩა მნიშვნელოვანი საკითხები და შემუშავებულ იქნა კონკრეტიული ღონისძიებები როგორც ორგანიზაციულ, ისე აგიტაცია - პროპაგანდის და მშრომელთა ფართე მასების აღმზრდელობის სფეროში.

რემედასის [illegible] მდივანი **ტიომკინი** თავის მოხსენებაში ცეკას მუშაობის და მის მომავალი პერსპექტივების შესახებ ვრცლად შეეხო რემედასის განვითარების გზებს და აღნიშნა, რომ მიუხედავათ მრავალგვარ დაბრკოლებებისა და სიძნელეთა, რემედასი გადაიქცა მასიურ ორგანიზაციათ, რომელიც აკავშირებს მილიონ წევრებს.

მომხსენებელმა გააშუქა აგრეთვე რემედასის მუშაობის საკითხი საბჭოთა კავშირში და კაპიტალისტურ ქვეყნებში.

პრეზიდიუმმა განსაკუთრებულის ყურადღებით მოისმინა საკითხი რემედასის მუშაობის შესახებ გერმანიასა, ლათინურ ქვეყნებსა, ამერიკასა და ჩინეთში.

პრეზიდიუმმა აღნიშნა შუა ევროპის წარმომადგენლობის მნიშვნელოვანი მიღწევები პერიოდული ლიტერატურის გამოცემის სფეროში და აგრეთვე ორგანიზაციული გამარჯვებანი გერმანული სექციისა, რომელიც რემედასის უძლიერესი ორგანიზაციათ გადაიქცა საბჭოთა კავშირის შემდეგ.

რომანულ სახელმწიფოებიდან პრეზიდიუმმა განსაკუთრებით გამოჰყო რემედასის მუშაობა საფრანგეთში. იტალიის სექციას ახასიათებს რემედასის მუშაობის გაფართოება არალეგალობის პირობებში.

არალეგალურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ დაბრკოლებების მიუხედავათ, იტალიის სექცია წავიდა ფართე მასიურ ორგანიზაციის გზით. ის სისწორით ანხორციელებს მთლიანი ფრონტის ლოზუნგს და აბამს მუშაობაში ყველა პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ ორგანიზაციებს, რომელნიც ფაშისტური ტერორის ქვეშ იმყოფებიან.

რაც შეეხება შორეულ აღმოსავლეთში მუშაობის პერსპექტივებს, აქ პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ წარსული წლის 30 მაისის ამბებმა უდიდესი როლი ითამაშეს რემედასის იდეების მუშათა მასებს შორის გავრცელების საქმეში.

მომავალში საჭიროა მასიური მუშაობის განვითარება და გაღრმავება ინდივიდუალური წევრობის საფუძველზე.

დიდის ყურადღებით მოსმენილ იქნა მოხსენება რემედასის მუშაობის შესახებ ამერიკაში. პრეზიდიუმმა სწორად სცნო უპარტიო ლიბერალურ ორგანიზაციებისადმი მიდგომა და მოიწონა აგრეთვე მუშაობა გამომცემლობის დარგში (განსაკუთრებით ჟურნალ „ლაბორ დოფენდერ"-ის გამოცემა). წარმატებით ჩატარებულ იქნა რემედასის მასიური ბაზრობა.

პრეზიდიუმმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ციხიდან განთავისუფლებულ ინგლისელ კომუნისტებს და აგრეთვე გაუგზავნა საპროტესტო დეპეშა ბულგარეთის კომპარტიის ბელადის ხრისტო კაბაკჩიევის დაპატიმრების წინააღმდეგ.

სპეციალიზაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მთელი რიგი ჩვენი კოოპერატორებისა სრულებით უარყოფდენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის საჭიროებას. კოოპერატიული მშენებლობის ერთხელ და სამუდამოთ გამომუშავებულ ფორმათ ისინი აღიარებდენ მხოლოდ ინტეგრალურ მშენებლობას და „ჯავარონსნულობას" უცხადებდენ ახლად აღორძინებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და მის მისწრაფებას შექმნა სამომხმარებლო კოოპერაციისაგან დამოუკიდებელი სისტემა და ცენტრი.

ეს იყო სულ ორი წლის წინათ. საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობამ არ გაიზიარა ხსენებული კოოპერატორების მოსაზრებანი და მიანიჭა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას დამოუკიდებელი არსებობის უფლება. ბრძოლა დათავდა, მაგრამ მისი ხმა აქა-იქ ნაწილობრივ შემდეგაც ისმოდა.

პრაქტიკამ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებამ 1924 წლის დასაწყისში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიმართ პარტიის მიერ აღებული ხაზი გაამართლა, მიუხედავათ მრავალი შეცდომებისა და მძიმე ფინანსიური კრიზისისა, რომელიც დღეს-დღეობით, სამწუხაროდ, ყველა სახის კოოპერაციის ხვედრია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია უკვე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ჩვენი სოფლის მეურნეობის კოლექტიური აღორძინების საქმეში. დღეს უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი მისი არსებობის საჭიროების შესახებ, იურიდიულათ და პრაქტიკულად ეს საკითხი საბოლოოთ გადაჭრილია და სადავოდ გვევლინება მხოლოდ მისი შემდეგი განვითარების ფორმების საკითხები. მათ მიზანშეწონილად გადაჭრაზე და გატარებაზე დამოკიდებულია მთელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და თვით ჩვენი სოფლის მეურნეობის მომავალი.

ერთი უმთავრესი საკითხია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სპეციალიზაცია. რ. კ. პ. მე-14-ე კონფერენციის დადგენილებებში ამ საკითხის შესახებ ნათქვამია შემდეგი: „სპეციალურ საწარმოო-გამსაღებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაერთიანების შექმნის პრაქტიკამ გაამართლა თავისი თავი, ის გაგრძელებულ და გაღრმავებულ უნდა იქნას, მაგრამ ქვედა საფეხურის კოოპერაციის და ადგილობრივი საკავშირო ქსელის სპეციალიზაცია გატარებულ უნდა იქნას დიდი სიფრთხილით; მისი გატარების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქსელის სიძლიერე და რაიონის ეკონომიური თავისებურება, რომ არ შესუსტდეს მთელი სისტემა". ამნაირად ტარდება საბჭოთა კავშირის მასშტაბით სპეციალიზაცია.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? უკანასკნელ დრომდე წარმოკავშირი აერთიანებდა უშუალოდ, ყოველგვარი სპეციალური „საწარმოო-გამსაღებელი" ცენტრების გარეშე, ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ორგანიზაციას; უკანასკნელ ხანებში ის წარმოადგენდა მთელი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როგორც ორგანიზაციულ-იდეურ, ისე ოპერატიულ ცენტრს. მხოლოდ წარსული წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო ჩვენში „სპეციალური გამსაღებელი საწარმოო" კოოპერატიული ცენტრების დაარსება.

ამჟამად უკვე არსებობს საქართველოს მევენახე-მეღვინეთა კოოპერატიული კავშირი „საქართველოს ღვინო"-ს სახელწოდებით, მეხილე-მებოსტნეთა კავშირის ბიურო „ბალბოსტანკავშირი" და საზოგადოება „აბრეშუმი", რომელიც უკანასკნელ ხანებში იწყებს კოოპერატიულათ ჩამოყალიბებას.

ამ სპეციალურმა კავშირებმა უკვე დაიწყეს მოქმედება და საჭიროა მხოლოდ მათ მუშაობისათვის გარკვეული კოოპერატიული შინაარსის და ფორმების მიცემა. ამისთვის საჭიროა დამყარებულ იქნეს სწორი და ნორმალური ურთიერთობა ამ კავშირებისა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითად ქსელთან და მის ცენტრალურ კავშირთან—წარმოკავშირთან. აქედანვე უნდა იქნეს მიღებული ზომები ყოველგვარ გაუგებრობის, პარალელიზმის, ქიშპობის და წარსულ შეცდომათა თავიდან ასაცილებლად. და ეს არა მარტო მიწოდება-გასაღების, არამედ უმთავრესად და პირველყოვლისა ორგანიზაციული მშენებლობის საკითხებში.

სპეციალური კავშირები წარმოადგენენ პირველად ყოვლისა „საწარმო-გამსაღებელ" ცენტრებს და მთავარი მიზანი მათი დაარსებისა იყო ჩვენი სოფლის ნაწარმოებისთვის შესაფერი ბაზრის გამონახვა, ნაწარმოების გადამუშავებით და ხარისხის გაუმჯობესებით მისი ღირებულების გადიდება. ამით ისინი დიდ სამსახურს გაუწევენ ჩვენი სოფლის მეურნეობას. ნაწარმოების დასამზადებლად მათ შეუძლიათ გამოიყენონ, როგორც სპეციალური ამხანაგობები, ისე სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობები. სპეციალური ამხანაგობების არსებობა მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც სასოფლო მეურნეობის ერთი რომელიმე კულტურა წარმოადგენს მოსახლეობის ბიუჯეტის მთავარ წყაროს.

სპეციალურმა ამხანაგობებმა აუცილებლათ უნდა მოჰკიდონ ხელი ნაწარმოების გადამუშავებას, მათი არსებობა მხოლოდ მაშინ გამართლებს თავის დანიშნულებას და არ გამოიწვევს ზედნადები ხარჯების გადიდებას, როდესაც ისინი დატვირთული იქნებიან მუშაობით ერთი კულტურის გარშემო მთელი წლის განმავლობაში.

ამ მხრივ წარსულში ბევრი მათგანი მოისუსტებდა და კერძოთ მეხილეთა ამხანაგობებმა გორის მაზრაში მეტწილად დიდი ზარალით დაამთავრეს თავისი არსებობა. ეს ზარალი კი მძიმე ტვირთად დააწვა წარმოკავშირსაც და ცეკავშირსაც, რომლებიც იქ პარალელურათ აარსებდენ ორგანიზაციებს იმის გაუთვალისწინებლად, შესძლებდენ თუ არა ეს ორგანიზაციები თავისი არსებობის გამართლებას. ეს შეცდომა, რომელიც რამოდენიმე ასი ათასი მანეთი დაუჯდა წარმოკავშირს და ცეკავშირს, მომავალში არ უნდა იყოს განმეორებული.

გასულ წელში მოხდა გორის მაზრის მეხილეთა რაიონული კავშირების „წითელი ქართლი"-ს და „ქართლი"-ს ლიკვიდაცია, დაარსდა „ბალბოსტანკავშირი", რომელსაც დაუმზადებია 40 ათასი ფუთი ხილი, წარმოკავშირმა ამავე დროს დაამზადა ორჯერ მეტი, მაგრამ ესეც არ კმარა, ესეც წვეთია ზღვაში. თუ წარმოკავშირი მოისუსტებდა ამ დარგში, მით უმეტეს მოისუსტებდენ სხვა ორგანიზაციები. წარსულ წლამდე ხილის ოპერაციებს ცეკავშირიც აწარმოებდა და თუ წარმოკავშირს ჰქონდა მარცხი ამ დარგში, არა ნაკლები მარცხი ჰქონდა ცეკავშირს და მის მოკავშირე „წითელ ქართლს". კარგი იქნება, თუ „წითელი ქართლი"-ს შეცდომებს და ნაკლს აიცილებს ახალი ორგანიზაცია „ბალ ბოსტანკავშირი" და თუ მან იმავე ტრადიციების დაცვა იკისრა, შეიძლება მასაც იგივე ბედი ეწვიოს, როგორც „წითელ ქართლს" და თუ გინდ „ქართლს". ეს კი მეტად სამწუხარო იქნება და უნდა მივიღოთ ყოველი ზომები მისი თავიდან ასაცილებლად. არავითარი ბრძოლა „ბალ-ბოსტანკავშირი"-ს წინააღმდეგ საჭირო არ არის, რამდენადაც ვიცი, ამის განზრახვა არც არავის აქვს, მხოლოდ საჭიროა მისი ორგანიზაციული წყობა და დამოკიდებულება კოოპერატიულ ცენტრებთან და პერიფერიებთან გარკვეულ კოოპერატიულ და მიზანშეწონილ ფორმებში ჩამოყალიბდეს, თორემ მარტო 40.000 ფ. ხილის დამზადება მთელი ცეკავშირის მიერ დიდი სატრაბახო არ უნდა იყოს ჩემის აზრით.

უფრო მტკიცე ეკონომიური დასაყრდენობი აქვს „საქართველოს ღვინო"-ს, რომელიც შედარებით უფრო მეტი კოოპერატიული მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ დაარსდა. მისი ამოცანები და სამუშაო გეგმა ფართოა. სპეციალური ამხანაგობების გამრავლება და მით უმეტეს უნივერსალური ტიპის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებთან პარეალურათ ახალი სპეციალური მეღვინეთა ამხანაგობების დაარსება მისთვის სრულებით ზედმეტია. „საქართველოს ღვინო"-ს წესდების თანახმად, მასში წევრათ შესვლა შეუძლიათ არა მარტო სპეციალურ ამხანაგობებს, არამედ უნივერსალური ტიპის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებსაც, რომლებიც სხვა მუშაობასთან ერთად აწარმოებენ მევენახეობა-მეღვინეობის ნაწარმოების გასაღებას.

თვითეულმა სპეციალურმა ცენტრმა რომ მთელ საქართველოში თავისი სპეციალური ორგანიზაციების დაარსებას მიჰყოს ხელი, იმ შემთხვევაში ზოგიერთ სოფლებში ადგილი იქნება ხუთი და ექვსი კოოპერატიული ამხანაგობების არსებობას: მომხმარებელი, უნივერსალური სასოფლო-სამეურნეო და სამი თუ ოთხი სპეციალური ამხანაგობა, რადგანაც მრავალ რაიონებში მოსახლეობა რამოდენიმე კულტურას მისდევს და ძნელი გამოსარკვევია, თუ რომელ მათგანს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. წარმოიდგინეთ გლეხის მდგომარეობა, რომელსაც ექვს კოოპერატივში უხდება წევრობა, ექვსი საპაიო და საწევრო გადასახადის შეტანა, ექვსგან კრებაზე და მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღება. არა მგონია, რომ ეს ვინმემ მიზანშეწონილათ იცნოს, როდესაც გლეხს ერთ ამხანაგობაშიც უჭირს წევრს მოვალეობის შესრულება.

ეხლა რაც შეეხება თვით ცენტრების გამრავლების საკითხს. ამ საკითხშიც ზოგიერთი ავტორები უკიდურესობაში ვარდებიან, თუ ერთ დროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ერთი ცენტრის არსებობასაც არ სცნობდენ საჭიროთ, ეხლა მზად არიან თუ გინდ 15 ცენტრის დაარსებისთვის; შეიძლება ვინმემ შესაძლებლათ იცნოს ზოგიერთ სოფლებში ამდენივე კოოპერატიული ორგანიზაციის არსებობაც! ეს არის სპეციალიზაციის უკუღმა შეტრიალება, უარყოფა თვით იმ მიზნის, რისთვისაც საჭიროთ არის ცნობილი მიზანშეწონილი და ეკონომიური თვალსაზრისით გამართლებული სპეციალიზაცია. საზოგადოთ ეხლა „მოდათ" არის გადაქცეული ყოველგვარი ცენტრების დაარსებაზე ლაპარაკი. ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი ცენტრისთვის საჭიროა საიმედო ეკონომიური საფუძველი, საჭიროა თანხები, საჭიროა მომზადებული მუშაკებიც და სხვა.

თვით რუსეთშიც დიდი სიფრთხილით უდგებიან ამ საკითხს. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ცენტრი, რომელსაც შეუძლია გაამართლოს თავისი არსებობა რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე, შეიძლება სრულებით ზედმეტი იქნეს პატარა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც სივრცით შიდა რუსეთის ზოგიერთ გუბერნიასაც ვერ უსწორდება.

არ უნდა დავამახინჯოთ აზრი სპეციალიზაციისა, არ უნდა დავივიწყოთ მე-14-ე პარტკონფერენციის რეზოლიუციის სიტყვები.

„ქვედა საფეხურის კოოპერაციის და ადგილობრივი საკავშირო ქსელის სპეციალიზაცია გატარებულ უნდა იქნას დიდი სიფრთხილით; მისი გატარების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქსელის სიძლიერე და რაიონის თავისებურება, რომ არ შესუსტდეს მთელი სისტემა".

აქედან ცხადია, რომ სპეციალიზაციამ სრულებითაც არ უნდა გამოიწვიოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთლიანი სისტემის დასუსტება; პირიქით, ის მიმართული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გაძლიერება-გაჯანსაღებისაკენ. სპეციალიზაცია უნდა გავატაროთ მიზანშეწონილათ და არა ხელოვნურათ, „მოდი"-ს მიხედვით, მომავალში შეიძლება სპეციალური კავშირის რიცხვმა იმატოს, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთლიანი სისტემის დაუძლურება. ამისათვის აუცილებელია, რომ ახლად დაარსებულ კავშირებს ექნეთ სწორი ნორმალური უთიერთობა როგორც არსებულ საერთო ცენტრთან, ისე ძირითად ქსელთან.

ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში საჭიროა მისი სამეურნეო საქმიანობის და ფინანსიური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნითაც.

უამისოდ ვერავითარი დოტაციები და კრედიტები საქმეს ვერ უშველის. მერყეობას, მტკიცე ორგანიზაციული ხაზის და გეგმის უქონლობას, ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნას, როგორც ეს ზოგიერთ ინტეგრალისტებს მოსდით, დასასრული უნდა მიეცეს.

ი. ბუაჩიძე.

პრესის დღისათვის

ცირკულიარული № 2

ს. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ახალი გაზეთების რედაქციებს

5 მაისი საბჭოთა-პარტიული პრესის დღეა.

ამ დღეს აქვს უდიდესი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ბეჭდვითი ნაწარმოების მასიური გავრცელება სოფლად და ქალაქად, მუშა და გლეხ-კორესპონდენტთა მოძრაობის ჩამოყალიბება—აი ის ამოცანა, რომელსაც ვუკავშირებთ ამ დღის ჩატარებას.

საბჭოთა პარტიული პრესა არის სოციალისტური მშენებლობის უძლიერესი იარაღი. იგი, როგორც ამბობს ამხ. ლენინი, **„არის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი, კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც".** რომ საბჭოთა პრესამ ნამდვილად შესძლოს ამ თავისი პირდაპირი დანიშნულების შესრულება, საჭიროა მისი შეჭრა მშრომელთა ფართე წრეებში, საჭიროა ადგილობრივი ორგანიზაციების: კოოპერაციის, ქოხ-სამკითხველოების, სკოლების და საფოსტო განყოფილებების აქტიური მუშაობა, მათი ჩაბმა ჟურნალ-გაზეთების მასიურ გავრცელების საქმეში.

ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელების მოწესრიგება დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, თუ რამდენათ შევსძლებთ ჩვენ გამოვიწვიოთ მშრომელთა ფართო წრეებში ღრმა ინტერესი პრესისადმი. **რაც უფრო დაუახლოვდება პრესა სოფლის და ქალაქის სინამდვილეს, რაც უფრო სწორად და მიუდგომლად იხახავს იგი ფართო მასის საჭირბოროტო საკითხებს,** მით უფრო მეტად უზრუნველვყოფთ ჩვენ ბეჭდვითი ნაწარმოების მასიურ გავრცელების საქმეს.

საბჭოთა პრესის მასებთან დაკავშირებით ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად უნდა ჩაითვალოს მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობა. ჩვენს ამოცანას შეადგენს მოვაწესრიგოთ მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობა. დავრაზმოთ წითელი პრესის წითელი არმია ბეჭდვითი ორგანოების გარშემო.

მუშა და გლეხ კორესპონდენტების ქსელის გაფართოება, მათი კულტურული დონის და კვალიფიკაციის აწევა—ასეთია ჩვენი ლოზუნგი პრესის დღესთან პრაქტიკულად დაკავშირებული.

საბჭოთა პრესის დღისთვის ხაზგასმით უნდა იქნას აღნიშნული აგრეთვე ის გარემოება, რომ კორესპონდენტთა მოძრაობაში ძალიან სუსტად არიან ჩაბმული მშრომელი ქალები. საჭიროა ენერგიული მუშაობა, რომ მუშკორთა და გლეხკორთა რიგებში ჩავაბათ მუშა და გლეხ-ქალთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა.

ლიტერატურის გავრცელების სფეროში განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული გაზ. **„ახალი კომუნისტი"-ს მასსიურ გავრცელე- კომუნისტი"-ს მასსიურ გავრცელე**ბისადმი. ამ ორგანოების შეჭრა მასის ფართო წრეებში წარმოადგენს დიდ მნიშვნელობის ამოცანას მშრომელი ხალხის კულტურულად ამაღლების და პოლიტიკურად გათვითცნობიერების საქმეში.

საბჭოთა პარტიული პრესის დღე უნდა ჩატარდეს შემდეგი წესით:

1. მაისის 5-სათვის ქალაქებში და სოფლებში, სადაც არსებობენ გაზეთები და კედლის გაზეთები, უნდა გაიმართოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკების, მუშკორების, გლეხკორების, ახკორების და სამხკორების გაერთიანებული კრებები. სადაც მოსახერხებელი იქნება უნდა მოეწყოს მუშკორთა და გლეხკორთა კონფერენციები რედაქციების მონაწილეობით — რაიონის, ქალაქის და მაზრის მასშტაბით.

ამ გაერთიანებულ კრებებზე უნდა დაისვას საკითხები — საბჭოთა პარტიულ პრესის, პერიოდულ გამოცემათა მნიშვნელობის, მათი ღირსება-ნაკლულოვანებების და გავრცელების შესახებ. ამავე კრებებზე გაშუქებულ უნდა იქნას მუშკორებისა და გლეხკორების მოძრაობის საკითხები, მისი მნიშვნელობა, ამოცანები და სხვა.

2. ადგილობრივმა პარტიულ ორგანიზაციებმა და რედაქციებმა უნდა გამოჰყონ ამხანაგები, რომლებიც გააკეთებენ მოხსენებას მუშკორებისა და გლეხკორების წრეების გაერთიანებულ კრებებზე და კონფერენციებზე.

3. კრებებზე და კონფერენციებზე მოწვეულ უნდა იქნან პროკურატურის და სხვადასხვა სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც გააკეთებენ მოხსენებას იმის შესახებ, თუ [illegible] მუშაობა იქნა ჩატარებული მათ მიერ მუშკორებისა და გლეხკორების შენიშვნების სისწორის გამოსარკვევად და ნაკლის გამოსასწორებლად.

4. საბჭოთა პარტიულ სკოლებში, [illegible] ტეხნიკუმებში და შრომის სკოლებში სპეციალურად უნდა დაეთმოს საათი საუბარს საბჭოთა პრესის კორესპონდენტთა მოხსენების მნიშვნელობისა და მისი ამოცანების შესახებ.

5. სოფლად ბეჭდვითი დღის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქოხ-სამკითხველოებმა. ამ დღისათვის უნდა გამოშვებულ იქნას კედლის გაზეთები, სადაც გაშუქებული იქნება 5 მაისთან დაკავშირებული საკითხები. ქოხ-სამკითხველოს გამგეებმა უნდა მოაწყონ ჟურნალ-გაზეთების ხმა-მაღლა კითხვა გლეხებს შორის.

6. გაზეთების 5 მაისის ნომერი სპეციალურად უნდა იქნეს მიძღვნილი წითელი პრესის დღისადმი.

ამ დღის ჩატარების შედეგები უნდა იქნეს აღნიშნული ცენტრალურ კომიტეტში წარმოდგენილ ანგარიშებში.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი მ. კახიანი,
ბეჭდვითი განყ. გამგე
გ. მუშიშვილი.

რა ხდება უცხოეთში

უმუშევრობა გერმანიაში

გერმანიაში უმუშევრობა მწვავე ხასიათს იღებს.

განსაკუთრებით დიდია უმუშევართა რიცხვი ნახშირის, საფეიქრო, ქიმიურ და სატყეო მრეწველობაში.

იმ უმუშევართა რიცხვი, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას იღებენ, 15 იანვრისათვის უდრიდა—1.763.976, 15 თებერვლისათვის კი—2.058.853. ამ დროისათვის თითეულ 1000 მცხოვრებზე 32 უმუშევარი იყო. იანვარში უმუშევართა დასახმარებლათ გაცემული იქნა 92.321.152 მარკა.

სრულიად აზიის კონგრესი

იმის შემდეგ, რაც ამერიკამ მიიღო ცნობილი კანონი ემიგრაციის შესახებ, მიმართული უმთავრესად ყვითელი რასის წინააღმდეგ იაპონიაში დაარსდა „სრულიად აზიის საზოგადოება", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი იაპონელი დეპუტატი იმაზატო. ვინაიდან საზოგადოების საორგანიზაციო მუშაობა გაჭიანურდა, უმთავრესი ამოცანა—სრულიად აზიის კონგრესის მოწვევა—განსაკუთრებული დარჩა.

როგორც იაპონური გაზეთები იუწყებიან, ასეთი კონგრესი 1926 წ. 15 ივლისს შესდგება. 150 დელეგატით წარმოდგენილი იქნება აზიის 15 ერი. იაპონია და ჩინეთი კონგრესზე გაგზავნის 50-50 დელეგატს. ჩინეთი წარმოდგენილი იქნება პარლამენტის დეპუტატებით, პროფესორებით და ჟურნალისტებით. ოსმალეთი კი—თავისი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეებით.

იმაზაგოს განცხადებით, კონგრესი განიხილავს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ საკითხებს, რომლებიც აზიის ერებს აინტერესებენ და ყველაფერი ეს მოხდება უფრო თავისუფლად, ვიდრე ერთა ლიგაში.

იმაზაგო არ მალავს, რომ ზოგიერთ დელეგატებს განზრახული აქვთ დასვან მთელი თავისი სიგრძე-სიგანით საკითხი თეთრი იმპერიალიზმის შესახებ აზიის ქვეყნებში.

თვით იმაზაგო ზომიერების მომხრეა, მაგრამ ამერიკული გაზეთი „ჯაპან ედვერტაიზერ" კონგრესის სახით დიდ საფრთხეს ხედავს და სწერს, რომ „ერებს, რომლებიც ერთმანეთს შეხვდებიან მომავალ კონგრესზე, ერთი გრძნობა აკავშირებს—სიძულვილი თეთრკანიანებისადმი".

ბელგიის ფრანკის დაცემა

15 მარტს ბელგიის ფრანკის კურსი მოულოდნელად დაეცა. ინგლისური სტერლინგის კურსმა 106 ფრანკიდან 121,50 ფრანკამდი აიწია. ფრანკის კურსის დაწევამ დიდი მღელვარება გამოიწვია ბელგიაში და დაუყონებლივ გამოძახილი ჰპოვა უცხოეთის ბაზრებზე.

ამ კატასტროფის მიზეზი ორია: 1) ბელგიის ფინანსთა მინისტრმა ჟანსენმა ვერ მოახერხა სესხის მიღება ლონდონში; 2) ბანკები ენერგიულ კამპანიას აწარმოებენ ვანდერველდეს კაბინეტის წინააღმდეგ და ხელოვნურად სცემენ ფრანკის კურსს, იმ იმედით, რომ ეს მთავრობის კრიზისს გამოიწვევს.

მთავარი როლი ისევ პირველმა მიზეზმა ითამაშა. ბელგიის ფინანსები ომის შემდეგ ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ მისი გამოსწორება მხოლოდ უცხოეთში სესხის აღებით შეიძლებოდა. ბელგიის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ სესხის აღებას შესძლებდა ლონდონში, სადაც გაემგზავრა ბელგიის ფინანსთა მინისტრი ჟანსენი. შეთანხმება თითქმის უკვე მიღწეული იყო ბანკებსა და ჟანსენს შორის, მაგრამ უკანასკნელ წუთში მოლაპარაკება ჩაიშალა.

საქმე იმაშია, რომ ინგლისი დიდი ხანია სცდილობს ბელგიის მოქცევას თავისი გავლენის სფეროში.

ეს არის საფრანგეთის განცალკევების პროგრამის ერთ-ერთი მუხლი. ჩემბერლენმა მომენტი ხელსაყრელად ჩასთვალა ბელგიაზე შესაფერი გავლენის მოსახდენად. ბანკებს შესაფერი ინსტრუქცია გაეგზავნათ და ჟანსენს სესხის მიცემაზე უარი ეთქვა.

პროფკავშირებში

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ესპანეთში

თანამედროვე პროფესიონალური მოძრაობა ისპანიაში იყოფა რამდენიმე მიმდინარეობათ, რომელთაგან მთავარია რეფორმისტული, ანარქო-სინდიკალისტური და რევოლიუციონური. სოციალ-დემოკრატიული პროფკავშირები შედიან „ისპანიის მუშების საყოველთაო გაერთიანებაში" და ოფიციალური ცნობებით 240,000 წევრს აკავშირებენ. ანარქო-სინდიკალისტები გაერთიანებული არიან შრომის ნაციონალურ კონფედერაციაში.

ეს უკანასკნელი ისპანიის პროფესიონალური მოძრაობის უდიდესი აყვავების პერიოდში (1918—20 წ.წ.) აკავშირებდა ქვეყნის ყველა რევოლიუციონერ მუშებს და შეუერთდა პროფინტერნს. მაგრამ შემდეგში ის მოექცა ანარქისტების გავლენის ქვეშ, რომლებმაც დაშალეს იგი და მოახერხეს პროფინტერნთან შეერთების შესახებ დადგენილების გაუქმება.

ამჟამად რევოლიუციონურ მიმდინარეობას ცალკე ორგანიზაცია არა აქვს, არამედ შეადგენს მემარცხენე ფრთას პროფკავშირების ორ დანარჩენ გაერთიანებაში.

აღნიშნულ მთავარ მიმდინარეობათ ისპანიის პროფმოძრაობაში უნდა მიეთვალოს კლერიკალური (კათოლიკური) პროფკავშირები, რომლებიც უმთავრესად ჩამორჩენილ სასოფლო რაიონებში არსებობენ, და კონფედერაცია ე. წ. „თავისუფალ სინდიკატებისა."

ეს უკანასკნელი ორგანიზაცია, რომელიც „თავისუფალი პროფმოძრაობის" ფარდას ეფარება, სინამდვილეში პროფესიონალურ შტრეიკბრეხერებს აკავშირებს. მეორე ყრილობის შემდეგ (1925 წ. ავგისტოში), ამ ორგანიზაციაში, ოფიციალური ანგარიშის თანახმად 120.000 წევრი შედის.

ისპანიის პროფმოძრაობის ასეთი დაქსაქსულობის პირობებში, რასაკვირველია, შეუძლებელიია წარმატებით ბრძოლა კაპიტალისტებთან, რომლებიც შეტევაზე გადავიდენ და დღითი დღე აუარესებენ მუშების ისედაც კატორღულ შრომის პირობებს. ისპანიის ბურჟუაზიის შემოტევის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს მალლორკასელ ფეიქრების ლოკაუტი (1925 წ. დეკემბერში). მალლორკასის საფეიქრო რაიონის მწარმოებლები აიძულებდენ თავის მუშებს (როგელთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ) ემუშავათ ათი საათი დღეში. ისპანიაში კი უკვე ექვსი წელიწადია არსებობს კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. მწარმოებლებმა განიზრახეს 10 საათის სამუშაო დღის დაკანონება და რათა მუშები იძულებული გაეხადათ დათმობაზე წასულიყვენ, დაიწყეს შრომის ხელფასის შემცირება. როცა ამან არ გასჭრა და მუშები ბრძოლის გზას დაადგენ, 1000 მუშა ქუჩაში გამოაგდეს.

მრავალი დამარცხება იგემეს ესპანელმა მუშებმა პროფკავშირების რეფორმისტული ბელადების მოღალატეობის წყალობით. 1925 წ. ისპანია განიცდიდა კრიზისს უმთავრესად საფეიქრო, ნახშირისა და საალმშენებლო მრეწველობაში. კრიზისს მოჰყვა აუარებელი გაფიცვები, მაგრამ ყველა ისინი დამარცხებით დამთავრდენ პროფკავშირების სოციალ-დემოკრატ ბელადების დათმობითი პოლიტიკის წყალობით.

1925 წ. ისპანიის მუშათა კლასის აზროვნებაში თანდათან მკტიცდება ქვეყნის მთელი პროფმოძრაობის გაერთიანების აზრი.

წარსული წლის ზაფხულში ისპანიის კომპარტიამ მიმართა ყველა პროფესიონალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს წერილით, რომელშიც მოუწოდებდა მათ პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენისაკენ წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ პროფმოძრაობის მთლიანობის გარეშე შეუძლებელია ბრძოლა მუშების უმთავრესი მოთხოვნილებების დასაცავად—8 საათის სამუშაო დღისათვის, შრომის ხელფასის გადიდებისათვის და სხვ.

კამპანია მთლიანობისათვის არ ყოფილა უშედეგო. მიუხედავათ რეფორმისტული ბელადების წინააღმდეგობისა, სახელმწიფო და სხვაპრო დაწესებულებების მადრიდის ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 1925 წ. ზაფხულში, სან-სებასტიანის პროფკავშირების ფედერაციამ კი მიმდინარე წლის იანვარში,—მიიღეს რეზოლიუცია ისპანიის პროფმოძრაობის გაერთიანების სასარგებლოდ.

ამჟამად სან-სებასტიანის პროფკავშირების ფედერაციის თაოსნობით სწარმოებს გაძლიერებული კამპანია პროფმოძრაობის მთლიანობის ყრილობის მოსაწვევათ. ამ ყრილობის მოწვევა განზრახულია სან-სებასტიანოში მიმდინარე წლის პირველ მაისს და მასზე მიწვეულია პროფინტერნის წარმომადგენელი.

მთლიანობის ყრილობის მოწვევას მხარს უჭერს 100 ადგილობრივი პროფორგანიზაცია სხვადასხვა მიმართულებისა და ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწეები რეფორმისტულ და სინდიკალისტურ პროფკავშირებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციაში

ს. კ. პ. აფხაზეთის საოლქო პარტკომის ორგანიზაციაში ირიცხება 525 პარტიის წევრი და 575 კანდიდატი, აქედან 266 მუშა, 571 გლეხი, და დარჩენი სხვა.

აფხაზეთის მე-7 კონფერენციის შემდეგ ორგანიზაციის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. გამოკვლეულ იქნა 20 სოფლის უჯრედის მდგომარეობა, უჯრედების გამოკვლევის დროს აღმოჩენილ ნაკლის გამოსასწორებლად საოლქო პარტკომის მიერ მიღებული იქნა მთელი რიგი ზომები. პარტორგანიზაციაში მტკიცეთაა გატარებული გეგმიანი მუშაობა. მუშაობას საფუძვლად დაედვა ცოცხალი კავშირის გაძლიერება ადგილებთან.

დროგამოშვებით, გარდა სამაზრო კომთა პლენუმებისა, ტარდებოდა უჯრედების მდივნების თათბირი და ქალთა განყოფილებათა გამგების და სამხედრო მუშაკების თათბირები.

კომკავშირის, პროფკავშირების, წითელ ჯვრის საზოგადოებისა და სხვა კონფერენციები ჩატარებულ იქნა პარტიის ხელმძღვანელობით.

აფხაზეთის ორგანიზაციაში იმყოფება წერა-კითხვის უცოდინარი პარტიის 103 წევრი და კანდიდატი, რომლებსაც პარტდისციპლინის წესით დაევალათ ლიკ-სკოლებში სიარული. აფხაზეთში ლიკ-სკოლებში არის 100 კაცი. სამაზრო ქალაქებში დაარსებულია თითო პოლიტ-სკოლა. პოლიტსკოლებში მოსწავლეთა რიცხვი აღემატება 260 კაცს.

უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობის მხრივ სოფელი იმყოფება ცუდ მდგომარეობაში, ლიტერატურის უქონლობის და მომზადებულ ხელმძღვანელების მცირე რიცხვის გამო, მაგრამ სამაზრო პარტკომი პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის იღებს ყოველგვარ ზომებს.

დიდი ყურადღებით მოეპყრა აფხაზეთის ორგანიზაცია მე-14 პარტყრილობის მუშაობას. ამჟამად უკვე დამუშავებულია მე-14 პარტყრილობის დადგენილებანი ყველა უჯრედების მიერ.

ახ. ლ. კომკავშირის აფხაზეთის ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა. 1921 წ. ახ. ლ. კომკავშირის წევრთა რიცხვი უდრიდა — 385, ამჟამად კი კომკავშირის ორგანიზაციაში ითვლება — 4.006 წევრი. სოფლად კომუნისტური გავლენა ტარდება კომკავშირის უჯრედთა საშუალებითაც. ქალთა შორის მუშაობა თანდათანობით უმჯობესდება. საერთო რაოდენობა დელეგატ - ქალებისა — 1923 წელს იყო 40, ამჟამად კი აღწევს — 400-მდე. საბჭოების გადარჩევაში ქალები ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას. ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობა ცოტა მოიკოჭლებს. უმთავრეს მიღწევად ამ დარგში ჩაითვლება ის გარემოება, რომ იქნა გახსნილი ჭრა-კერვის კურსები, სადაც მეცადინეობს 20 ქალი. მომავალში ახ. ქალთა შორის მუშაობას საოლქო პარტკომის მიერ ექნება მიქცეული მეტი ყურადღება.

საანგარიშო ხნის განმავლობაში იყო მოწვეული უჯრედთა მდივნების თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა საკითხ. პარტიის ამოცანების და პოლიტიკის შესახებ სოფლად და ადგილობრივ პარტორგანიზაციის საკითხები. ბევრ სოფლებში ჩატარებულ იქნა სოფლის აქტივის თათბირი გლეხობის უღარიბეს და საშუალო ნაწილის თანდასწრებით.

საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის სწორი და მტკიცე ხელმძღვანელობით მოხდა ორგანიზაციის რიგების სავსებით შეკავშირება როგორც ცენტრში, ისე ადგილზე. ამას გარდა საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა შესძლო სწორი საგეგმო წესების შემოღება პარტორგანიზაციის მუშაობაში.

სოხუმელი.

პოლიტსკოლა სამთავისში

ჩვენს კომუნაში დაარსებული იყო მოძრავი პოლიტსკოლა, გორის მაზრის პარტკომის მიერ. სკოლაში 80 ამხანაგი მეცადინეობდა. მათ შორის ქალებიც იყვნენ. უნდა ითქვას, რომ სკოლას კარგი ხელმძღვანელი ჰყავდა და მუშაობამაც შესაფერისი ნაყოფი გამოიღო. მსმენელთა გამოშვება მოხდა 4 აპრილს. გამოშვებას დაესწრო გორის პარტკომის აგიტპროპგანყოფილების გამგე ამხ. ლომიძე და ქვემო ქალის რაიკომის მდივანი კალანდაძე.

მ. ილურიძე.

თემკომმა გააცხოველა მუშაობა
(ცაგერი)

ცაგერის თემში შემავალ პარტუჯრედების მუშაობა სანამ თემკომი ჩამოყალიბდებოდა ძალიან სუსტი იყო, მაგრამ თემკომის დაარსების შემდეგ, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. თემკომი იმ თავითვე შეუდგა ენერგიულ მუშაობას, დაიჭირა ცოცხალი კავშირი სოფლის უჯრედებთან და აამუშავა ყველა მიძინებული უჯრედები. დღეს ყველა ისინი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ. თემკომის ინიციატივით, 4 აპრილს მოწვეულ იქნა უჯრედის მდივნების თათბირი, როგორც ამ თათბირზე გამოირკვა უჯრ. მდივნების მოხსენებიდან ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი ყოფილა კიდევ, როგორც ზოგიერთ სოფლის უჯრედებში, ისე თვით ცაგერის ერთ უჯრედშიაც. უჯრ. მდივნების თათბირმა გამოარკვია პრაქტიკული ღონისძიებები მომავალ მუშაობის შესაფერის დონეზე დასაყენებლად. საჭირო ხშირად მოეწყოს ასეთი თათბირები, ეს უზრუნველყოფს მომავალი მუშაობის სისწორით წარმართვას.

ს. მ—ლი.

ქალთა შორის

ყურადღება გვაკლია
(ოლურის თემი, ქვემო-სვანეთი)

ამჟამად ჩვენი თემი წელში სწორდება ყველა დაბრკოლებებს ლახავს და წინ მიიწევს კულტურულად და ეკონომიურად. ამ საერთო ფერხულს არც ქალთა ორგანიზაცია ჩამორჩება, თემის ქალთა ორგანიზაცია აერთიანებს 30 დელეგატ ქალს, იმართება სისტემატიურად საუბრები პროგრამის მიხედვით, სამწუხაროდ ერთი გარემოება მაზრის ქალთა განყოფილება ნაკლებ ყურადღებას გვაქცევს. ქალთა განყოფილების გამგე ერთხელაც არ სწვევია რაიონს—(რასაკვირველია არც თემს) რაც უნდა იქნეს გამოსწორებული.

ბითილული.

შინ. საქ. კომის. არსებ. კომუნ. მეურნეობ. განყ. მუშაობა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული კომუნალური მეურნეობის განყოფილების აპარატი 1925 წლის დამლევამდე მოუწყობელი იყო და მხოლოდ 1925—26 სამეურნეო წლის დასაწყისიდან მოეწყო და გააფართოვა თავისი მოქმედება.

განყოფილებას აქვს ქვე-განყოფილებები: საერთო-საორგანიზაციო, საფინანსო-საბიუჯეტო, სამეწარმოქმედო, საბინაო ნაწილებით—ტექნიკურ-კომუნალური, კეთილმოწყობის, ქალაქის და სოფლის აღმშენებლობის, საგზაო მშენებლობის და სახანძრო.

კომუნალური განყოფილების საქმიანობის გასაფართოებლად აპარატის მოგვარების შემდეგ საჭირო იყო სამაზრო კომუნალურ მეურნეობებთან მჭიდრო და ცოცხალი კავშირის დაჭერა. ამისათვის გამომუშავებული იქნა მაზრების კომუნალურ მეურნეობათა ყველა დარგების დათვალიერების სქემა. ამის მიხედვით დათვალიერებულ იქნა 8 მაზრა, ხოლო იქ მაზრებიდან, რომელთა დათვალიერება ვერ მოესწრო, იწვევენ კომუნალურ მეურნეობის ხელმძღვანელთა ცენტრში მოხსენებების წარმოსადგენად.

მუშაობის უფრო განვითარების მიზნით მიმდინარე წლის მაისის ბოლოში განზრახულია მაზრების კომუნალურ მეურნეობათა გამგეობის თათბირის მოწვევა. მიმდინარე სამეურნეო წლის 5 თვის განმავლობაში კომუნალური განყოფილების მუშაობაში განსაკუთრებულ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს სახანძრო საქმის გაუმჯობესება, 12 მაზრაში უკვე არსებობს ცეცხლის მქრობელი რაზმი. განყოფილებამ სახელმწიფო დამზღვევ სამმართველოდან მიიღო 2.535 მან. 4 კ. 1922—23 წლის მოგებიდან ამ ფულით შეძენილია სახანძრო ხელსაწყოები, რომლებიც ეგზავნებათ მაზრებს.

◆

საგზაო მშენებლობა

გზათა სამმართველო ამ ჟამად აწარმოებს კვლევა-ძიებითი მუშაობა ჯავახეთის გზატკეცილის (მანგლისი—ხრამის წყალი—ახალქალაქი) გასაყვანად 130 ვერსის სიგრძეზე.

თბილისის მაზრის აგარაკ-კურორტებს განაგებს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებული საკურორტო სექცია, რომელსაც ექვემდებარება 4 აგარაკ-კურორტი.

თვითეულ აგარაკზე აგებულია რამოდენიმე ათეული სახლი, რომელიც ამ ჟამად თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს ეკუთვნის, ხოლო მათი მოვლა-პატრონობა—ექსპლოატაცია მინდობილი აქვს ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულ საკურორტო სექციას.

თბილისის მაზრის აგარაკების ქსელში შედიან შემდეგი აგარაკები: მანგლისი, სადაც თბილისის აღმასკომს აქვს 37 სახლი 194 ოთახით; კოჯორი—134 სახლი 771 ოთახით; კიკეთი—16 სახლი 66 ოთახით; წყნეთი—7 სახლი 27 ოთახით.

გასულ წელს საკურორტო სექციამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი მის უწყებაში მყოფ აგარაკების კეთილმოსაწყობად. ამ მიზნით სექციამ საფუძვლიანი რემონტი გაუკეთა მანგლისის და კიკეთის აგარაკებს. მთავარი ყურადღება ექცეოდა აგარაკების უზრუნველყოფას სასმელი წყლით. ამ მიზნით კიკეთში გაწმენდილი იქნა ყველა ჭები, რომლებისაგან ამოღებულ წყალს ხმარობენ დასასვენებლად მოსული მოაგარაკეები. ალაგ-ალაგ, სადაც ეს მოსახერხებელი იყო, გაყვანილი იქნა წყალსადენები წყაროს წყლისაგან. ნაკლები ყურადღება არ ჰქონია მიქცეული კურორტების სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით აგარაკებზე მოწყობილი იქნა სანაგვე ორმოები. დადგმულ იქნა გადასახადი ყუთები. მანგლისში ტყიანი ჭალის დასაცავად გაბმულია ეკლიანი მავთული. საერთოდ წინანდელთან შედარებით აგარაკების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია.

◆

უპატრონო ბავშვები ა-კავკასიაში

ა.-კ. ტერიტორიაზე მოიპოვება აურაცხელი უპატრონო ბავშვები, რომლებიც დარჩენილი არიან იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის დროიდან. ასეთი ბავშვებით ავსილია საბავშვო და გამასწორებელი სახლები. მათი უმრავლესობა (4 ათასამდე) მოთავსებულია საბავშვო დაწესებულებებში და ინახებიან სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანიზაციების და ამერკული კომიტეტის ხარჯზე.

უდიდესი მასა უპატრონო ბავშვებისა ა.-კ.-ში მოდის ზამთრობით, რადგან აქ ზამთარი არ იცის მკაცრი, ხოლო გაზაფხულზე და ზაფხულობით კი მიდიან ვოლგის მხარეში და სანავსადგურო ქალაქებში. უმთავრესი ადგილები, სადაც თავს იყრიან ეს ბავშვები საქართველოშია: თბილისი, ბათომი, სამტრედია და ფოთი. აზერბეიჯანში: ბაქო, საბუნჩი, ბალაჯარა, ავჯიაბული, ქიურდამირი, უჯარა და ხაჩმასი; სომხეთში: ლენინაკანი, ერევანი, ნახიჩევანი და ნაროჩენი.

უპატრონო ბავშვები განსაკუთრებულ ზიანს აყენებენ რკინის გზებს, სადაც ისინი შემოდიან ბაქოდან, ბათომიდან და ფოთიდან.

მათ მიერ გზებისათვის ზიანის მიყენება გამოიხატება: სალიანდაგო და სადგურების შენობათა წაბილწვაში, ხეზებზე და თავისუფალ ვაგონებში ცეცხლის დანთებაში, საქონლის სადგურებიდან და საბარგო ვაგონებიდან ბარგის მოპარვაში, ორთქმავლის და ვაგონების ნაწილების მოპარვაში და სხ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თავს ესხმიან და სძარცვავენ ღამეობით ბავშვებს, ქალებს და რკინის-გზის აგენტებს.

საქართველოს იუსტიციის კომისარიატთან არსებულ ბავშვთა ბოროტ-მოქმედებასთან მებრძოლ კომისიის მიერ მარტო თბილისის მასშტაბით 1925 წ. განმავლობაში რეგისტრაციაშია გატარებული უპატრონო ბავშვების მიერ ჩადენილი: მკვლელობა—9, გაძარცვა—1, წვრილი ქურდობა—433, კვალიფიციური ქურდობა—6, სხვადასხვა გვარი სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებანი—37 და უზნეობით გამოწვეული ბოროტმოქმედებანი—60. საერთოთ კი—617.

რაიმე რადიკალურ ღონისძიებათათვის უპატრონო ბავშვებთან საბრძოლველად ჯერ-ჯერობით ამიერ-კავკასიაში არ მოუმართავთ. მართალია, ქონდა ადგილი ა.-კ. რკ. გზების სხვადასხვა ადგილებში საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის და გზის დამცველ რაზმის მიერ პერიოდულად უპატრონო ბავშვთა მასიურ დაპატიმრებას, საბავშვო სახლებში გაგზავნას.მაგრამ ვინაიდან ასეთი სახლები მცირეა, ბავშვების დიდი ნაწილი ისევ ქუჩაში რჩება.

მუშათა ცხოვრება

„თეატრალურ ვაკხანალიას" ბოლო მოუღეთ
(ხელოვნების მთავარ კომიტეტის საყურადღებოთ)

ყველას გარგად ახსოვს, თუ როგორი უწესოება იყო თბილისში შარშან მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასტროლებზე ბილეთების შეძენის დროს. მაისის რიცხვებში წელსაც მთელის თბილისის საზოგადოება, მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის სტუდიის სრულ შემადგენლობას, რაზედაც სახელმწიფო ოპერის ადმინისტრაციამ გასტროლიორების რწმუნებულთან ერთად წინდაწინ მიიღეს ზომები ბილეთების წესიერად განაწილების მიზნით. ყველა ადგილკომებში წინდაწინ დაურიგეს პროგრამის ფურცლები და ბილეთების ფასების ცხრილი. თანამშრომლებმაც ამოვირჩიეთ სპექტაკლი და ადგილებიც და 14 აპრილს (მათ მიერ ნაჩვენები ვადა იყო 12 აპრილიდან 15 აპრილამდე) ადგილკომის მდივანი გამოცხადდა ოპერის ადმინისტრაციასთან ბილეთების შესაძენათ. მაგრამ დახეთ უბედურებას! არც ერთი მუშა-მოსამსახურისათვის ხელსაყრელი ბილეთი არ მოიპოვება სალაროში. ბალკონი არ არის. პარტერი არ არის. გვერდის ლოჟებში ადგილი არ არის. ამფითეატრში ადგილები ცოტა არის. არის მხოლოდ ლოჟა ბენუარ. და პარტერი, რომლის ფასი 5 მანეთიდან 7 მ. 50 კაპეიკამდე ადის—აგრეთვე მეოთხე იარუსზე ფეხზე სადგომი ბილეთები. **ჯერ აღსანიშნავია ბილეთების ასეთი ჯერ უნახავი მაღალი ფასები**, და მეორე ის, რომ საშუალო ფასების ბილეთები არ იშოვება.

საინტერესოა ვიცოდეთ, რამ ჩაყლაპა ეს ბილეთები? ან რით აიხსნება ის გარემოება, რომ საინტერესო სპექტაკლზე, როგორიცაა „წარღვნა", „ჭრიჭინა ფეჩზე" ბილეთები სულ არ იშოვება.

აშკარად უნდა ითქვას, რომ აქ რაღაც სხვა სუნი ტრიალებს.

როგორც ეტყობა, ბილეთები უკანა კარებიდან იყიდება და სპექტაკლის დღეებში ჩვენ მოწამე გავხდებით იმ უსაზღვრო სპეკულიაციის, როგორც ეს იყო წარსულ წელს. საჯაროთ ბილეთების გაყიდვა 15 აპრილიდან იწყება და საინტერესოა ვიცოდეთ,—ჩამოთვლილი ალაგები იქნება თუ არა გასაყიდი სალაროში.

დასაშვებია თუ არა ასეთი მდგომარეობა, რომ მუშა-მოსამსახურეებს საშუალება ესპობათ შესაფერ ბილეთების შეძენის და უსაქმო „ბიჭ-ბუჭებმა" სპეკულიაცია უნდა გამართონ ბილეთებზე ისე, როგორც წარსულ წელს.

ხელოვნების მთავარმა კომიტეტმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები ამ ბილეთებით სპეკულიაციის და ბილეთების საშინლად დიდი ფასის წინააღმდეგ. ბილეთების ყიდვაც უნდა სწარმოებდეს პროფორგანოების წარმომადგენლობის მონაწილეობით.

მუშკორი—**პ. ჩხიკვაძე**

სახლი გაგვიბინძურა

თბილისის მცხოვრებლები განიცდიან დიდ კრიზის უბინაობის გამო, მაგრამ არიან ზოგან ისეთი ბედნიერებიც, რომ. არამთუ თვითონ უჭირავთ კარგი ბინა, არამედ ძროხაც-კი ჰყავთ დაბინავებული ოთახში, ამნაირი ბედნიერ მდგმურს ეკუთვნის მოქ. ბაკურაძე, რომელსაც უჭირავს იურიევის ქუჩაზე, სახლი № 1-ში, სამი ოთახი და მეოთხე ოთახი კი ძროხისათვის. ეს სახლი ეკუთვნის აღმასკომს; აქა სცხოვრობენ მხოლოდ მუშები რიცხვით არანაკლებ 120 კაცისა.

ამ ძროხის „ოთახის" გვერდზე სცხოვრობს ოჯახობით მუშა, რომლებიც სიბინძურის და მყრალი სუნისგან ამ ძროხის „ოთახიდან" თითქმის იხრჩობიან. გარდა ამისა,განავალს ყრიან პირდაპირ იქვე შემოსასვლელ კარებთან.

მუშებმა თუმცა მიმართეს რამდენჯერმე სახლის გამგეს მოქ. რიგოშვილს ამის შესახებ. მაგრამ ის ყურსაც არ იბერტყავს.

ამას უნდა მიექცეს სანიტარული კომისიის ყურადღება, რადგანაც უკვე ახლოვდება ზაფხული და გაჩნდება ჭია-ღუები ძროხის სიბინძურისაგან.

მუშკორი **ძია ლევანი.**

რას მივაწეროთ ასეთი საქციელი?
(რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილების და დამზღვევ სალაროს საყურადღებოდ)

მშრომელთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის საბჭოთა ხელისუფლება არაფერს არა ზოგავს: ხსნის ახალ-ახალ საექიმო პუნქტებს, საავადმყოფოებს, აგებს სანატორიუმებს და დასასვენებელ სახლებს, სადაც ათასობით იგზავნებიან მუშა-მოსამსახურენი გასაჯანსაღებლად და მოდლილი ჯანმრთელობის აღსადგენად. ამაზე მილიონები იხარჯება. არიან ჯერ კიდევ ისეთი თანამშრომლები, რომელთაც მთლიანად ვერ შეუგნიათ მშრომელთა ლოზუნგი: „მომჭირნეობა ყველგან და სამუშაო დღის ნაყოფიერებით გამოყენება". ასეთის ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ სადგურ ხარაგოულის ექიმი მოქ. ჭიჭინაძეც. ა. წ. 3 მარტს, ექიმ ჭიჭინაძეს დილიდანვე გამოუცხადეს ავადმყოფთათვის დახმარების აღმოსაჩენად ძირულა-ხარაგოულის ლიანდაგის გადარბენაზე (8 ვერსის მანძილზედ რკინის გზის ფარგლებში). მას ელოდა ექვსი მძიმე ავადმყოფი სხვადასხვა ვერსებში. გზის ოსტატმა ექიმის წასაყვანად 8 ვერსის მანძილიდან გამოუგზავნა ერთი რონოდა ნადისთავ ბუაჩიძის ხელმძღვანელობით. მაგრამ დახეთ დაუდევრობას, ექიმმა რონოდანით წასვლაზედ უარი განაცხადა და დაქირავებული ცხენით წაბრძანდა.

ექიმის ასეთმა მოქმედებამ აღელვა მუშები, ვინაიდან ყველამ იცოდა, რომ ცხენის ქირა ჩვენ ღარიბ სალაროს დააწვებოდა.

ორი ვერსის მანძილზედ, როდესაც ექიმმა ცხენი რკინის გზის გვერდზედ პლოხზე დააბა და თვითონ 2 ავადმყოფი ბავშვი უნდა ენახა თვით გზის ოსტატის, უცებ ცხენი დაფრთხა მომავალ რონოდანის ხმაურობაზე და გასწყვიტა აღვირი და წყალ გაღმა გავარდა, გაგორდა ქვიშაზედ და უნაგირი მთლად დაამტვრია. რასაკვირველია, უნაგირის საფასურიც სალარომ უნდა გაიღოს. მაშინ კი ჩვენი ექიმი ამის შემდეგ იძულებული გახდა რკინის გზის კანონს დამორჩილებოდა და შემდეგი მოგზაურობა რონოდანით განეგრძო.

საინტერესოა, ვიცოდეთ, თუ რას გვეტყვის ექიმის ასეთს საქციელზე რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილება.

ექიმის ასეთი საქციელი დაუშვებელია და დამნაშავე ღირსია სათანადო სასჯელის.

მუშა **მაყურებელი.**

დაუდევრობა თუ ბოროტმოქმედება
(ა.-კ. რკ. გზის მთავარ სამმართველოს უფროსის საყურადღებოდ)

ქალ. ქუთაისში რკინის გზის სადგურში გამწესრიგებლის თანამდებობაზე მსახურებს ამხ. სიმონ სვანიძე, რომელიც დაუზოგავის ენერგიით და კეთილ-სინდისიერათ ასრულებს მასზედ დაკისრებულ მოვალეობას. მას (სვანიძეს) სადგურის „დ./ვ" პირველის უფროსის მიერ დავალებული ჰქონდა „დ/ვ" პირველი განყოფილების ქუთაისიდან-ხაშურის, ჭიათურა საჩხერის, ფოთის, ბათუმის და ბორჯომის ხაზზე (მომუშავე) თანამშრომელ კონდუქტორების ტანსაცმელების შენახვა და საჭიროებისამებრ დარიგება. აღნიშნულ დავალებას ამხ. სვანიძე ასრულებდა თავის პირდაპირ მოვალეობის პარალელურად, რის გამო მას ხშირად უხდებოდა ზედმეტი საათების მუშაობა. წ. წლის 12 ნოემბერს, მან მიმართა განცხადებით შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას, რათა მიეცათ მისთვის ზედმეტი საათების ნამუშევრის ჯილდო, საკონფლიქტო-შემფ. კომისიამ სამართლიანად სცნო ამხ. სვანიძის განცხადება და გამოიტანა დადგენილება მისი დაკმაყოფილების შესახებ.

აღნიშნული დადგენილების თანახმად ამხ. სვანიძეს უნდა მისცემოდა წ. წ. მუშაობისათვის 250 მანეთი, ხოლო მომავალი წლიდან კი თვიურათ ათი (10) მანეთი.

ეს დადგენილება შ. ს. კომისიამ გადაუგზავნა „დ/ვ" პირველის უფროსს მოქ. ს. გრიგოლიას ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს წინაშე, შუამდგომლობის აღსაძრავად. მოქ. ს. გრიგოლია თავიდანვე გულგრილად შეხვდა შ. ს. კომისიის ასეთ დადგენილებას, და მის (დადგენილების) კუთვნილებისამებრ გადასაგზავნათ თავს არ იწუხებდა. თვითონ ამხ. ს. სვანიძე კი სრულიად დაიმედებული იყო, რომ საქმის მიეცემოდა კანონიერი მსვლელობა. მაგრამ მოტყუვდა, რამდენიმე ხნის შემდეგ მან მიმართა მოქ. გრიგოლიას. ამ უკანასკნელმა კი უპასუხა: „მალე გავგზავნი"-ო.

ცხადია ამხ. სვანიძე ძალიან განცვიფრებული დარჩა ასეთი პასუხით, მაგრამ ის უსიტყვოთ განშორდა ს. გრიგოლიას. ამის შემდეგ ხშირათ აგონებდა მას (გრიგოლიას) თავის საქმის შესახებ. უკანასკნელად გრიგოლიამ უთხრა, რომ შუამდგომლობა შენი დაკმაყოფილების შესახებ დიდი ხანია გადაგზავნილია კუთვნილებისამებრ, ამხ. სვანიძე დარწმუნებული გრიგოლიას სიტყვებით ელოდა პასუხს, მაგრამ ამაოდ. გავიდა დღეები და პასუხი არ სჩანდა. რის შემდეგ ის (სვანიძე) იძულებული შეიქნა მიემართა წერილობით თვით ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს უფროსისათვის. სადაც ითხოვა მისი საქმის დაჩქარებით განხილვა. მან კი მიიღო პასუხათ: რომ არავითარი შუამდგომლობა და არც შ. ს. კომისიის დადგენილება მის შესახებ სამმართველოში მიღებული არ არის.

ასეთი პასუხის შემდეგ მან (სვანიძემ) მიმართა საჩივრით სამტრედიაში შრომის ინსპექტორს ამხ. გვაზავას, რომელმაც დაუყონებლივ მოსთხოვა ახსნა-განმარტება ს. გრიგოლიას. გრიგოლიამ ზედწარწერით აცნობა შ. ს. კომისიის დადგენილება—შუამდგომლობასთან ერთად წარმოდგენილია კუთვნილისამებრ ა.-კ. რკ. გზის სამმართველოში-ო.

ამ რიგათ მან შეცდომაში შეიყვანა, როგორც თვით ამხ. სვანიძე, ისე შრომის ინსპექტორი გვაზავა.

რაშია საქმე? ნუ თუ შ. ს. კომისიების დადგენილებები ზოგიერთ განებივრებულ უფროსების წყალობით, თავის გასართობად და სამასხარო სტრიქონებათ უნდა გადაიქცეს?

განცვიფრებული.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **ამ მუშამ რა დაგიშავათ?!** ქალ. აღმასკომის საბაჟო სექციაში ცამეტი წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად და მუყაითად მუშაობდა შავ მუშად ამხ. ლაზარიშვილი. ადმინისტრაციამ მას „მიაკუთვნა შრომის უნარდაკარგულობა სიბერის გამო". ამხ. ლაზარიშვილი კი მხოლოდ 55 წლისაა და ჯერ კიდევ ჯანმრთელი და ენერგიული მუშაკია. ეს დაადასტურა თვით საექიმო-საკონტროლო კომისიამ, რომლის დადგენილების თანახმად ამხ. ლაზარიშვილი უნდა დაბრუნებოდა თავის სამუშაოს, მაგრამ ადმინისტრაცია ამაზე არ თანხმდება და ეს ძველი მუშა—1914 წლიდან კავშირის წევრი დარჩა ღვთის ანაბარა ულუკმაპუროდ.

აღმასკომო, ნუ დააჩაგვრინებ ძველ მუშას!

მუშკორი განი.

— **სად არის მებაღე?!** კაბგეროვის ქ., პურის საცხობთან არის ერთი პატარა ბაღი, უკვე გაზაფხულდა. ყველა ბაღებში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. მხოლოდ ამ ბაღის მებაღე არსად სჩანს და ბაღი უპატრონოდ იღუპება, ნადგურდება.

აღმასკომო, მიიღე ზომები!

მუშკორი გონიერი.

— **სიმამრიც ასეთი უნდა.** რკინის გზის მუშა ამხ. გიორგი მწარიაშვილი 1918 წელს ჩაესიძა სოფ. ყარალაჯის გლეხს, რომელიც დაპირდა ამხ. მწარიაშვილს. რომ იგი თავის ქალიშვილს და შვილიშვილს დაუმტკიცებდა თავის ქონებას. ამხ. მწარიაშვილმა თავისი პირადი ქონება შეუერთა სიმამრის ქონებას. აღადგინა დაცემული მეურნეობა. შეაკეთა სახლი და სხვა შენობები თავის პირადი ხარჯით. ეხლა მას სიმამრი ყველაფერზე უარს ეუბნება. წილსაც არ აძლევს.

სახალხო სასამართლო ამ უსამართლობას არ დაუშვებს და ჩასიძებულს მისცემს კანონიერ წილს.

მუშა-რკინისგზელი.

— **წყალსადენი უპატრონობით გაგვიფუჭდება.** ლენინის უბანში, საჩილაის ქ., გვაქვს ერთად-ერთი წყალსადენი, რომლითაც სარგებლობენ სხვა ქუჩებზე მცხოვრები მუშებიც. წყალს ეზიდებიან ბოჩკებით, ურმებით, რის გამო ონკანის გარშემო გზა საშინლად გაფუჭებულია. თვით ონკანს არავისგან არავითარი ყურადღება არ ექცევა და ფუჭდება. ამ ქუჩით ადამიანს ძნელად გაევლება.

მიში.

— **ამ უპატრონო ქალსაც უნდა გაეწიოს დახმარება.** პროფრანიჩნაია ქ., სახ. № 54-ში (ცხოვრობს ყოფ. რკინის გზის მუშის (იხლა გარდაცვლილის) მოხუცი დედა სალომე ბატკუაშვილი. მას არავინ. აღმოაჩნდა პატრონად და სრულიად უმწეო ულუკმა-პუროდ დარჩა.

აღმოუჩინეთ საბრალო დედაკაცს პატრონობა.

მუშკორი ა. გვინჩიძე.

მუშათა ქრონიკა

1-ლ ტყავტრესტის ქარხანაში

— **მოხსენება.** ტყავტრესტის ქარხკომის სადელეგატო კრებაზე, ქეჩის ქარხნის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აუშტროვმა. კრებამ მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

— **სამუშაოდან გადაყვანის შესახებ.** ვინაიდან მუშები უთავბოლოდ გადაყვანით უკმაყოფილო არიან, სადელეგატო კრებამ დაადგინა — ტყავტრესტის ადმინისტრაციის მიერ მუშების გადაყვან-გადმოყვანა ამიერიდან ხდებოდეს ქარხკომთან შეთანხმებით.

— **აკრძალეს თამბაქოს მოწევა.** ხანძრის თავიდან აცილების მიზნით, ტყავტრესტის სადელეგატო კრებამ დაადგინა მუშაობის საამქროებში აკრძალული იქნეს თამბაქოს მოწევა.

— **თანხის გადიდება.** პროფ-ლაბორატორიის მოწყობისათვის, ტყავტრესტის ქარხკომმა გაიღო გადიდებული თანხა.

— **კედლის გაზეთის რედ-კოლეგიის მუშაობა.** ტყავტრესტის კულტ-კომისიის სხდომაზე კრებამ რედ-კოლეგიის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

— **ახალი აღრიცხვა.** ტყავტრესტის კულტ-კომისიამ მოახდინა აღრიცხვა ქარხანაში 35 წლის ასაკის ქვეით წერა-კითხვის უცოდინართა, რომლებიც მეცადინეობენ სალიკვიდაციო სკოლაში.

საბჭოთა საქართველო

სოფლის ტრაქტორიზაცია

ქუთაისი, 15 აპრილი. მიღებულია თითო ტრაქტორი ხონის, დიდი ჯიხაიშის, სვირის, ახალსენაკის და ახალ აბაშისათვის. ტრაქტორების მიღებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია გლეხებს შორის.

ამ დღეებში ტრაქტორები მიღებულია ზუგდიდში, დარჩელში, საჩხერეში, ზესტაფონში და ერთი ხონში.

სესხები

ქუთაისი, 15 აპრილი. სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ 1—15 აპრილამდე გასცა მოკლევადიანი სესხები: მეღვინეობისათვის—20.000 მანეთი, სამუშაო საქონლის შესაძენად—7.500 მან. სპირტის გამოსახდელზე—2.500 მანეთი, ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოობისათვის—2.000 მანეთი, მევენახეობისათვის—4.6000 მანეთი და სხვა კულტურისათვის—2.500 მანეთი.

კოოპერაციის მდგომარეობა

ქუთაისი, 15 აპრილი. ა. წ. 1 აპრილისათვის [illegible] მაზრაში ირიცხება 31 სავაჭრო პუნქტი და ორი საწარმოო დაწესებულება. წევრთა რიცხვი უდრის 4.074 კაცს, საპაიო კაპიტალი—12.195 მ. 99 კაპ.

1925 წ. 1 ოქტომბერთან შედარებით, წევრთა რიცხვი და საპაიო კაპიტალი გაიზარდა 20 პროცენტით.

რაჭის მაზრაში არსებობს 3 კოოპერატიული ორგანიზაცია, 14 სავაჭრო და ერთი საწარმოო პუნქტით. წევრთა რიცხვი უდრის 4.459 კაცს. საპაიო კაპიტალი—11.905 მ. 65 კაპ.

წარსული წლის 1 ოქტომბერთან შედარებით წევრთა რიცხვი და საპაიო კაპიტალი გაიზარდა 22 პროცენტით.

სენაკის მაზრაში—53 სავაჭრო და 10 საწარმოო პუნქტია. წევრთა რიცხვი—13.213 კაცი. საპაიო კაპიტალი—38.008 მანეთი.

წარსული წლის 1 ოქტომბერთან შედარებით, წევრთა რიცხვი და საპაიო კაპიტალი გაიზარდა 12 პროცენტით.

კოოპერაციის ზრდა

ქუთაისი, 15 აპრილი. სოფ. თამაკონში გაიხსნა ახალი კოოპერატივი. კოოპერატივის წევრებად ჩაეწერა დაახლოვებით 300 კაცი, რომელთაც შეიტანეს 2.000 მანეთი.

ქუთაისი, 15 აპრილი.ნაქალაქევის გლეხებმა აძრეს შუამდგომლობა კოოპერატივის გახსნის შესახებ. ახალი კოოპერატივის წესდება წარდგენილია დასამტკიცებლად.

საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების თათბირი

ქუთაისი, 15 აპრილი. ახალსენაკში 12 აპრილს გაიმართა სენაკის მაზრის საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების თათბირი.

პოლიტ. საგანმანათლებლო მუშაობა

ახალქალაქი, 15 აპრილი. უკანასკნელ დრომდე მაზრაში იყო 91 სალიკვიდაციო პუნქტი. აქედან 62 სომხური, 14 ქართული, 9 თათრული, 2 ქურთული და 4 რუსული—2.634 მსმენელით.

64 სალიკვიდაციო პუნქტიდან 1 აპრილისათვის გამოშვებულია 721 მსმენელი, აქედან ქალები—57.

ქოხ-სამკითხველოების რიცხვი მაზრაში უდრის 22-ს. აქედან 13 ქოხ-სამკითხველოსთან მოწყობილია პოლიტიკური წრეები.

წაკითხული იქნა სულ 130 მოხსენება, უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე, გაიმართა 43 წარმოდგენა და ჩატარებულია რამდენიმე კამპანია. 14 ქოხ-სამკითხველოსთან გამოცემულია კედლის გაზეთები.

აჭარისტანი

„მმაჩი"

ბათომი, 15 აპრილი. „მმაჩის" განყოფილებაში გატარებულია რეგისტრაციაში 322 დაბადება, 161 სიკვდილი, 36 განქორწინება და 129 ქორწინება.

ხე-ხილი

ბათომი, 15 აპრილი. აჭარისტანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისგან მიიღო 6.000 ცალი ხე-ხილის ნერგი (ატამი, მსხალი, ვაშლი და ბალი) ბათომის მაზრის გლეხთა ბაღებისათვის.

აგარაკი პოლიტიკურ კატორღელებისათვის

ბათომი, 15 აპრილი. დაბა ციხისძირაში მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა გამოჰყო ორ სართულიანი სახლი 3 ნახ. დესეტინა ბაღით პოლიტკატორღელ საზოგადოების აჭარისტანის განყოფილებისათვის.

სანიმუშო საღამო

ბათომი, 15 აპრილი. რკინისგზელების ახლად მოწყობილ კლუბში გაიმართა პირველი სანიმუშო საღამო მომღერალთა, დრამატიულ, სამუსიკო და ფიზკულტურის წრეების მონაწილეობით.

შეგირდების ექსპლოატაცია
(სენაკიდან)

ქ. სენაკში არის სამიკიტნოები, მეწაღეთა სახელოსნოები და სხვა; ყველას ყავს (მცირე გამონაკლისის გარდა) შეგირდები; არ ვიცი როგორ კვებავენ „ხაზეინები" მათ, მაგრამ სახეზე ეტყობათ, რომ რიგიანი ჭამა-სმა არა აქვთ. გარდა ამისა, ისინი დაფლეთილ ტანსაცმელში და თითქმის ფეხშიშველები მუშაობენ 10—12 საათს. შეგირდების გარდა, ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებთ ყავთ სახლებში მცირე წლოვანი მოსამსახურე ბავშვები, მათი მდგომარეობა არ ჩამოუვარდება შეგირდებისას. არის შემთხვევები, როცა შეგირდებს და მოსამსახურეებს სცემენ კიდეც. 5 აპრილს, მაგალითად, ერთ მეჩექმესთან მყოფ შეგირდს მოუპარავს ნაჭერი შეშა (ალბათ ბავშვს შესციოდა),სახლის პატრონმა ბავშვი დაიჭირა, ჯერ თვითონ სცემა და შემდეგ „ხაზეინმაც" იჯერა გული; ამას ხედავდენ ბევრი მოქალაქენი ნინოშვილის ქუჩაზე.

მეთვალყურე.

წერილებიდან

ს. კიწია (სენ. მ.)

გლეხობა კმაყოფილია. ამ რამდენიმე დღის წინად ფ.-ტ. სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა, ჩამოიარა კიწიის ფ.-ტ. საგენტოში და რადგანაც კიწიის თემი სივრცით დიდი იყო დანიშნა სოფლის დამტარებელი ფოსტალიონი ცხენოსანი, რომელიც საგენტოში კორესპონდენციებს და ამანათებს მიღებისთანავე თავიანთ სახლში აწვდის გლეხობას. ის აგრეთვე ყიდის სოფლებში საფოსტო ნიშნებს, ღებულობს ფულის ბარათებს, ამანათებს და ხელის მოწერას აწარმოებს სხვადასხვა ჟურნალ გაზეთებზე. ამ გარემოებამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია გლეხობაში.

პ. კ.

ს. კეთილარი (სენ. მ.)

მუყაითი მასწავლებელი. კეთილარის შვიდ წლიან სკოლის გამგედ დანიშნეს საქმიანი, მუყაითი და ბავშვების მოყვარული პედაგოგი დ. ფირცხალავა.რაც ის დაინიშნა, ბავშვები არავის გაულახავს. უწინ მშობლები ძალით მიერეკებოდენ შვილებს სკოლაში ეხლა კი ისინი ალიონზე მირბიან, რადგან მასწავლებელმა შეაყვარა მათ სასწავლებელი; სწავლაც კარგ ნიადაგზეა დაყენებული, მუყაითი მასწავლებლების მეოხებით ხშირათ ეწყობა საბავშვო დილები და ლიტერატურული გასამართლება, გამოდის კედლის გაზეთი. მოწაფეთა მშობლები მზათა ვართ ასეთ სკოლის გამგეს ყოველმხრივ დავეხმაროთ.

მშობელთაგანი.

ჭიათურა

უდიერი ბებია-ქალი მსახურობს ჭიათურის საავადმყოფოში. მისი გვარია მოსეშვილი. ის უხეშად ეპყრობა მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც საავადმყოფოში მიდიან.

გს.

ბარალეთი (ახალქალაქის მ.)

გაუპატიურებული ტელეფონი. თემში არსებობს მილიციის რაიონული სამმართველო, სადაც ტელეფონი არის. ტელეფონი დაკავშირებულია მაზრის ცენტრთან. მილიციის უფროსი გულნიანი და მისი თანაშემწე გრიგორიანი ფხიზლად [illegible] ტელეფონს და არავის აძლევენ ლაპარაკის უფლებას. რა რიგ საჭირო საქმე არ იყოს ის.

ამას წინათ, თემის სახალხო დაზღვევის აგენტს ლაპარაკი უნდოდა მაზრასთან. გრიგორიანმა ერთი შეუბღვირა და რათა საბოლოოთ აეკრძალა ყველასათვის ლაპარაკი განაცხადა: თქვენ პირდაპირ გააუპატიურეთ ტელეფონი ამდენი ლაპარაკითო. თან დარაჯს უბრძანა და აგენტი გარეთ გამოაბრძანა.

ბარაქალა ტელეფონის უბიწოების დამცველ მილიციის უფროსს და მის თანაშემწეს.

ი. დ.

სოფლის ქრონიკა

დაზარალებული მწყემსობა

საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსის" წევრები იტყობინებიან უდაბნოდან (დავით გარეჯის მონასტერი), რომ მოულოდნელ უამინდობას და საშინელ ჩოლუმს (წვიმიანი ქარიშხალი) მეტად დიდი ზიანი მიუყენებია მეცხვარეთათვის.

სამ მეცხვარესათვის ქარიშხალს ამოუწყვეტია 300 დედა ცხვარი, უგზო-უკვლოდ დაკარგულია 22 ცხენი და 45 მსხვილფეხა საქონელი. არშინზე მეტი თოვლი დევს და საშინელი სიცივის გამო სამი დღე და ღამეა წვრილფეხ-მსხვილფეხა საქონელი გამომწყვდეული ბღავის.

◆ **რაჭის** აღმასკომმა დაამთავრა ონის საავადმყოფოების შეკეთება.

◆ **ავტომობილების** ფასად ქუთაისიდან ონამდე დაწესებულია 13 მან. 10 კაპ.

◆ **კანაფის სანერგეები.** ახალქალაქის აღმასკომი მაზრაში აშენებს კანაფის სანერგეებს 50 დესეტინაზე.

◆ **სოფ. გოგაშენში** (ახალქალაქის მაზრა) სამაზრო აღმასკომის მეთაურობით გაყავთ წყალსადენი.

◆ **სენაკის** აღმასკომმა თავის ხარჯით ბანძის თემში გაგზავნა ტექნიკოსი გზების შესაკეთებლად დაწყებულ მუშაობის ხელმძღვანელად.

◆ **ხიდი.** ნაგვაზაუს თემში ხიდის ასაგებათ გადასდო სენაკის აღმასკომმა 100 მან.

◆ **თელავის** აღმასკომმა დაადგინა საექიმო პუნქტი გადაიტანოს ახალ-სოფლიდან სოფ. ახალ-გავაზში.

◆ **ბორჩალოს** აღმასკომმა დაადგინა ჩამოიაროს ყველა თემაღმასკომები და მოახდინოს მათი მუშაობის გამოკვლევა.

◆ **სამხრეთ-ოსეთის** ცაკმა დაადგინა რაიონებში დაარსოს მოსავლის შემფასებელი საექსპერტო კომისიები.

◆ **მაზრაში** სხვადასხვა სამუშაოების საწარმოებლად ბორჩალოს აღმასკომმა გამოყო ცალკე კომისიები.

სასარგებლო ექსკურსია
(წერილი დუშეთიდან)

დუშეთის მაზრა კულტურულად მეტად ჩამორჩენილი კუთხეა. საბჭოთა მუშაკების თითქმის მთელი 100 პროცენტი მოსულებისაგან შესდგება. ეს იმით აიხსნება, რომ ძველი მთავრობის დროს ამ მაზრაში თითქმის არც ერთი სკოლა არ ყოფილა და ამიტომაც, ბუნებრივია, წერა-კითხვის უცოდინარი მკვიდრი კანცელიარიულ და საგანმანათლებლო მუშაობის გარეშე უნდა დარჩენილიყო. საბჭოთა ხელისუფლებამ დაბალი საფეხურების სკოლებით მოფინა მთელი მაზრა, თვით მივარდნილი სოფლებიც კი, ხოლო ქ. დუშეთში, გახსნა 9 წლედი. ადგილობრივი მცხოვრებნი და გლეხობა დიდ იმედებს ამყარებენ ამ 9 წლედს. მისგან მოელიან მაზრის მომავალ ხელმძღვანელთა. წელს ამ 9 წლედის კურს დამთავრებულ მოწაფეთა პირველი გამოშვება მოხდა.

როგორც მაზრის ხელისუფლებისა, ისე მასწავლებელთა მთელი პერსონალის ყურადღების ცენტრში იმთავითვე გამოსაშვებ მოწაფეთა სერიოზული მომზადება იყო. ჩვენი მოწაფეობის შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანია. მათში მრავლად მოიპოვებიან თუშნი, ფშაველნი, მთიულნი, ხევსურნი მათ შორის მრავალია ისეთნიც, რომელთაც არ უნახავს რკინისგზაც კი, არ გაეგონათ ორთქლმავალის სტვენა, არ მიუღიათ თანამედროვე დიდი ქალაქიდან ცოცხალი შთაბეჭდილება. ამის გამო ჩვენმა პედაგოგიურმა საბჭომ 31 მარტს მოაწყო მოწაფეთა ექსკურსია.

მოწაფე-ექსკურსანტები პირველად ტფილისს ეწვიენ. ექსკურსანტებს [illegible] სიამოვნებით და პატივისცემით ღებულობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ლაბორატ. პ-მა **პროფ. მოსეშვილმა** 5—6 საათის მუშაობით გააცნო მოწაფეებს ცდის ხერხით სხვადასხვა ქიმიურ ელემენტების მიღებისა და შეერთების ფაქტები, რაც ქიმიური კაბინეტის უქონლობის გამო ადგილობრივ [illegible].

შემდეგ ექსკურსანტებმა ნახეს უნივერსიტეტის მინეროლოგიისა და გეოლოგიის ლაბორატორიები; დაათვალიერეს სარევოლუციო და საისტორიო მუზეუმები, სადაც ვრცელ ახსნა-განმარტებას აძლევდენ ექსკურსანტებს ამხ. **შენგელაია და გიორგაძე.** ექსკურსანტები გაეცნენ აგრეთვე საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიურ განყოფილებას, სტამბა-ქარხნებს—იყვნენ პირველად კინოსა და საოპერო თეატრებში. მე-5 დღეს შთაბეჭდილებით დატვირთული მოწაფეები გაემგზავრნენ ჭიათურისაკენ. აქ ექსკურსანტები გაეცნენ მაღაროებს, შავიქვის მადნებს, მარგანეცის საწმენდ ქარხნებს. ჭიათურიდან მეტად მადლიერი და ნასიამოვნები ექსკურსანტები მხიარულებით დაბრუნდენ დუშეთში.

ქ. ბ—ძე.

ტატია და ნადია
(გომი, ქუთ. მ.).

ტატიანას ერთობ უყვარს კვერცხები. არც ქათმებზე გეტყვისთ უარს. გემოვნება კარგი საქონელი. ზოგს ქონებაც ბევრი აქვს და შესაძლებლობაც, მაგრამ ჭამის შნო „ღმერთს" არ მიუცია. ზოგის ქონება კი ყურგახვრეტილ შაურადაც არ დაფასდება, მაგრამ კარგს სჭამს, კარგს სვამს და კარგს იხურავს.

ძნელია იმის თქმა ტატიანა გეგუჩაძის ქონება რამდენ ყურგახვრეტილ შაურით გაიზომება, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში მის თანამდებობას და სამსახურის ადგილს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ისე სქელია სოფლის მასწავლებლის ჯიბე, რომ მან თავის პატრონი ქათმებითა და კვერცხებით ანებივროს.

ტატიანას კი არც ერთი აკლია და არც მეორე. საიდან და როგორ ხდება ეს, ამის პასუხს მოგცემთ იმ მოწაფეთა მშობლები, რომელთა ბავშვებმაც არ დააყენეს საბუდრებში სამძევლო კვერცხებიც კი.

ტატიანას არც ნადია ჩამორჩება. ის, მეორე მხრივ არის ცნობილი გომის სკოლაში. გაკვეთილის დროს სათითაოდ ჩამოუვლის ხოლმე მოწაფეებს და ეკითხება ვინ რომელ თვეშია დაბადებული.

ვინც შემოდგომა-ზამთრის თვეებშია დაბადებული, მათ ეუბნება—„გლახაც იმიტომ ხარ, რომ ასეთ უხიაგ თვეში დაბადებულხარ"-ო. მე ვარ, მაგალითად, აპრილის თვეში, როცა ყველაფერი ჰყვავის და იმიტომ ვარ ასეთი"-ო.

მოწაფეები თვალებდაცეცებით შესცქეფინობენ სიბრძნისმეტყველ მასწავლებელს, მერე მიდიან სახლში და ერთ დღეს აყენებენ მშობლებს, რაღა მაინცდამაინც თებერვალში გამაჩინეთ, ბარემ ერთი ორი თვე კიდევ მოგეცადნათო.

ტატია და ნადია. ორნი არიან... მაგრამ არა, ტოლნი არ არიან. ერთი მუსრს ავლებს ქათმებს და კვერცხებს, მეორე სულ სხვა დარგში მოღვაწეობს. ან კი რა ენაღვლებათ, თუ კი გამკითხველი არავინ იქნება?

მაყურებელი.

მიწის კანონის დამრღვევი სასტიკად უნდა დაისაჯოს
(ს. ნოღა, სენ. მ.)

ამ უკანასკნელ ხანებში, გლეხობაში დაიწყო მიწით სპეკულიაცია.

სოფ. ნოღას მცხოვ. მელიტონ წიფურიამ (ეხლა სოხუმის ოლქში ცხოვრობს) თავისი ეზო პატარა ფაცხათი მიყიდა, იმავე სოფლის მცხ. ლუკა წიფურიას, ზომით 6 ქცევა 400 მანეთად. ამავე სოფლის მცხ. სოლომონ ჩაჩიბაიამ (ისიც ეხლა სოხუმის ოლქში ცხოვრობს) მიყიდა თავისი ეზო პატარა სახლით. 300 მანეთად ერასტო სალუქვაძეს და სხვა. ასეთი მაგალითები ბევრია, როგორც როგორც კიწიაში, ისე კურზუში და სხვაგან.

ვინ ყიდულობს მიწას? კულაკები.

ეს გარემოება მშრომელ მასაში დიდ უკმაყოფილებას იწვევს, გლეხი ასე მსჯელობს „ისევ დაიწყო მიწის ყიდვა-გაყიდვა, ალბად მთავრობა უწყობს ხელსო", რაც შეუგნებლობის და ზოგჯერ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეს პროვოკაციის ნაყოფია.

რომ გაუგებრობას არ ექნეს ადგილი გლეხობაში, ამისთვის საჭიროა დროზე მიექცეს მას ყურადღება და დასჯილი იქნეს ის პირები, რომლებიც ასეთს ჩაიდენს.

სიმართლე.

წითელ ჯარში

დახმარება სამხედრო მოსამსახურეებს

მოსკოვი, 15 აპრილი. **საბჭოთა კავშირის სამხედრო სარევოლიუციო საბჭომ შემოიღო სამხედრო მოსამსახურეებისათვის დახმარების მიცემა ჯანმრთელობის აღსადგენათ.**

სამხედრო სარევოლიუციო საბჭოს ბრძანების თანახმად, დახმარების მიღების უფლება აქვს ყველა სამხედრო მოსამსახურეებს, როგორც უწყობრიოდან, ისე უფროსთა შემადგენლობიდან, რომლებიც ირიცხებიან წითელი არმიის კადრებში.

დახმარება მოსამსახურეებს ეძლევათ საექიმოთ და ჯანმრთელობის აღსადგენათ მძიმე ავადმყოფობის, დაჭრის, კონტუზიის, დასახიჩრების შემდეგ. და აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფობა არის დაღლილობის შედეგი და გამოწვეულია ხანგრძლივი და მძიმე მუშაობით.

მოსკოვი, 15 აპრილი. საბჭოთა კავშირის სამხედრო სარევოლიუციო საბჭო სამხედრო მოსამსახურეებს აძლევს დახმარებას იმ ქონების ანაზღაურების სახით, რომელიც მოსამსახურემ დაჰკარგა სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებით.

ამ დახმარების მიღების უფლება აქვთ ყველა სამხედრო მოსამსახურეებს, როგორც უწყობრიდან, ისე უფროსთა შემადგენლობიდან, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქონების დაკარგვა მოხდა წითელ არმიის საკადრო ნაწილებში მათი ყოფნის დროს.

საშეფო მუშაობა პირველ ქართულ დივიზიაში

კავშირი სოფელთან ტარდება წითელი ჯარის ნაწილებში საშეფო მუშაობის საშუალებით. ყოველი ნაწილი არის მიმაგრებული რომელიმე სოფელთან, სადაც შეძლებისდაგვარად აწარმოებს სათანადო მუშაობას. ამ ჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხედრო მუშაობას სოფელში და პრაქტიკულ დახმარებას გლეხობისადმი, რითაც უფრო მეტად განმტკიცდება კავშირი წითელ-არმიისა და გლეხობის შორის.

სამხედრო კუთხეების ჩამოყალიბება უმთავრესად სწარმოებს წითელ-არმიის ტერიტორიალურ ნაწილების მიერ, რომლის სტრუქტურა მეტად უწყობს ამას ხელს. მიუხედავათ ამისა ძირითად ნაწილებშიც ამ მიმართულებით ბევრი რამ კეთდება. ყველა ლეგიონის სამხედრო სამეცნიერო წრეების მიერ არის მიმაგრებული სოფლებში დაარსებული სამხედრო კუთხეები, სოფელ წყალტუბოში, სადაც აგრეთვე არსებობს სამხედრო კუთხე ერთ-ერთი ლეგიონიდან არის მიმაგრებული მეთაური, რომელიც ატარებს ორ კვირაში ერთხელ მეცადინეობას. იგზავნება წითელ-არმიელთა გაზეთები და სამხედრო ლიტერატურა. შემოღებულია ,კედლის გაზეთიც.

რაც შეეხება რეალურ შეფობას, ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება სამხედრო ნაწილების მიერ არის მიქცეული საშეფო სოფლებში, წითელ-არმიელთა ოჯახობის და ქვრივ-ობლების აღრიცხვას და თვალყურის დევნებას იმისათვის, თუ რამდენად ეძლევათ უკანასკნელებს ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ დახმარება და შეღავათები, თანახმად არსებულ კანონმდებლობისა. თავის მხრივ წითელარმიელები უწევენ დახმარებას ღარიბ გლეხთა მოწაფეებს სასწავლო ნივთების მიწოდებით. იყო გრეთვე შემთხვევები, როდესაც წითელარმიელებს გაუწევიათ უშუალო დახმარება ღარიბ გლეხთა ოჯახებისათვის ხვნა-თესვაში, მომკაში და სხვა. მეტად დამახასიათებელია მაგალითი № ლეგიონისა, რომლის ერთ-ერთი ათასეული ა. წ. მარტის რიცხვებში იმყოფებოდა სამხედრო მეცადინეობის მიზნით საშეფო სოფლის მახლობლად. მეცადინეობის ჩატარების შემდეგ ყველა წითელარმიელებმა გამოსთქვეს სურვილი დახმარების გაწევისა საშეფო სოფლისადმი, რისთვისაც ათასეული გაემგზავრა აღნიშნულ სოფელში მთელი თავისი შემადგენლობით. დამუშავებულ იქნა სასკოლო მიწა. მთელი მუშაობა ტარდებოდა გლეხების ხელმძღვანელობით.

გლეხობა მაგალითებით რწმუნდება, რომ წითელი არმია გლეხებისგან და მუშებისგან არის შემდგარი და ყოველი გლეხი წითელ-ჯარში ყოფნის დროს არა მარტო სწავლობს სამხედრო საქმეს, არამედ წითელი ჯარი აგრეთვე ზრდის მოქალაქეს და საბჭოთა სოფლის აქტიურ მუშაკს.

ე. რუ—ი.

ქრონიკა

მუშაობა „მაჩში"

რომ მუშა-მოსამსახურეებს საშუალება მიეცეს მუშაობის გათავების შემდეგ დაუბრკოლებლად მიმართონ საჭიროებისამებრ სამოქალაქო აქტების ჩაწერ განყოფილებას (მაჩს), შინაგან კომისარიატმა ნება დართო სამოქალაქო აქტების ჩაწერ განყოფილებას მუშაობა დაიწყოს დღის 2 საათზე და აგრეთვე იმუშაონ კვირაობითაც, ხოლო დაისვენონ ორშაბათობით. ამრიგად ამიერიდან მაჩში მუშაობა იწარმოებს გარდა ორშაბათისა ყოველ დღე, დღის 2 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

თბილისის აღმასკომში

◆ **კოჯორის საექიმო პუნქტი** თბ. აღმასკომის დადგენილებით გადატანილ იქნება ს. წავკისში.

◆ **აღმშენებელთა საკავშირო ყრილობაზე** თბ. აღმასკომი თავის წარმომადგენლათ აგზავნის ინჟინერ ზ. ჭიჭინაძეს.

◆ **დარაჯების დაზღვევა.** თბ აღმასკომმა გადასწყვიტა დააზღვიოს ქალაქში მდებარე ყველა დარაჯები.

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატში

◆ **გლეხკომების თათბირი.** გორში გუშინ გაიხსნა სამაზრო გლეხკომების გაფართოებული თათბირი, რომელსაც დაესწრო სოც. უზრ. სახ. კომისარი ამხ. ხომერიკი.

◆ **გლეხკომების გადარჩევა.** ა.-წ. 1-ლ მაისიდან რესპ. ფარგლებში დაიწყება სამაზრო გლეხკომების გადასარჩევათ.

◆ **გამოკვლევა.** მუშათა და გლეხთა ინსპექცია, სოც. უზრ. კომისარიატთან ერთად ამჟამად აწარმოებს მაზრებში სოც. უზრუნველყოფის საქმის გამოკვლევას.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატში

◆ **თათბირი.** შინაგან საქმეთა სახ. კომ. მაისის ბოლო რიცხვებში იწვევს კომუნალურ განყოფილებების გამგეთა თათბირს კომუნალური მშენებლობის საკითხების განსახილველად მაზრებსა და ქალაქებში.

◆ **ცეცხლის მქრობელი რაზმები მაზრებში.** სახ. დაზღვევის სამმართველომ მოსკოვში შეიძინა ცეცხლის მქრობელ რაზმის ხელსაწყოები, რომლებიც შინაგან საქ. სახ. კომისარიატმა უკვე გაუნაწილა მაზრებს.

◆ **წყალსადენი.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა სიღნაღის მაზრაში მიავლინა ინჟინერ-გეოლოგი სოფ. ზემო მაჩხაანში წყაროების აღმოსაჩენად, ან წყალსადენის გამოყვანის შესაძლებლობის გამოსაკვლევათ. ვინაიდან აღნიშნულ სოფლის მცხოვრებლები უწყლობის გამო იძულებული არიან სხვაგან იძიბონ სამოსახლო.

წითელ ჯვარში

◆ **საექიმო სადგური.** წითელ ჯვარის თელავის განყოფილება ს. ახალსოფელში ხსნის საექიმო სადგურს.

◆ **სამდღიური.** წითელი ჯვრის საზ-ბას განზრახული აქვს მაისში მოაწყოს წითელი ჯვრის სასარგებლოთ სამდღიური.

◆ **სესია.** წითელი ჯვრის და წითელ ნახევარ მთვარის საზოგადოებების მორიგი სესია შესდგება თბილისში მაისში.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **საექიმო იარაღები.** ჯანსახკომმა საზღვარგარეთიდან მიიღო დიდძალი საექიმო იარაღები ტროპიკულ და ბაქტერეოლოგიურ ინსტიტუტებისათვის.

◆ **აფთიაქების გამოკვლევა.** ჯანსახკომი ახლო ხანში შეუდგება აფთიაქების გამოკვლევის მაზრებში.

თბ. დამზღვევ სალაროში

◆ **ფიზიო-ტერაპევტიული** ინსტიტუტი დაზღვეულთათვის გაიხსნება 1-ლ ივნისს.

◆ **დახმარება.** დამზღვევ სალარომ დაადგინა შრომის ბირჟას, იმ დაზღვეულ უმუშევრებზე. რომლებიც ამჟამად მუშაობენ შრომის კოლექტივებში, გადასცეს თითოზე 30 მან. შრომის კოლექტივების ფონდების გასაძლიერებლათ.

სხვადასხვა

◆ **ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 18 აპრილს, დღის 12 საათზე თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში (კამოს ქ. № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. დიასამიძის მიერ წაკითხული იქნება მოხსენება: „მუნიციპალური და სანიტარული ტეხნიკა და მისი პერსპექტივები საქართველოში".

დასწრება გარეშითაც შეიძლიათ.

შემთხვევები

◆ **გაძარცვა.** სოფ ოქროყანის მახლობლად გზის პირად გაძარცვეს გეურქ ოსიპოვის სავაჭრო.

◆ **მზიდავთა ბიუროში** ვარლამ ჭუბაბრიას მაგიდიდან მოპარეს 108 მან.

◆ **თავდასხმა.** 13 აპრილს საღამოს 9 ს. ებრაელების სასაფლაოს დარაჯს მოქ. მოსე კრასნერს თავს დაესხა 4 შეიარაღებული პირახვეული ბოროტმოქმედი და წაართვეს 40 მან. ფულად.

◆ **ქურდობა.** 14 აპრილს კუტილოვის ქ. № 13 გაქურდეს ტროფიმ ევდოშენკის ბინა.

— ამავე დღეს ლიუტერანის ქ. № 18 გაქურდეს ანა [illegible] ბინა.

ხელოვნება

პროფესორ შულგინას ვოკალური კლასის საჩვენებელი კონცერტი

კონცერტის პროგრამის შესრულება აშკარად გვიმტკიცებს თუ რა დიდი სარგებლობა მოგვიტანა პროფესორ **შულგინას** კულტურულ-პედაგოგიურ მოღვაწეობამ.

შულგინა უმთავრეს ყურადღებას აქცევს მხატვრულ პროდუქტიულობას და ვოკალური განათლების სისწორით დაყენებას. სჩანს ხანგრძლივი და დიდი მუშაობა. მოწაფეების მოხერხებულათ შერჩევამ, მოხერხებულად შედგენილმა პროგრამამ და უმთავრესად, კარგმა სკოლამ საშუალება მისცა სავსე აუდიტორიას მოესმინა ჭეშმარიტად კარგი სიმღერა.შემსრულებლებს შორის უნდა აღინიშნოს ოქროპირიძე, რომელმაც შარშან დაამთავრა სიმღერის კურსი კონსერვატორიაში. **გოცირიძეს, ცალკინას, ნიკოლაძეს, ელევთერაშვილს, ჩიქოვანს და ხტარჩაკოვას** აქვთ ლამაზი ხმა და მშვენიერი მუსიკალობა. კარგია მოწაფე **კანდელაკის** ქალი. კარგი ხმა და ტეხნიკა აქვს **ჩიჯავაძეს.** მოწაფეების გარდა მონაწილეობა მიიღეს პროფესორის ყოფილმა მოწაფეებმა **ნოვოხორნაიმ და ექვსანიშვილმა.** ორივე მომღერალს აქვს ლამაზი ხმა და მუსიკალობა. კარგათ არის დაყენებული სიმღერა გუნდთან ერთად.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

„მნათობი" № 3 (23)

გამოვიდა ჟურნ. „მნათობი"-ს № 3 (23) ჟურნალში მოთავსებულია მოთხრობები: **მიხ. ჯავახიშვილის, სულიაშვილი—ლიხელის, ს. კასრაძის და ვ. მალაქიაშვილის** ლექსები: **ვ. ჟურულის, ა. მაშაშვილის, კონ. ლორთქიფანიძის და ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი"-ს ახალი ავტოგრაფი—პ. გულეიშვილის წინასიტყვაობით.** მხატვრული კრიტიკა, პუბლიცისტიკა და ბიბლიოგრაფია: წერილები: **ფილიპე მახარაძის, პროფ. ნუცუბიძის, ა. ჭელიძის, გ. დევდარიანის და ვასილ გორგაძის.** ჟურნალი შეიცავს 248 გვერდს.

პროლეტ. ახალგ. ხელოვანთა კავშირში. კვირას, 18 აპრილს, დღის 12 საათზე სამხატვრო აკადემიის შენობის დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 22) შესდგება კავშირის მორიგი „კვირაობა".

◆ **კონცერტი.** 19 აპრილს კონსერვატორიის დარბაზში შესდგება დიდი კონცერტი ვალლაცის , ვენძის, ინაშვილის, ვრონსკის, დანელიანის, ისეცკის, ქუმსიაშვილის, ლედნიკის, პოპოვას, სინიცკის და სხ. მონაწილეობით. კონცერტზე მონაწილეობს აგრეთვე სიმფონიური ორკესტრი დ. არაყიშვილის მონაწილეობით.

◆ **სომხური მუსიკის კონცერტი.** დღეს საოპერო თეატრში გაიმართება თანამედროვე სომხური მუსიკის კონცერტი საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

◆ **წითელ თეატრში.** სეზონი დამთავრდება 18 აპრილს.

◆ **მომღერალი ხ. ინაშვილი** ამ დღეებში მიემგზავრება მოსკოვში, სადაც გამოვა „ევგენი ონეგინში".

◆ **ტროიანოვსკის კონცერტი.** რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება 18 აპრილს.

◆ **„დაისი".** 18 აპრილს ოპერის მოლარეების ნინო სარაჯიშვილის, თამარ და ელენე გველესიანების სასარგებლოდ ს. ინაშვილის და ქუმსიაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „დაისი".

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება თურქულ ენაზე „შახი".

პროფკავშირებში

კომუნალურ მეურნეობის მუშათა კავშირში

ამ უკანასკნელ ხანებში კავშირის ეკონომიურ, კულტურულ და ფინანსიურ მუშაობას გაუმჯობესება დაეტყო. ახალმა გამგეობამ შესძლო მრავალ დაბრკოლებათა გადალახვა ამ მიმართულებით.

კავშირის აქტივის ზრდა ნათლად მოწმობს ჩვენი მუშების კულტურული და გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას და ამაღლებას.

კულტურული მუშაობა

თბილისში არის 6 კლუბი. საკლუბო მუშაობაში ჩაბმულია წევრების 70 პროცენტი. არსებობს რუსულ-ქართული და სხვა ენებზე პროფწრეები. უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში გაფართოვებულ იქნა წიგნთსაცავ-სამკითხველოების და წითელი კუთხეების ქსელი. შემოღებულია კითხვა-პასუხის საღამოები, რამაც ჩინებული ნაყოფი გამოიღეს.

თუ წინეთ ზოგიერთი მუშები სამკითხველოში შესვლას გაურბოდნენ, დღეს ეს ანორმალური მოვლენა აღმოფხვრილია და მუშები თავისუფალ დროს გათვითცნობიერების საქმეს ანდომებენ .

საანგარიშო ხნის განმავლობაში წიგნთსაცავ-სამკითხველოსათვის შეძენილ იქნა პოლიტიკური და ლიტერატურული შინაარსის წიგნები.

კულტურული მუშაობა მარტო ამითი არ ამოიწურება. იკითხება ლექცია-მოხსენებები მუშებისათვის საჭირბოროტო საკითხებზე. უკანასკნელ ხუთი თვის განმავლობაში წაკითხულ იქნა 25 ლექცია. გამგეობას განზრახული აქვს ტრამვაის სახელოსნო მოწაფეებისათვის სიტყვიერების (თეორიული) კურსების დაარსება.

სატარიფო-საეკონომიო მუშაობა

ამ მიმართულებით კავშირს აქვს საგრძნობი მიღწევები. მუშების მატერიალური მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა. ტრამვაის მუშებს ხელფასი გაუდიდდათ 10%-ით, აბანოების მუშებს—10%-ით, ხანძართა რაზმის თანამშრომლებს—33%-ით, წყალსადენის მუშებს—10%-ით.

ახლო ხანში დაიწყება ახალი კოლხელშეკრულებების დადება სხვადასხვა სამეურნეო ორგანოებთან. ახალ კოლხელშეკრულებებში სამუშაო ხელფასის განაკვეთი დარჩება შეუცვლელად, ხოლო დიდი ცვლილებები იქნება შეტანილი შრომის დაცვის საქმის მოსაწესრიგებლად.

დასასვენებელ სახლების მდგომარეობა

კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის გამგეობა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი რიცხვი მუშა-მოსამსახურეებისა გაიგზავნოს დასასვენებელ სახლებში. ამ მიმართულებით გამგეობა ენერგიულ მუშაობას აწარმოებს. მომავალ სეზონში განზრახულია დასასვენებელ სახლებში გაიგზავნოს დაახლოვებით 300 მუშა-მოსამსახურე, კურორტზე—50 კაცი, ტალახით მკურნალობა აღმოეჩინება—60 კაცს.

ექსკურსიები

გამგეობა ემზადება საზაფხულო ექსკურსიებისათვის. კავშირის მიზანია საექსკურსიო მუშაობაში ჩააბას უპირველეს ყოვლისა პროფაქტივები და შეგნებული მუშები.

— ყოველი დასასვენებელი და სხვა ყველა კვირა-უქმე დღეები გამოყენებული იქნება მიზანშეწონილად სხვადასხვაგვარ სამეცნიერო ექსკურსიებისათვის. მუშები გაეცნობიან ჩვენ მუზეუმებს, ფაბრიკა-ქარხნებს, კურორტებს, დასასვენებელ სახლებს, საბავშვო კერას. ბაღებს და მათ ჭირ-ვარამს.

— ექსკურსიების მარშრუტის შესახებ კავშირის კულტგანყოფილების მიერ მუშავდება სათანადო გეგმა.

კ-ჭ-ლია.

მიწა ტყის მუშაკთა კავშირში

9 აპრილს, ამხ. ა. ფანცხავას თავმჯდომარეობით შესდგა მიწა-ტყის მუშაკთა ცენტრალური გამგეობის პირველი პლენუმი.

მოსმენილი იქნა ამხ. ფანცხავას მოხსენება კავშირის ფინანსიურ მდგომარეობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა კავშირის დეფიციტიანობა. ამის უმთავრესი მიზეზია ის, რომ სამაზრო განყოფილებები ანარიცხებს ცენტრალურ გამგეობაში არ გზავნიან.

დამსწრე ამხანაგების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთ მაზრებში სოფლად ძალიან სუსტი მუშაობა სწარმოებს. მაგალითად—გორის მაზრაში მოჯამაგირეებს შორის სუსტი მუშაობაა. ამით სარგებლობენ შეძლებული გლეხები და მოჯამაგირეებს ყვლეფენ.

პლენუმმა მოისმინა კავშირის სატარიფო-საეკონომიო განყოფილების გამგის ამხ. სიმონ ჯაფარიძის მოხსენება მიწა-ტყის მუშაკთა საკავშირო ყრილობაზე.

პლენუმმა დადგენილებები მიიღო მუშაობის გამოცოცხლების შესახებ.

კავშირის ცენტ. გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად დამტკიცებულ იქნა ამხ. **ალ. ფირალიშვილი.**

პლენუმმა აგრეთვე დაამტკიცა 1926 წ. აპრილ—ივნისის ხარჯთაღრიცხვა და გამოჰყო კომისია კავშირის ხარჯების შესამოკლებლად.

ჭინი.

პროფმუშაობის ქრონიკა

ფეიქართა კავშირში

— **ს. მ. უ. საბჭომ** მიმართა ფეიქართა კავშირის ცენტრალურ გამგეობას გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი მაუდის საქსოვ ახალი ქარხნის ასაშენებელ კომიტეტში.

— **ს. მ. უ. საბჭოს საქსოვ ქარხნის დირექტორის მოხსენება.** ფეიქართა კავშირის ცენტრალურ გამგეობის სხდომაზე ს. მ. უ. საბჭოს საქსოვ ქარხნის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქარხნის დირექტორი ინჟ. ასათიანი. მომხსენებელმა აღნიშნა ქარხნის პროდუქციის ზრდა და ის ღონისძიებანი, რომელთა ცხოვრებაში გატარება საჭიროა წარმოების გასაფართოებლად. გამგეობამ დაადგინა [illegible] ქარხნის ნედლი მასალით უზრუნველსაყოფად.

— **დელეგატთა კრებების შესახებ.** დელეგატ-ქალთა კრებების სისტემატიურად მოწვევის შესახებ კავშირმა გამოჰყო კომისია ამხ. ამხ. ალლაძის, ობრაზცოვას და გრიკოროვას შემადგენლობით.

— **აღმშენებელთა კავშირის დადგენილებით** ის მუშები, რომლებიც მუშაობას ეწევიან მოიჯარადრეებთან თავიანთი საკუთარი მასალებით—გამორიცხული იქნებიან კავშირიდან.

დეზერტირკა

დეზერტირკა—ომისა და რევოლუციის ნაშუშარია.

თავისი წარმოშობის პირველი დღიდან მან სამჯერ ფერისცვალება განიცადა.

ვის შეუძლია დაიტრაბახოს, რომ ჯერ იმას დეზერტირკაზე არ გაუვლია?

დეზერტირკა—ეს გაჭირვების ტალკვესია. და რომელ ღალხინებულ კაცს არ უნახავს გაჭირვება ამ შვიდი-რვა წლის განმავლობაში?

დეზერტირკა თავის „აყვავების" ხანას განიცდიდა, როცა ცხოვრება გაუვალ ორღობეში მოექცა:

მაშინ ფაბრიკა-ქარხნები დაუქმებული იყვნენ, ვაჭრობა სულსა ღაფავდა. გადატან-გადმოტანა საქონლისა შეწყვეტილი იყო.

და ორ წყალ შუა მოქცეულ ხალხს ერთგვარ შვებათ მოევლინა სწორედ—დეზერტირკა.

აქ ყიდდა, აქ ყიდულობდა, აქ შოულობდა ბევრ რამეს შემთხვევით.

დეზერტირკა გადაქცეული იყო ცხოვრების ბირჟად.

შემდეგ ხალხი გასწორდა წელში. დეზერტირკის ასპარეზიც შემცირდა. მაგრამ იმის როლი კიდევ უფრო ჩამოყალიბდა ცხოვრებაში.

იქ ისევ სწარმოებს გაცხოველებული ფუსფუსი. ის მუდამ სავსეა მყიდველთა და გამყიდავით, ან ათას ჯურის მაძიებლით.

საქონელი იქ მრავალ ფეროვანია: მთელი თუ კონკები, ზაფხულისა თუ ზამთრისა, ფეხსაცმელი თუ ტანთსაცმელი, შემთხვევით გამოსაყენებელი და ხარა-ხურა ნივთები. ერთ სიტყვით ბევრი რამეა, რაც ღარიბ კაცსა სჭირდება, მაგრამ უფრო მეტია. რაც არა სჭირდება.

საქონლის ყველაზე უხვი და მთავარი მომწოდებელი ამერიკა არის—ეს თანამედროვე წარმოების უდიდესი ქვეყანა.

მხოლოდ აქ აგზავნიან იქიდან ისეთ საქონელს, რომელიც ჰიგიენურის მოსაზრებით ამერიკაში აღარ დაიტოვება. ყველაფერი გამონაცვალი, ჭუჭყიანი, უმსგავსო და გადასაყრელი უხვად გაუმეტებიათ დეზერტირკისთვის.

მაგრამ დეზერტირკას სავაჭრო საქონელი მარტო ამერიკიდან კი არ მოდის, აქ საკმაოდ მოიპოვება „საკუთარი წარმოების", ჩვენი ოჯახების ნივთები და ავეჯეულობა. მხოლოდ როგორც ამერიკული, ისე ჩვენებური საქონლის საერთო თვისება ის არის, რომ ყველა ძველია და ჭუჭყიანი.

დეზერტირკაზე მუშტარიც ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით საქონელი:

ახალგაზრდა, მოხუცი, ქალი, კაცი—სხვადასხვა რჯულისა და სხვადასხვა ტომისა.

მხოლოდ ყველა ამ მუშტრების თვისება ის არის, რომ ყველა ღარიბია.

აგერ რომელღაც მოკოპწიავებული ქალი დიდის გულმოდგინეობით არჩევს რაღაცა კონკებს, მეორე მხრიდან მოულოდნელად შეეფეთა ნაცნობი ქალი, ორთავე გაწითლდენ. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდენ.

ერთმანეთს რომ ეკეკლუცებოდენ—თურმე [illegible] ნაცარ-ნუყრიდანა სთხზავდენ ამ ფერად-ფერად კომბი[illegible].

იმათი საიდუმლოება გამომჟღავნებულია, შერცხვენილები საჩქაროდ მიდიან სხვადასხვა მხარეს და ისეთ იერს იღებენ, ვითომ იმათ სრულიად შემთხვევით ჩამოიარეს აქ, სხვათა შორის.

მიუხედავად თავისი ჭუჭყისა და სიძველისა, დეზერტირკა მაინც ძლიერად იჭრება ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში თავისი სიიაფით.

დეზერტირკა მუდამ გაჭედილია.

გაჭედილია, რადგან ის იაფია და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

დეზერტირკა ყოველთვის გამარჯვებულია: ზამთარში, ზაფხულში, დარში და ავდარში.

მაგრამ დეზერტირკა შეიჭრა არა მარტო ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში, არამედ ხელოვნებაშიც.

და ყველაზე მეტი გამარჯვებაც სწორედ ხელოვნებაში ხვდა დეზერტირკას.

[illegible] დეზერტირკაზე ხალხს ეჩოთირება და კიდეც უთაკილება წასვლა, მაგრამ მაინც მიდის, სამაგიეროდ ყველას ეთაკილება—თუ არ ყოფილა [illegible] დეზერტირკაზე.

და სწორედ ამაში მდგომარეობს ხელოვნების დეზერტირკის გამარჯვება—ეკონომიურ დეზერტირკაზე.

მოკეთე.

სასამართლო

მოქალაქე კაჭაუროვის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ-საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით გაარჩია მოქ. **კაჭაუროვის** საქმე.

კაჭაუროვს ბრალდებოდა ივანე თათხაშვილის მოკვლა.

სასამართლომ საქმეში დართულ მასალების და მოწმეთა ჩვენების მიხედვით კაჭაუროვის მიმართ წაყენებული ბრალდება სცნო დაუმტკიცებლად და გაამართლა.

თანამდებობის ბოროტად გამოყენება

აღმოსავლეთ-საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **გლადკოვის** თავმჯდომარეობით გაარჩია მოქ. **ქუთათელაძის** საქმე.

ბრალდებული ქუთათელაძე ა.-კ. სახელმწიფო დაზღვევის საქმართველოში აგენტათ ყოფნის დროს კრეფდა კერძო მოქალაქეებიდან დასაზღვევ ფულებს. მოქალაქეებზე გადაცემულ ქვითარში მიღებულ თანხას სისწორით სწერდა, ხოლო ქვითარის ძირის ყუაზე, რომელიც სამმართველოს რჩებოდა, იგი აღნიშნავდა ნაკლები რაოდენობით.

სასამართლომ ქუთათელაძის მიმართ წაყენებული ბრალდება სცნო დამტკიცებულად და მიუსაჯა მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

საკავშირო თანხების მითვისება

29 აპრილს, აღმოსავლეთ-საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ დაიწყება საზოგადოებრივ-საჩვენებელი გასამართლება **დ. კიკაჩეიშვილისა**, რომელმაც მიითვისა და გაფლანგა 4000 მან. საკავშირო თანხები.

დახვრეტა მკვლელობისათვის

ხუთი საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ დაადგინა: ბრალდებულ **ქოქორიშვილს** და **ხატიაშვილს** იაკობ ობოლგოგიაშვილის მკვლელობის ჩადენისათვის (ვინაიდან ბრალდებულებს მკვლელობა ჩადენილი აქვთ წინასწარი შეთანხმებით, შეიარაღებული თავდასხმისა და გაძარცვის მიზნით) **მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.**

ფიზკულტურა

შემოდგომის ოქტომბრიადა

ბაქოში დიდი მზადებაა პირველი აღმოსავლური ოქტომბრიადის ჩასატარებლად. ოქტომბრიადა გაიმართება სექტემბერში ან ოქტომბერში.

თბილისში მიღებულ ცნობების თანახმად, შესაძლებელია, რომ ფიზკულტურის სრულიად საკავშირო დღესასწაული და პირველი აღმოსავლური ოქტომბრიადა გაიმართოს ერთდაიმავე დროს.

ექიმ ბერზინის მოწვევა

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტში სამუშაოდ მოიწვია მოსკოვის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილების გამგე ექიმი ბერზინი, რომელიც ცნობილია თავისი მეცნიერული ნაშრომებით ფიზკულტურის დარგში.

საბჭოთა კავშირის მოკრივეთა ჩამოსვლა

2, 3 და 4 მაისს თბილისში გაიმართება ამიერ-კავკასიის ცილობა ძალოსნობაში, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ძალოსნები და მოკრივეები.

ექიმი ბერზინი ჩამოვა ამ ჯგუფთან ერთად.

მოსკოვის „დინამო"-ს ჩამოსვლა

ახლო ხანში ამიერ-კავკასიაში ჩამოვა მოსკოვის სასპორტო საზოგადოება „დინამო"-ს ფეხბურთელთა პირველი გუნდი, რომელიც აქ გამართავს რამოდენიმე შეჯიბრს.

ბაქოში ჩატარებული იქნება სამი შეჯიბრი საზოგადოება „დინამო"-ს ადგილობრივ გუნდთან და ბაქოს ნაკრებ გუნდთან.

ამას გარდა შეჯიბრები გაიმართება თბილისში და ბათომში.

სასპორტო დარბაზი

ფიზკულტურის თბილისის საბჭო მეორე რაიონის კლუბთან აწყობს სასპორტო დარბაზს, რომელიც გაიხსნება ახლო მომავალში.

ცილობა ძალოსნობაში

კვირას, 11 აპრილს, ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში ჩატარებული იქნა თბილისის ცილობა ძალოსნობაში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი ფიზკულტურის წრეების ძალოსნებმა, მოკრივეებმა და მოჭიდავეებმა.

თბილისის ნაკრები—„არსრაიონი"

კვირას, 18 აპრილს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება თბილისის ნაკრები გუნდის და „არსრაიონის" შეჯიბრი. დასაწყისი დღის 1 საათზე.

შეჯიბრის მიზანია თბილისის ნაკრები გუნდის სიძლიერის გამორკვევა.

იმავე მოედანზე დღის 3 საათზე გაიმართება მიმდინარე სეზონის კალენდარული მატჩი „სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტისა" და „ლენრაიონის" შორის.

მეცნიერება და ტეხნიკა

დიდი სფინქსის საიდუმლოება

ეგვიპტეში, ხეოპსის პირამიდის ახლო იმყოფება ძველი დროის უშესანიშნავესი ძეგლი—„დიდი სფინქსი", რომელიც წარმოადგენს ლომის უზარმაზარ ფიგურას ქალის თავით.

დიდი ხანია, რაც ეს სფინქსი, ნახევრათ სილაში ჩაფლული, იპყრობდა მეცნიერების ყურადღებას, მაგრამ სფინქსის საიდუმლოება უკანასკნელ დრომდი ვერ იქნა ამოცნობილი.

1802 წ. მკვლევარმა დენონმა სფინქსის თავში აღმოაჩინა ჩაღრმავება, სადაც იპოვნა ჩასასვლელი ჭაში. ის ჩაეშვა ამ ჭაში ათი ფუტის სიღრმეზე. ეს ჩასასვლელი შემდეგში ამოვსებული იქნა. ფიქრობდენ, რომ წარსული საუკუნის 50-იან წლებში არაბებმა განძეულობის აღმოსაჩენათ ამოთხარეს იგი, მაგრამ ეს მოსაზრება არ იყო საფუძვლიანი, რადგან ჭა მეტად დიდი და ღრმა არის.



სფინქსი გიზეს ველში

მეცნიერები ვიზე და პურინგი შეეცადენ ეპოვათ შესასვლელი სფინქსში. ამისათვის გაბურღეს სფინქსის მხარი, მაგრამ ბურღი 4 საჟენის სიღრმეზე გატყდა.

უძველესი თქმულება სფინქსზე ლაპარაკობს, როგორც მეფის საფლავზე. არაბი მწერლები კი ლაპარაკობენ მიწის ქვეშა დარბაზებზე, რომლებიც სავსეა განძეულობით. მაგრამ დღემდი არც ერთი ნდობის ღირსი ხელთნაწერი, რომელშიც რაიმე ცნობა იქნებოდა სფინქსზე, არ უპოვნიათ.

1886 წ. ცნობილმა ეგვიპტოლოგმა მასპერომ ის მოსაზრება გამოსთქვა, რომ მეფის საფლავი ან ტაძარი იმყოფება არა თვით სფინქსში, არამედ მის ქვეშ. მართლაც, წარწერები, რომლებიც დასტოვეს ფარაონმა ტუტმეს IV და რამზეს II სფინქსის თათებში მოთავსებულ დაფებზე, ლაპარაკობენ, რომ სფინქსი მოთავსებულია მაღალ კვარცხლბეკზე. გათხრებმა, რომელიც 1886 წ. მოახდინეს, არ დაადასტურეს მასპეროს ეს მოსაზრება.

მეცნიერები უნდობლათ მოეპყრენ იმ მოსაზრებას, რომ სფინქსიდან არის გასავალი ფარაონების აკლდამებისაკენ.

ახლა, როგორც ჩანს, გოვარდის (ამერიკაშია) უნივერსიტეტის პროფესორმა რეისნერმა მოახერხა ამ საიდუმლოების ამოცნობა რამდენიმეთ. რეისნერი პირველი შევიდა სფინქსის შიგნით მისი თავიდან. სფინქსის კისრიდან მოდის ვიწრო ხვეული გასავალი დიდ ტაძარში, რომელიც მოთავსებულია სფინქსის წინა და უკანა თათებს შორის ტაძარს აქვს 60 ფუტი სიგრძე და 14 ფუტი განი. ტაძრიდან მთელი რიგი გასასვლელებია ქვევით. მთავარი გასასვლელი მიდის აკლდამაში, რომელსაც პირამიდის ფორმა აქვს. ამ აკლდამაში ნაპოვნი წარწერების მიხედვით რეისნერი იმ დასკვნამდი მივიდა, რომ აქ დამარხული იყო ფარაონი მენესი, რომელიც, დაახლოებით, 8.000 წლის წინათ ცხოვრობდა. აკლდამის გარშემო მოთავსებულა მთელი ოთახები სადაც რეისნერმა იპოვა მსხვერპლად შეწირულ მონების ჩონჩხები, ღვინის ჭურჭლები, ჭურჭლები ნამცხვარით, ძვირფასი ქვებით და სხ.

მენესი არის ეგვიპტის მეფე, რომლის შესახებ ისტორიას ცოტათ თუ ბევრათ დაწვრილებითი ცნობები მოეპოვება. რეისნერმა განაცხადა, რომ მან მენესის ნეშტიც იპოვა.

ტაძარი სფინქსში სავსეა სვეტებით და სხვადასხვა ქანდაკებებით. რეისნერს იმედი აქვს, რომ იპოვის მენესის მთელ განძეულობას, რადგან შესავალი სფინქსში ამოივსო სილით მრავალი ათასი წლის წინათ და ამერიკელი მეცნიერი არის პირველი ადამიანი, რომელიც შევიდა მეფეთა აკლდამაში მენესის დასაფლავების შემდეგ.



სფინქსი გაჭრით

მოსჩანს ტაძარი და აკლდამა

აკლადამიდან, როგორც სჩანს, უნდა იყოს გასასვლელი მეორე ოთახში, რომლის კარების გაღება არ მოხერხდა. კარების როლს ასრულებენ უზარმაზარი ლოდები, რომლებსაც წინათ სპეციალური მოწყობილობით დასძრავდენ. მაგრამ ათასი წლების განმავლობაში მექანიზმი გაფუჭდა და ლოდების დაძვრა არ მოხერხდა. ახლა რეისნერს განზრახული აქვს კედლის გახვრეტა.

სფინქსის გარშემო რეისნერმა აღმოაჩინა მთელი ქალაქი აუარებელი ტაძრებით, სასახლეებით და [illegible]კლდამებით.

ნარევი

სიმშილობა 44-დღის განმავლობაში

ბერლინში დიდი ყურადღება მიიპყრო ვინმე კოლლიმ, [illegible] 44 დღის განმავლობაში სიმში[illegible] [illegible]ამის განმავლო[illegible] [illegible] იმყოფება ბერლინის უნივერსიტეტის ექიმების მე[illegible] ქვეშ. სიმშილობის დაწყებისას იგი იწონიდა 4 ფ. 17 გირვანქას, სიმშილობის მეოცდათექვსმეტე დღეს კი—3 ფ. 5 გირვანქას, ე. ი. 1 ფუთი და 12 გირ. დაიკლო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს სიმშილობა სამეცნიერო მიზნით სწარმოებდა და არა სადმე საავადმყოფოში ან სამეცნიერო დაწესებულებაში, არამედ ბერლინის ცენტრში, ერთ-ერთ დიდ დარბაზში. დარბაზი ღია იყო მნახველებისათვის ყოველთვის, შესვლა 25 კაპ. ღირდა. შესაძლებელია ეს კაცი სიმშილობდა არა მარტო სამეცნიერო მიზნით, არამედ—სიმშილობისაგან.

მსოფლიო სავაჭრო-სამგზავრო ფლოტი

ამერიკულ სანაოსნო სტატისტიკურ ბიუროს ცნობით, ამჟამად მთელ მსოფლიოში არის 2100 სამგზავრო გემი, რომლებიც ეკუთვნიან 33 ერს. ამ გემების წყალწყვა უდრის 12,3 მილიონ ტონას. სამგზავრო გემების რაოდენობითა და მათი წყალწყვის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს ინგლისს. რომელსაც ეკუთვნის 744 სამგზავრო გემი (5,4 მილიონი ტონა წყალწყვით); მეორე ადგილი უჭირავს შეერთებულ შტატებს—397 სამგზავრო გემი, 1,6 მილიონი ტონა წყალწყვით; საფრანგეთს აქვს—204 სამგზავრო გემი, 1,3 მილიონი ტონა წყალწყვით; იაპონიას—184 გემი, 0,8 მილიონი ტონა წყალწყვით; იტალიას—123 გემი, გერმანიას—76 გემი, პოლანდიას—105, ისპანიას—53, ბრაზილიას—51 და დანიას—37 სამგზავრო გემი.

სიმდიდრე და სიღატაკე

ცნობილ ინგლისელ ეკონომისტს პროფ. კლეის გამოანგარიშებით 11.860.000.000 გირ. სტერლინგიდან, რომელიც კერძო პირების განკარგულებაშია ინგლისში, თანხა, რომელიც შეიძლება მშრომელთა კაპიტალათ ჩაითვალოს, არ აღემატება 940 მილიონ სტერლინგს, ე. ი. მთელი თანხის მხოლოდ 8%-ს შეადგენს.

კლეი შემდეგ აღნიშნავს, რომ 48.000 კაცს აქვს კაპიტალი 25.000 გირ. სტერლინგზე მეტი თითეულს, ისინი შეადგენენ ინგლისის მთელი მოსახლეობის 1/360 ნაწილს, მაგრამ მათ ეკუთვნის მთელი სიმდიდ. ორი მეხუთედი. 285.700 აქვს ქონება 5.000 გირ. სტერლინგზე მეტი თითეულს; ისინი შეადგენენ მოსახლეობის 3/62 ნაწილს და მათ ეკუთვნის სიმდიდრის ორი მესამედი. მოსახლეობის 76 პროცენტს ეკუთვნის სიმდიდრის მხოლოდ 7,6%.

საინტერესო ცნობები მოყავს სიმდიდრის განაწილების შესახებ მეორე ეკონომისტს ჯოზია შტემპს თავის წიგნში; „სიმდიდრე და საგადასახადო უნარი". ამ ცნობების მიხედვით: 1) 13 მილიონ კაცს აქვს წლიური შემოსავალი 130 გირ. სტერლინგზე ნაკლები, თითეულს; 350.000 კაცს—130-დან 160 გირვ. სტერლინგამდი წლიურად; თავისი ოჯახის წევრებთან ერთად ეს ორი ჯგუფი მოსახლეობის 4/5 შეადგენს.

2) 3.567.000 კაცს აქვს საშუალო წლიური შემოსავალი 200 გირვ. სტერლინგი თითეულს. ეს კატეგორია შეადგენს მოსახლეობის 17%; 3) 653.000 კაცს აქვს საშუალო წლიური შემოსავალი 645 გირ. სტერლინგი, თითეულს; ეს კატეგორია შეადგენს მოსახლეობის 3%; 4) 79.350 კაცს აქვს 2.500 გირ. სტირ. შემოსავალი წლიურად; 5) 9.500 კაცს—9.500 გირვ. სტერლინგი და 6) 660 კაცს—45.000 გირვ. სტ. წლიურად, თითეულს.

ბიბლიოგრაფია

„შრომის მოქმედი კანონმდებლობა ა.-კ. ს. ფედ. სოც. რეს."

(ა.-კ. შრომის სახკომატის გამოცემა)

შრომის კანონმდებლობა ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვართაგანია. საბჭოთა ხელისუფლება, როგორც ვიცით, უაღრესად იცავს შრომას ყოველგვარ ექსპლოატაციისაგან, სადაც და რა სახითაც იგი არ უნდა ხდებოდეს. ახალ ეკონომიური პოლიტიკის ხანაში კი, როდესაც სახელმწიფოებრივი და კერძო ინტერესები ქმნიან ერთგვარ კოლიზიას, როდესაც დამქირავებელს და დაქირავებულს შორის მყარდება რთული ურთიერთ-დამოკიდებულებანი, შრომის კანონმდებლობის მშრომელთა მასაში გავრცელებას და მის შესწავლა-შეთვისებას ეძლევა უაღრესი მნიშვნელობა. ამ მხრივ ა.-კ. შრომის სახკომატის „შრომის მოქმედ კანონმდებლობის" კრებულის მესამე გამოცემა უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან მიღწევად შრომის მოწესრიგების და დაცვის დარგში.

აღნიშნული კრებული შეიცავს 1.115 გვერდს. კრებულის შედგენის და მასალის დალაგების სისტემა იგივეა, როგორც პირველ ორ გამოცემაში. კრებულში მოთავსებულია შრომის კანონთა კოდექსი ყველა იმ შესწორებით, რაც მასში იქნა შეტანილი 1922 წლის (ე. ი. მისი სავალდებულოდ გამოქვეყნების) შემდეგ, ა.-კ. და ადგილობრივი რესპუბლიკების ცაკების, სახკომსაბჭოების, უმაღლეს ეკონომსაბჭოს და შრომის სახკომატის დეკრეტებს და დადგენილებებს, და საქ. საბ. სოც. რესპ. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებები, რომლებიც მოქმედობენ ა.-კ. ტერიტორიაზე და ეხებიან შრომის საკითხებს.

ამასთანავე კრებულში შეტანილია საკავშირო რესპუბლიკების, ა.-კ. და ადგილობრივ შრომის სახკომატების 1926 წლ. 1 იანვრამდის მოქმედი დადგენილებანი, ახსნა-განმარტებები და ცირკულიარები და მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის უფრო მნიშვნელოვანი დადგენილებები.

საკანონმდებლო მასალა, როგორც ვსთქვით, დალაგებულია იგივე სახით და სისტემით, როგორც პირველ ორ გამოცემაში—შრომის კანონთა კოდექსის სათანადო თავებთან შეფარდებით, რაც იურიდიული თვალსაზრისით სრულიად მისაღებია.

ყოველ დადგენილების, ახსნა-განმარტების და ცირკულიარის თავზე ნაჩვენებია ის პერიოდული ბეჭვდითი ორგანო, სადაც და რა დროსაც პირველად გამოქვეყნებული იქნა ესა თუ ის დადგენილება, ახსნა-განმარტება, ან ცირკულიარი.

მასალა დაბეჭდილია კარგ ხარისხის ქაღალდზე სუფთა შრიფტით, რის გამო მისი კითხვა არ წარმოადგენს რაიმე სიძნელეს მდაბიო მკითხველისათვისაც კი და ამ მხრივ მესამე გამოცემას პირველ ორთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს.

თავის მოცულობით მესამე გამოცემა თითქმის სამჯერ სჭარბობს პირველს და მეორეს კი 373 გვერდით. ეს გარემოებაც ამ გამოცემისათვის ბუნებრივია, რადგან ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში შრომის კანონმდებლობა საგრძნობლად იზრდება არა თუ წლიურად, არამედ ყოველ თვიურად.

აღნიშნულ გამოცემას პირველ ორთან შედარებით აშკარად ეტყობა ტეხნიკური წინსვლა.

მესამე გამოცემის ნაკლად უნდა ჩაითვალოს შემდეგი: 1) მას არა აქვს მასალის საგნობრივ—ალფაბეტური და ქრონოლოგიური საჩვენებელი; 2) ცალკე რესპუბლიკების (საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი) მდაბიო მუშა—მკითხველისათვის და ძირითადი შრომის და პროფუჯრედებისათვის მით სარგებლობა წარმოადგენს ერთგვარ სიძნელეს სათანადო და საჭირო დებულებებს მოძებნის დროს.ვინაიდან კრებულში ა.-კ. ფედერატიული რესპ. შრომის სახკომატების დადგენილებები, ახსნა-განმარტებები და ცირკულიარები (შრომის კანონთა კოდექსის ამა თუ იმ თავთან შეფარდებით) ერთმანეთზეა გადაბმული-გახლართული.

ჩვენის აზრით, უფრო კარგი და ადვილი იქნებოდა მდაბიო მკითხველთათვის, რომ მესამე გამოცემა გამოსულიყო ყოველ რესპუბლიკისათვის ადგილობრივ ენებზე და ცალკე, სადაც შევიდოდა ყველა მათთვის სავალდებულო საერთო და ადგილობრივი დადგენილებანი.

საკანონმდებლო მასალის ცალკე რესპუბლიკებისათვის ასეთი შერჩევა-კოდიფიკაცია მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნებოდა. თვით მესამე გამოცემის სიდიდეს ნორმალურად შეამცირებდა, (ამ ჟამად იგი იწონის რამოდენიმე გირვანქას) და მისი მოხმარება მდაბიო მკითხველისათვის უფრო ადვილი იქნებოდა.

ამასთან მესამე გამოცემა საგრძნობლად ძვირია. ღირს შვიდი მან. და სამ აბაზ ნახევარი, რაც მის ფართე მასაში გავრცელების საქმეს ხელს შეუშლის.

ბ. გ.

ს. ქ. პ. ცკას ყოველთვიური საგლეხო ჟურნალი „ახალი სოფელი" № 4.

„ახალი სოფელი" № 4 იწყება ი. მოსაშვილის მოთხრობით: „უკვალოდ დაკარგული" ამ მოთხრობაში მკითხველის წინაშე იშლება ის საზარელი სურათი, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს გლეხებს, იმპერიალისტური ომის ზეგავლენით. საინტერესოა ის ადგილი, სადაც ომის ყოველ წუთში მოლოდინე ჯარისკაცები ერთმანეთს ეთხოვებიან და პირობას სდებენ, რათა თუ რომელიმე მათგანი არ დაიღუპა ბრძოლისველზე, ეს საზარელი ამბავი აცნობონ მშობლებს. დიდხნის ლოდინის შემდეგ, ახალგაზრდა კლეხი შაქრო, რომელიც სოფლის მცხოვრებლების მიერ გამოტირებული იყო, ბრუნდება ჯან-ღონით სავსე, დაჯილდოებული და თავზე ძაბრისებრი 5-ით ვარსკვლავიანი ქუდით. სამამაცისათვის ის დაჯილდოებულია წითელი ორდენით.

ამ მოთხრობას მიჰყვება ს. ერ[illegible] წერილი „[illegible]".

ჟურნალში მოთავსებულია გლეხი მწერლების ლექსები, რომლებშიაც მოცემულია გლეხების ყოფა-ცხოვრება ძველი წესწყობილების და ახალი განახლებული მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დროს.

ამ ნომერში ქვეყნის ამბების განყოფილებას საგრძნობი გაუმჯობესება ეტყობა. აქ მეტი პოპულარიზაცია იქნა შეტანილი, რაც უეჭველად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

შემდეგ მოთავსებულია წერილი, რა სიმდიდრე ქონდა ეკლესიებს ოქტომბრის რევოლუციამდე და საერთოდ რელიგიურ საკითხებზე. ასეთ წერილებს მომავალში უსათუოდ უნდა დაეთმოს მეტი ადგილი.

ჟურნალში არის ე. კარბელაშვილის, ნ. აღ-ლის და მეგობარი ექიმის წერილები, რომლებიც ბევრ სარგებლობას მისცემს გლეხკაცობას. გლეხურ ჟურნალში კოოპერაციის საკითხებსაც უნდა ეთმობოდეს ადგილი. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი ხასიათის წერილებს ნ. აღნიაშვილის,—„სასოფლო სამეურნეო ამხანაგობანი უცხოეთში". მას მიჰყვება ივ. გომართელის წერილი სიფილისზე და გ. მესტიაშვილის „პირველი დახმარება".

საჭიროა მომავალში შეძლების დაგვარად გაშუქდეს გლეხთა ინტერნაციონალის მუშაობა აგრეთვე საჭირო არის სათანადო ადგილი დაეთმოს ჟურნალში სოფლად კულტურული მუშაობის საკითხებს, როგორც ეს არის რუსეთის გლეხურ ჟურნალებში.

დასასრულ ერთი შენიშვნა. სარედაქციო კოლეგიამ მომავალში უნდა მიიღოს ზომები, რათა გლეხური ახალგაზრდობის საკითხებს დიდი ადგილი დაეთმოს ჟურნალში, ან შემოღებული იქნას ახალგაზრდობისათვის ცალკე განყოფილება.

კ. პატარაია.

იურიდიული რჩევა-დარიგება

კანონიერია თუ არა სახლის პატრონის მოთხოვნილება

კითხვა

ვცხოვრობ დიდუბეში, ტრამვაის ქუჩა, სახ. № 5-ში, ვარ მედ-სანშრომის კავშირის წევრი (წიგნაკი № 642), ჯამაგირს ვღებულობ თვიურად 74 მ. 40 კ., ვარ შვიდი სული. 1-ლ თებერვლამდის ბინის ქირას ვიხდიდი როგორც განაპირა უბნის დაწესებულ ნიხრით. ამ წლის 1-ლ თებერვალს სახლის პატრონმა მომთხოვა ბინისქირა, როგორც ცენტრისათვის დაწესებული ნიხრით და ამასთან ერთად მთელი წარსული წლის ზედმეტი. მაქვს ოფიციალური ცნობა, რომ აღმასკომის უ. ქ. ს.-ის განკარგულებით 8 მარტს, № 10508 დიდუბე ითვლება განაპირა უბნათ.

გთხოვთ მაცნობოთ დიდუბეში ტრამვაის ქ., როგორ ირიცხება: განაპირათ თუ ცენტრად. ამ შემთხვევაში თუ ითვლება განაპირა უბნათ და სახლის პატრონი არ მიიღებს კუთვნილ სახლის ქირას როგორ მოვიქცე.

მედ-სანშრომის კავშირის წევრი წიგ. № 642.

პასუხი

დიდუბე თანახმად აღმასკომის დადგენილებისა, მუშტაიდის ბაღის იქით ითვლება განაპირა უბნად და ბინის ქირას თქვენ იხდით ორმოცდაათი პროცენტის დაკლებით (საბინაო ქირის არსებულ ნიხრთან შეფარდებით). თუ სახლის პატრონი თქვენგან ასეთ რაოდენობის ქირას არ მიიღებს, გირჩევთ, შეიტანოთ იგი თბილისის ხაზინაში იუსტიციის სახკომის დეპოზიტში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს. კ. პ. თბ. ორგ. **ლენრაიკომი** იტყობინება, რომ შაბათს 17 აპრილს, საღამოს 5 საათზე მე-3 საბავშვო სახლის შენობაში (პლეხანოვის პროს. 166) შესდგება № 24 განათლების მუშაკთა ლენინის რაიონის უჯრედის ღია სხდომა.

დღის წესრიგი: ამხ. **ბერიძის** მოხსენება (ქართულ ენაზე) და **ქრისტოლიუბოვის** (რუსულ ენაზე) სკოლებში ბავშვების თვით მართველობის შესახებ.

ს. კ. პ. ლენრაიკომი.

შაბათს, 17 აპრილს, საღამოს 8 საათზე გაიხსნება **მედსანშრომის** პროფ. კავშირის საქართველოს ცენტრალური სახალხო კლუბი, მედმუშაკი" მელიქიშვილის ქ. № 16 (ყ. წყნეთისა).

კავშირის ც. გ. წევრების, კანდიდატების, სარევიზიო კომისიების წევრების, ადგილკომთა თავმჯდომარეების და კულტ. კომისიების თავმჯდომარეების დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 16 აპრილს, დილის 10 საათზე შესდგება **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღმრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან.

1) კადია ვალიკო კონსტანტინესძე, 2) ცაპენკო სტეფანე რომანისძე, 3) მინასიანი ოგანეს.

დღეს, 16 აპრილს, დილის 3 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის ყველა ტიპის პარტკოლების და წრეების **ხელმძღვანელთა თათბირი.**

დღის წესრიგი: 1) პარტკოლების მუშაობის აღრიცხვის წესი. 2) პარტკოლების გამოშვების ვადა. 3) ასისტენტებთან მუშაობა.

სახ. უნივერსიტეტის გაერთ. კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, საღამოს 5 საათზე, მოწვეულია **კომუჯრედთა გაერთიანებული კრება.**

დღის წესრიგი: ბიურო-კოლექტივის გადარჩევა.

უჯრ. წევრთა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

თავზარდაცემული მშობლები: სონიჩკა და ამბაკო, რძალი: შუშანიკა, ძმები: ლადიმერ, ილიკო, გორგი და კორნელი, დები: ლევო და პაშა, ძმის შვილები: ბიჭიკო და კუკური ბარაბაძეები და ბიძა კოლია ლევანის ძე მელაძე ცოლშვილით, უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავს და ნაცნობ-მეგობრებს დაუვიწყარ

ვასიკო (იოსებ) ამბაკოს ძე ბარაბაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. მათხოჯში, შაბათს 17 აპრილს.

რაჟდენ გვეტაძე გულისტკივილით აუწყებს ნაცნობებს და მახლობლებს ძვირფასი მეგობრის

იოსებ ამბაკოს ძე ბარაბაძის

უდროოთ გარდაცვალებას.

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე ნიკო მას[illegible] ძე დუმბაძე, შვილები: ელენე, ქეთო, მანშურა, ლიუდმილა, შუშანიკა, კეტატო, დედმთილი ბარბალე, მაზლები: ივანე შვილებით და ბუდია, რძალი ნინუცი, მაზლის შვილი მიშა დუმბაძეები, მულები: ფედოსი ვასაძისა, ზინა ლოლიძისა, ნინო [illegible] ქმრებით და შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ [illegible] და უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ნინა (თავზერიძის ასული) დუმბაძესა

დასაფლავება ზენობნის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში შაბათს აპრილის 17. 2168 1—1

საბჭოთა კინემატოგრაფიის სიამაყე
[illegible] „ჯავშნოსანი პატიომკინ"
რეჟის. ეიზენშტეინი. ოპერატ. ტისსე.
გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი
მეჟრაბპომ-რუსის 1-ლი საუკეთესო სურათი 1926 წ
„დათვური ქორწილი"
მხატვრული დრამა 7 ნაწილად რეჟისორი ეგგერტ.
გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი.
რუსტო"-„სოლეი"—სკრიპკაზე იაკოვ ბროდსკი
ანონსი: მზადდება დასადგმელათ „ნამუსი" შირვან-ზადეს რომანის მიხედვით.

კვირას 18 აპრილს
იხსნება სეზონი
დოლი
დოლი
შემდეგ გაიმართება:
25 აპრილს, 3, 9, 16, 23 და 30 მაისს
—1 ნ. 1169

ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სამმართველოსთან არსებულ
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის

დადგენილება

1926 წ. 13 აპრილის თარიღით (სხდომ. ოქმი № 21—6)

საექსკურსიო ტარიფის შემოღების შესახებ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის დასათვალიერებლად მიმავალ ექსკურსიებისათვის რომელთაც აწყობს საქართველოს პროფკავშირთა საბჭო

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიერ მოწყობილ ექსკურსიების გასამგზავრებლად ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურზე სადგ. თბილისიდან სად. მცხეთამდე და უკან შემოღებული იქნას **საექსკურსიო ტარიფი** 20 კაპიკი იქით (თბილისი-მცხეთა) და 20 კაპ. აქეთ მცხეთა-თბილისი) იმ პირობით, თუ ექსკურსანტების რიცხვი იქნება არა ნაკლებ 500 კაცისა და თუ ექსკურსია გაემგზავრება სპეციალურ საექსკურსიო მატარებლით, რომელიც დადის ზაჰაესში კვირა-უქმე დღეებში. მატარებელს მიბმული აქვს მაგარი საჯდომებიანი სამგზავრო ვაგონები.

საექსკურსიო ტარიფის გამოყენებისათვის საჭიროა წარდგენილი იქნას ექსკურსანტების სახელობითი სია, რომელიც შემოწმებული უნდა იქნას საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიერ გამგზავრების ან დანიშნულების სადგურზე.

გადაყვანა მოხდება სამგზავრო მატარებლის სიჩქარის დოკუმენტებით, ნაცვლად სამგზავრო ბილეთებისა.

ტარიფი ესე შედის ძალაში ტელეგრაფით და უკანასკნელი ვადა მისი გამოყენებისა არის 1926 წ. 1 ოქტომბერი.

ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სამმართველოს საუწყებათაშორისო სატარიფო
თათბირის თავმჯდომარის მაგიერ გამგეობის წევრი: **მამედბეკოვი**
სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **ი. შახბუდაგოვი**
ეკონომისტი **ვერდერევსკი**

ნ. 1168

ექიმი
დ. ა. ბედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ჭელაძის ქ. (ყოფ. ხაპიორის) № 3
25—8

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. ე. საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
აწარმოებს დილის 9 საათიდან სოულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე. გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56
25—1

ექიმი
ნ. ვ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობ.)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე, ქიძის დაღმართი № 15. ყოფილი

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა. პლეხანოვის გამზირი (ყოფ. მიხეილის) № 64.

დ. აბაშა
კბილის ექიმმა
ა. ნადარეიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სტექნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—22

МОСКОВСКИЙ ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ТЕАТР ВТОРОЙ
სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრი
ა. წ. 2 მაისიდან 18 მაისამდე
მოსკოვის მე-2 სამხატვრო აკად. თეატრის
მთელი დასის გასტროლები
დღეს, 16 აპრილს, დაიწყება
ბილეთების წინასწარი გაყიდვა ყველა 16 წარმოდგენაზე

დღეები	რიცხვი	პიესების სახელწოდება	დღეები	რიცხვი	პიესების სახელწოდება	დღეები	რიცხვი	პიესების სახელწოდება
კვირა	2	СВЕРЧОК НА ПЕЧИ	შაბათი	8	ПОТОП	ხუთშაბათი	13	ГИБЕЛЬ НАДЕЖДЫ
ორშაბათი	3	ЭРИК XIV	კვირა	9	СВЕРЧОК НА ПЕЧИ	პარასკევი	14	СВЕРЧОК НА ПЕЧИ
სამშაბათი	4	БЛОХА	ორშაბათი	10	12-ая НОЧЬ	შაბათი	15	ПОТОП
ოთხშაბათი	5	ПОТОП	სამშაბათი	11	ГИБЕЛЬ НАДЕЖДЫ	კვირა	16	БЛОХА
ხუთშაბათი	6	РАСТОЧИТЕЛЬ	ოთხშაბათი	12	ЭРИК XIV	სამშაბათი	18	12-ая НОЧЬ
პარასკევი	7	В 1825 году						

ადგილების ფასები 70 კაპ—5 მანეთამდე.
დასის მოგზაურობის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი—მეორე სამხატვრო თეატრის გამგეობა. ნ. 1174 1—1

ამა აპრილის 25-ს დილის 11 საათზე, სიღნაღის მაზრის, [illegible]-წყაროში დანიშნულია
სრულიად საქართველოს მეცხვარეთა კოოპერატიული ამხანაგობა

„მწყემსი"-ს
წევრთა რწმუნებულების
წლიური

საზოგადო ყრილობა

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება 1925 წ. მუშაობის შესახებ.
2. სარევიზიო კომისიის და საბჭოს მოხსენება.
3. 1925 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება
4. 1925 წლის მოგების განაწილება
5. 1926 წლის სამოქმედო გეგმა
6. განხილვა და დამტკიცება მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვისა.
7. გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები
8. მიმდინარე საკითხები

რაიონულ ყრილობებზე არჩეულ დელეგატების დასწრება სავალდებულოა.

ნ. 1175 1—1 **გამგეობა.**

თბილისის კომერციული სააგენტო ამიერ.-კავ. რკინის გზებისა

აცხადებს, რომ 18 აპრილს 11 საათ. ქალაქის სადგურის დარბაზში წერეთლის ქუჩა № 3 (ყოფ. განოვის) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობით

გაყიდვა სხვადასხვა საქონლისა, ფართლეულობის, „კოსმეტიკისა" და ტყავეულობის სულ კი 144 ცალი.

2—1 ნ. 1172

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჭორიშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ბერუჩევის ქუჩაზე სახლი № 3, დანიშნულია 23 აპრილს 1926 წ. დილის 10 საათზე **მეორე საჯარო ვაჭრობა** რაფიელ გაგულაშვილის ქონების საწნახელის შეფასებული 20 მან., საწურის 10 მან., სარკის 10 მან., სპილენძის ტაშტის 10 მან. თუნგების 6 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან იმ თანხიდან, რომელიც შემოძლეული იქნება მოვაჭრეთაგან, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 1170 1 1

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჭორიშვილი

აცხადებს, რომ 23 აპრილს 1926 წ. დღით 12 საათზე დანიშნულია **მეორე საჯარო ვაჭრობა** იოსებ ელოს ძე ბინიაურიშვილის ერთი სართულიანი ქვეშ პალატით ხის სახლის, აგებულს ქ. ქუთაისში გელათის ქუჩა მე-3 შესახვევში № 6, მიწაზე ზომით 20 ოთხკუთხი საჟენი შეფასებულს 300 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მყიდველებისაგან და ყველა იმ პირმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი შენობის შეფასების 10 პროც. ნ. 1170 1—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ ბედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—30

ექიმი ი. დ. თოფურიძე
№ 3ა. [illegible]
კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—1

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—19

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, ვორონცოვის ხიდის ახლობლად ყოფ ბონ-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეები, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე ტრიპერის) სპეციალისტი.
ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17.

ექიმი გ. ნ. მაგაქიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38. 25—8

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად
22—1

ფასი 45 კაპეიკი
ავტომატიური სწრაფად დამთვლელი მანქანა.
[illegible] დაწესებულებათა, წარმოებათა, [illegible] დარგში მომუშავეთა, სამეცნიერო მუშაკთა, უმაღლეს სასწავლებელთა და სკოლების მოსწავლეთა, კანტორის და დახლების მუშაკთა საყურადღებოდ. ყველასათვის ადვილად მისაწვდომი ენერგიის დაუხარჯავად; არ სჭირდება დარიგება და სწავლა. იძლევა გამრავლების, გაყოფის, პროცენტების გამოანგარიშების შედეგებს ავტომატიურად და სწრაფად საუცხოვოა სხვადასხვა ანგარიშების პრაქტიკულად და სწრაფად საწარმოებლად. [illegible] მოიგზავნება აუყოვნებლივ შეკვეთისა და 45 კაპეიკის მიღებისთანავე. შეიძლება გამოგზავნილი იქნას მარკებით ამანათით იგზავნება 3 მანეთზე ზევით.
გადასაგზავნად და ჩასალაგებლად გადახდილი უნდა იქნას 15 კაპეიკი.
შეკვეთა და ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: [illegible], პოკროვსკის ბაღი, ს. ხ. № 14 | 8. ბინა 8. [illegible]
ა. ი. ცუკერშტეინს.
65 30—

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცებს—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზუბალის აფთიაქის პირდაპირ).
25—18

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, სამარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისის და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8
25—17

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი ფ. № 4, № 21 მაქსიმე ბახვას ძე კეკუტიას სახელზე, ჩ. გ. 2173 1—1

დავკარგე სამგზავრო მოწმობა № 116 მაქსიმე კეკუტიას სახელზე, ჩ. გ. 2173 1—1

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი № 154 და პირადობის მოწმობა მიხეილ კონდრატის ძე გიისის სახელზე, ჩ. გ. 2172 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა ლუარსაბ მათეს ძე მაისურაძის სახელზე, ჩ. გ. 2174 1—1

დავკარგე საპენსიო წიგნაკი № 624 ალექსი პატარქალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2167 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი ილია კოპლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2164 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის პირადი ბარათი ივანე ალექსის ძე ბახტაძის სახელზე, ჩ. გ. 2165 1—1

დავკარგე მლითონთა კავშირის წიგნაკი № 222, პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი ალექსანდრე ქელიძის სახელზე, ჩ. გ. 2169 1—1

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი № 1711 ისაკ იაკობის ძე ჯანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2170 1—1

დავკარგე სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი № 5528, არჩილ გოგიბერიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1171 1—1

დავკარგე სამთო მადნო პროფკავშირის წიგნაკი № 5370, გრიგოლ გედევანის ძე ძინძიბაძის სახელზე, ჩ. გ. 2175 1—1

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი ფორმა № 4, ვახტანგ იონას ძე კობახიძის სახელზე, ჩ. გ. 2176 1—1

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო ბარათი და პირადობის მოწმობა მინა კერესელიძის სახელზე, ჩ. გ. 2178 1—1

დავკარგე ქორწინების მოწმობა ვიქტორ კვირკველიას სახელზე, ჩ. გ. 2179 1—1

დაკარგული მეტრიკული ამონაწერი № 8 მიხეილ ფარნაოზის ძე ჯიშკარიანის სახელზე, ჩ. გ. 2177 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, [illegible]